პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 დეკემბერი **სამშაბათი** 2010

№294 (13282) ფასი 60 თეთრი

## ლარი ბერდმა ფაჩულია თქვა და... გადათქვა

12



# რა აკლია ქართულ ფეხბურთს?

2




# პატიოსნება!

## ტორპედო დინამოს შუშაქს უპირებს?

3



5



## გელა სანაიამ სამტრედია დატოვა

ქართული ფეხბურთი



# პოზიცია-ო-პოზიცია

# რატომ?

## მიხეილ ყაველაშვილის ბევრი კითხვა ბევრი წუხილით

# ჩვენი ფეხბურთი თუ ფეხბურთი ჩვენია?

**ბოლო დროს კრიტიკული წერილების მიმართ რეაქციები გამძაფრდა, მაგრამ გაზეთის მოვალეობა ხომ ყველა მხარის პოზიციის დაფიქსირებაა და პირს ვერ დავუხშობთ იმ ადამიანებს, რომლებსაც მიმდინარე მოვლენებზე განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ.**

**მძაფრია ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების რეაქციაც, საჯაროდ აზრის გამოხატვა იშვიათად გვიწევსო - "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებელი მიხეილ ყაველაშვილი "ლელოს" ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ელაპარაკა.**

**- "ჩვენი ფეხბურთის" ბოლოდროინდელი დუმილი ლევან ყიფიანმა დაარღვია. თუმცა ამით საერთო სურათი არ იცვლება.**

- მედია ჩვენით არ ინტერესდება და ინტერვიუს ვერავის დავაძალებთ. არადა, ბევრი სათქმელი დაგვიგროვდა. სამწუხაროდ, პრობლემები, რომლებზეც წინა არჩევნებამდე ვლაპარაკობდით, უცვლელი რჩება. არ იცვლება სისტემა, იცვლებიან მხოლოდ პერსონები.

**- პირდაპირ ვთქვათ: "ჩვენი ფეხბურთის" ბოლოდროინდელი გააქტიურება განაპირობა იმ ხმებმა, თითქოს ფეხბურთის ფედერაციის საარჩევნო ყრილობა იანვრის ბოლოს გაიმართება.**

- მარჩიელობა არ უნდა გვჭირდებოდეს, ყრილობა სასწრაფოდ გაიმართება თუ არა. უბედურება ისაა, რომ ფედერაცია საკუთარ კანტორად აქციეს და ისეთი ტონით ლაპარაკობენ, თითქოს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, ფეხბურთი როგორ იმართოს და ჭკუასაც გვარიგებენ.

ყრილობის თარიღი ისეთ დროს უნდა გამოცხადდეს, მომზადება ყველა მხარემ რომ შეძლოს და არა მხოლოდ ფედერაციამ. თუმცა ესეც არ არის ყრილობის გასამართად საკმარისი პირობა. ფეხბურთის სათამაშოდ საჭიროა წესებზე შეთანხმება, ობიექტური მსაჯული და მაყურებელი, რომელიც შეაფასებს, რომელი გუნდია უკეთესი. სხვაგვარად თამაშს აზრი არ აქვს. ჩვენთან წესებზე შეთანხმებაც არ სურთ და ასეთ გაურკვევლობაში გვთავაზობენ მოედანზე გასვლას.

ყველამ იხილა, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მოსაპოვებლად 2 დეკემბერს კანდიდატურები როგორ წარადგინეს. საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ყველა კონკრეტული პროგრამით ცდილობდა. ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორისაც ანალოგიური კონკურსი უნდა გაიმართოს. ეს ელემენტარული რამ არის და ყრილობის ცივილიზებულად გამართვაში ხელს რა გვიშლის? მოურინიოს ინტერვიუ წავიკითხე, სადაც გენიალური სიტყვები თქვა: გუნდში შედეგის მისაღწევად საჭიროა პატიოსნება, ფეხბურთელებს სიმართლე თუ დაუმალე, შედეგი არ გექნება. ასე არ არის? სიმართლეს მაინც გაიგებენ, მაგრამ თუ მალავდი, აღარ გენდობიან.

**- თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, "ჩვენი ფეხბურთი" მომავალ არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს.**

- როდესაც ვხედავთ, არჩევნები როგორ ტარდება, მონაწილეობის აზრს ვერ ვხედავთ. „ჩვენი ფეხბურთი" მხოლოდ თავისუფალ არჩევნებში ჩაერთვება. სამართლიანობის პრობლემაზე ყველა პრესკონფერენციასა თუ გამოსვლაში ვლაპარაკობდით. მივედით იმ აზრამდე, რომ საფეხბურთო საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს არა უმაღლესი საფეხბურთო ორგანო, ანუ ფედერაციის ყრილობა, არამედ მთავრობა. ახალკაცი გადადგომას არ აპირებდა, მაგრამ პრემიერმა ფედერაციის საქმიანობა გააკრიტიკა და ნოდარიც წავიდა. მთავრობა ფეხბურთის განვითარებაში თამაშის წესების დაცვით უნდა მონაწილეობდეს. ჩვენ ვიჭრებით მთავრობის კომპეტენციაში? ფეხბურთში კი ერევიან და ბრმები არ ვართ, ამას ვხედავთ და ვამბობთ.

ყიფიანს სიჭინავასთან თანამშრომლობისთვის ვუსაყვედურე, რადგან იგი პრეზიდენტობამდე ფედერაციაში მისვლაზე არც ფიქრობდა. აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა და ფეხბურთის განვითარების პროგრამაც არ ჰქონდა. ფედერაციის შენობის რემონტი ფეხბურთის განვითარებას არ ნიშნავს, ბევრად მტკივნეული საკითხებია მოსაგვარებელი. თავიდან სიჭინავას შინაგანად თანავუგრძნობდი კიდეც, მაგრამ ლევან ყიფიანზე ისე ცინიკურად ილაპარაკა, მაგას არ ვიცნობო, ეს გრძნობა გამიქრა. ერთ გუნდში რომ იყვნენ, მაშინაც არ იცნობდა?

და მაინც, სიჭინავა არ არის ქართული ფეხბურთის პრობლემა. ვინ ჩამოიყვანა ახალკაცი და ტოპმიოლერ-კუპერი? ხელისუფლებამ! უკან-უკან მივდიოდით და ქართული ფეხბურთის განვითარებაზე ლაპარაკობდნენ. ძველ ფედერაციას არაეფექტური მართვის გამო ვაკრიტიკებდით და ახალკაცი მართლაც ამის გამო მოხსნეს. ჩამოიყვანეს ქეცბაია, რასაც ძველ მმართველებს მოვუწოდებდით... არადა, ძველების კრიტიკის გამო მტრებად გამოგვაცხადეს და ლამის რეპრესიები მოგვიწყვეს. ასე გრძელდება დღემდე.

"ჩვენი ფეხბურთი" ხმას რომ იმაღლებდა, სიჭინავასგან კრიტიკა არ ისმოდა. გზა ჩვენ გავუკვალეთ და აღმოჩნდა, რომ ყიფიანს არ იცნობდა. რა ბავშვური დამოკიდებულებაა! ყველაზე სასაცილო ისაა, ახლა ყველაფერს აქეთ გვიტრიალებენ, თითქოს ჩვენ ვმუშაობდით ძველ ფედერაციაში, არაფერს ვამბობდით და, ალბათ, მილიონობით ვალის დაგროვებასაც ჩვენ დაგვაბრალებენ. ჯერ წესებზე შევთანხმდეთ და მერე თავად მიხვდებიან, რომ ჩვენი "მტრობა" სინამდვილეში ქართული ფეხბურთის მეგობრობაა.

დღეს ისევ ვაკრიტიკებთ ფედერაციას, რადგან პრობლემები გაყინულია: კატასტროფული მდგომარეობაა ბავშვთა ფეხბურთსა და ეროვნულ ჩემპიონატში, კლუბები კი დაშლის პირას არიან. „ბაიადან" და „კოლხეთიდან" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები გაიქცნენ, იგივე ბედი ელის "სამტრედიას", არ არსებობს თანამედროვე სამედიცინო მომსახურება, ვისი ბრალია, ფედერაციას სპონსორები რომ არ ჰყავს? მოკლედ, ათასი პრობლემაა.

ნაკრები კარგად თამაშობსო. ეს თემურ ქეცბაიას დამსახურებაა, მთელი წელიწადი წაუგებლად რომ ჩაატარა, მაგრამ ნაკრების წლევანდელი თამაში საერთო სურათიდან ამოვარდნილია და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ფეხბურთი ვითარდება. წარმატებაზე მაშინ ვილაპარაკოთ, თუკი ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ. ნაკრებში არის ბევრად მეტი თავდადება, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ თამაშის ხარისხი გამოსასწორებელია. ამაზე თავად ქეცბაია ლაპარაკობს და ჩვენ რომ დეტალურად განვიხილოთ ხარვეზები, ეს მტრობა იქნება თუ თანადგომა?

არ არსებობს საინვესტიციო გარემო, სპორტული მედიცინა, რაც დღევანდელ ფეხბურთში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს... ჩვენთან ცინიკურ ლაპარაკს ურჩევნიათ, ყოველდღიურად მთავრობას სთხოვონ საფეხბურთო საქმიანობისთვის გადასახადების შემცირება, სტადიონებისა და საერთო ინფრასტრუქტურის აშენება, კლუბების მიხედვა.

ფეხბურთის განვითარება იმდენად მნიშვნელოვანი თემაა, საკითხის განხილვაში საზოგადოება აქტიურად უნდა ჩაერთოს, ტელევიზიასა და გაზეთებში კი დებატები იმართებოდეს.

**- ობიექტურად ვიმსჯელოთ - სიჭინავამ მიზნად სწორედ ინფრასტრუქტურის გამართვა დაისახა.**

- საქმე გვაჩვენოს და მის სიტყვას ფასი ამის მერე დაედება.

**- სიჭინავამ ორი მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარა – ნაკრებში თემურ ქეცბაია ჩამოიყვანა და იმ დროს, როდესაც ფეხბურთს სტადიონებს ბითუმად ართმევენ, "ლოკომოტივი" ფედერაციის საკუთრებაში დაამტკიცებინა.**

- ბევრი ასეთი ნაბიჯი გადადგას და გაუმარჯოს ღმერთმა! კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე სიჭინავას მტერი არ ვარ და ქართული ფეხბურთისთვის გადადგმული ნებისმიერი სასიკეთო ნაბიჯი გამახარებს. ქეცბაიას ჩამოყვანა ხელისუფლების დამსახურება უფროა, მაგრამ ჩავთვალოთ სიჭინავას პლუსებში. უბრალოდ, ეს საკმარისი არ არის და ბევრად მეტს ვთხოვთ.

**- ამჟამად ფეხბურთში რას საქმიანობთ?**

- მხოლოდ იმის ლაპარაკი, რომ ნიჭიერი ბავშვები გვყავს, ლაპარაკია და მეტი არაფერი. ევროპულ კლუბებში მათი ინტეგრაცია უნდა მოვახერხოთ. გუბაზ დოლიძის გუნდი შვეიცარიაში ორჯერ ჩამოვიყვანე და ცნობილ მწვრთნელ ოლდრიხ შვაბს ვაჩვენე, რომელიც 65 წლის ცნობილი სელექციონერია, "ბაზელში", "ციურიხსა" და "გრასჰოპერში" მუშაობდა, შვეიცარიის ნაკრებს ბევრი ფეხბურთელი აღმოუჩინა, ამჟამად კი ფიფას ინსტრუქტორია.

შვაბი ორი კვირა საქართველოშიც იმყოფებოდა და თითქმის ყველა თბილისური საფეხბურთო სკოლა მოინახულა. შვეიცარიაში აღფრთოვანებული და გაოცებული დაბრუნდა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მთელ ევროპაში არ იქნება იმდენი ნიჭიერი ბავშვი, რამდენიც საქართველოში, ერთად ამდენი ტალანტი მხოლოდ ბრაზილიაში, არგენტინასა და, ჰა-ჰა, ესპანეთში მინახავსო. მაგრამ ისიც თქვა, თქვენს მოედნებსა და პირობებში ვერავინ გაიზრდებაო. არანაირი პირობები, მოედნები, ბაზები არ გვაქვს, თეორიული, ტაქტიკური განათლება და გუნდური ფეხბურთი ჩვენთვის არ არსებობს და ფონს მხოლოდ ნიჭით გავდივართ.

**- ალბათ, შვაბი მხოლოდ იმის დასადგენად არ გვესტუმრა, გვყავს თუ არა ნიჭიერი ბავშვები.**

- რა თქმა უნდა. მისი მიზანი ჩვენი რესურსების შეფასება იყო და შვაბის დასკვნის საფუძველზე ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში სოლიდური ინვესტიციების მოზიდვას ვაპირებთ.

**- ინვესტიციაზე ვინმე დაითანხმეთ?**

- მოლაპარაკება ერთ-ერთ შვეიცარიულ კომპანიასთან მიმდინარეობს. ფეხბურთი დღეს დიდი ინდუსტრიაა და ამ რესურსის აუთვისებლობა დანაშაულია. ფიფას მაღალჩინოსნებს უკვე მივმართე, 18-წლამდელი არაევროკავშირელებისთვის დაწესებული დისკრიმინაციული შეზღუდვები გააუქმონ, გაჭირვებული ქვეყნების ბავშვებსაც რომ ჰქონდეთ ნიჭის გამოვლენის საშუალება.

ჩვენთან არც პირობებია და სისტემაც გაუგებარია. ახლახან სელექცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარეს და ერთ დღეში 3 ათასამდე ბავშვი ნახეს. ამ დროს თბილისის სკოლების რესურსის შესასწავლად შვაბს ორი კვირაც არ ეყო.

**- დოლიძის გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის დატოვება თუ გადაწყდა?**

- რამდენიმე ბავშვით დაინტერესდნენ და პასუხი იანვარში მეცოდინება. შვაბი გაოცებული იყო, მომავალ თაობას რა უდიერად ექცევითო. სამწუხაროა, რომ ეს არ ესმის იმ ხალხს, ვინც ფეხბურთში უხეშად ერევა და ფეხბურთის ბედს ერთი მოგება-წაგებით საზღვრავს.

ჩვენ კი გვსაყვედურობენ, პროგრესს როგორ ვერ ამჩნევთო. ამ ხალხის გასაგონად ვამბობ, თქვენი კი არა, უსამართლო სისტემის მტერი ვარ, რომლის გამოც ქართული ფეხბურთის პოტენციალი ვერ ვლინდება. ჩვენ თუ ქართული ფეხბურთის მომავალზე არ დავილაპარაკებთ, არ ვიმსჯელებთ და პრობლემებს დეტალურად არ განვიხილავთ, არაფერი გამოვა. მსჯელობაში კი უკეთესი აზრი გაიმარჯვებს. მხოლოდ იმის მტკიცება, რომ სიკეთეს ვერ ვხედავთ, მდაბიო აზროვნების მაჩვენებელია. ვიმსჯელოთ ქვეყნის სიყვარულით, საქართველო ხომ ყველას გვიყვარს!

**მერაბ მამულაშვილი**

# WOW რამდენი ბიჭი რამდენი ნიჭი!

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ბიბლიოთეკა

# დავით მუჯირის აღდგენითი სამუშაოები

## ალალად და გაჭრილად: ნაკრები? რატომაც არა!



**თბილისის „დინამომ“ სეზონის პირველი ნახევარი 35 ქულით მესამე ადგილზე ჩაამთავრა. თუმცა, დავით მუჯირი რომ არა, გუნდს ნაკლები ქულა ექნებოდა. „დინამომ“ ბოლო ორი მატჩი 1:0 მოიგო და ორჯერვე ეს ერთადერთი ბურთი მუჯირმა გაიტანა. გარდა ამისა, დათო დღეს გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე 4 თვის წინ, როცა ხელახლა გამოჩნდა „დინამოში“. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მას დეკემბრის ბოლოს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და გუნდის შეცვლას არ გამორიცხავს. დავით მუჯირს ქუთაისის „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ.**

ლიდერებს მხოლოდ ორი ქულით ჩამოვრჩებით და გაზაფხულიდან ოქროს მედლებისთვის ბრძოლას განვაახლებთ.

**- სექტემბერში „დინამოში“ ხელახალა გამოჩენილი და დღევანდელი დავით მუჯირი - საგრძნობი სხვაობაა.**

- ბედნიერი ვარ, ცხრათვიანი პაუზის შემდეგ სექტემბერში ფეხბურთს დავუბრუნდი. ეს ოთხი თვე ვემზადებოდი და ფორმა აღვიდგინე. რა თქმა უნდა, ოპტიმალური ფორმისგან შორს ვარ. მინდა, უფრო მაღალ დონეზე ვითამაშო. ყველანაირად შევეცდები, ზამთრის შესვენების შემდეგ იმ გუნდში, სადაც კარიერას გავაგრძელებ, უკეთესად წარმოვჩნდე.

**- ბოლო ორი მატჩი „დინამომ“ თქვენი გოლებით მოიგო. თანაც ორივე ეფექტური იყო...**

- ორივე გოლი მართლაც ლამაზი იყო. თუმცა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ორივე გადამწყვეტი და გამარჯვების მომტანი გამოდგა. „ვიტ ჯორჯიასთან“ გოლის ეპიზოდში იმ მხრივ გამიმართლა, რომ მოწინააღმდეგემ მომცა საშუალება, წამის მეასედში შემეფასებინა მეკარის პოზიცია და ამიტომაც დავურტყი შორეულ კუთხეში.

„ტორპედოსთან“ იმ კუთხეში დავარტყი ჯარიმა, რომელსაც მეკარე ფარავდა. მართალი გითხრათ, ეს რისკიანი „დინამოში“ ვარ და აქამდე ამ პოზიციიდან საჯარიმო არ დაგვირტყამს. სტანდარტულებში სწორედ ეს არის ჩემი ადგილი. ასე ვთქვათ, „ჩემი ჯარიმა“ პირველად დაინიშნა და პირველივე ცდამ გაამართლა.

**- ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარო, თქვით. ძველებურად მოთამაშე მუჯირს როდის ვიხილავთ?**

- თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი გვრჩება და ზამთრის შესვენება დაიწყება. თანაგუნდელებს უკვე ეტყობათ, რომ ზაფხულში პაუზა თითქმის არ ჰქონიათ. გუნდი გადაღლილი ჩანს, მაგრამ მე ისედაც ბევრი დავისვენე და არდადეგების მიუხედავად, ინდივიდუალურად ვარჯიშს გავაგრძელებ. ყველანაირად შევეცდები, რომ ფორმა აღვიდგინო, რადგან წლის ბოლომდე უნდა გაირკვეს, წავალ თუ „დინამოში“ დავრჩები.

**- რუსეთში სწორედ იმ პერიოდში თამაშობდით, როცა „დინამოს“ ახალი მეპატრონე რომან ფიფია „სოკოლის“ პრეზიდენტი იყო. საინტერესოა, რუსულ ფეხბურთში რას ამბობდნენ მასზე...**

- ვიცით, რომ „დინამოს“ ახალი მეპატრონე კლუბში დიდი ინვესტიციის დაბანდებასა და „დინამოსთვის“ ძველი დიდების დაბრუნებას აპირებს. ჩემთვის „დინამო“ ცხოვრების ნაწილია და, რა თქმა უნდა, მისი წარმატება, ძველი დიდების დაბრუნება, ჩემიანად მოხდება თუ უჩემოდ, ძალიან გამიხარდება. რუსეთში ფიფიაზე ბევრი კარგი მსმენია და იმედი მაქვს, „დინამოს“ ძლიერ კლუბად აქცევს. „ტორპედოსთან“ მატჩამდე ფიფია არ გვინახავს, მაგრამ სასიამოვნოა, რომ შემოთვლით წარმატებები გვისურვა და ფორმალობების შემდეგ ფეხბურთელებსაც შეგვხვდება.

**- თუ „დინამოს“ დატოვებთ, რომელ ქვეყანაში გააგრძელებთ კარიერას, რა ვარიანტები გაქვთ?**

- ორ ვარიანტს განვიხილავ, მაგრამ ამ საკითხზე ჯერჯერობით კონკრეტული ლაპარაკი არ მინდა.

**- ზამთრის შესვენების შემდეგ ჩვეულ ფორმას აღვიდგენო, იმედოვნებთ. ბუნებრივია, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების პრეტენზიაც გექნებათ...**

- რა თქმა უნდა, პრეტენზია მექნება და ნოემბერშიც შემეძლო ეროვნულში მეთამაშა. ჩემი აზრით, ნაკრებში უნდა თამაშობდეს ყველა ის გამორჩეული ფეხბურთელი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული მატჩისთვის კარგ ფორმაშია. არ აქვს მნიშვნელობა, ის ფეხბურთელი 18-19 წლისაა თუ 30- 33-ის. ალბათ ყველა პროფესიონალი მწვრთნელის და მათ შორის თემურ ქეცბაიას პოზიციაც ასეთია. ასე რომ, მომავალ მატჩებში ეროვნულში დაბრუნების პრეტენზია მექნება და კარგად ვიცი, ეს მოედანზე ჩემი თამაშით უნდა დავამტკიცო.

**- ეროვნული ჩემპიონატის მატჩების შემდეგ ხშირად ისმის პრეტენზიები მსაჯობაზე. მართლაც იმატა მათმა შეცდომებმა, თუ ეს კრიტიკა გადაჭარბებულია?**

- ამ საკითხზე ჩემი პოზიცია კი მაქვს, მაგრამ ამჯერად ლაპარაკი არ მინდა.



**- ინტერვიუ „ქართულ კლასიკოდ“ შერაცხილ „დინამო“-“ტორპედოს“ მატჩით დავიწყოთ...**

- უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ დაბრუნებით, „დინამოსა“ და ამ გუნდს შორის ტრადიციული დუელი აღდგა, რამაც ჩვენი ჩემპიონატი უფრო საინტერესო გახადა. ჩვენზე წინ მყოფმა გუნდებმა, „ზესტაფონმა“ და „ოლიმპმა“ შაბათს მოიგეს და მათ ხუთი ქულით ჩამოვრჩებოდით. ჩვენი მიზანი ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა და, შესაბამისად, მთავარი ამოცანა მოგება და ხუთქულიანი სხვაობის შემცირება იყო. დაძაბული და საინტერესო მატჩი მოვიგეთ, ახლა გადაწყვეტილება იყო. ვიფიქრე, თუ მეკარე ჩათვლიდა, რომ ცოცხალ კედელზე ბურთის ზემოდან გადატარებას შევეცდებოდი, მივხვდი ერთ ნაბიჯს გადადგამდა. ეს გავიფიქრე და საპირისპირო მხარეს დავარტყი, მეკარე მოძრაობაზე დავიჭირე და გავუტანე...

**- საჯარიმო დარტყმამდე ლევან ხმალაძე ცოცხალ კედელში ჩადგა და დარტყმისას გაიწია. სწორედ იმ ადგილიდან გაძვრა ბურთი და ბადეში აღმოჩნდა...**

- სწორად შეგინიშნავთ. ლევანმა თავიდანვე იცოდა, რომ უნდა გაწეულიყო. ერთიც მინდა ვთქვა: მეოთხე თვეა, რაც

**- მაშინ ეროვნულ ჩემპიონატზე გკითხავთ. გასული სეზონის მეორე ნახევარს თვალს ადევნებდით, ამჟამად თავად თამაშობთ. პირველობის დონემ იმატა თუ იკლო?**

- გამიხარდა, რომ ამ სეზონის წინ ტრადიციულ გუნდს, ქუთაისის „ტორპედოს“ ძლიერი სპონსორი გამოუჩნდა. ბედნიერი ვარ, რომ „დინამოს“ შეძლებული მეპატრონე ეყოლება. „ზესტაფონი“ ძლიერი და სტაბილური კლუბია. იმედია, „ოლიმპიც“ შეინარჩუნებს სტაბილურობას შემადგენლობისა და ფინანსების მხრივ. „ვიტ ჯორჯია“ თავის სიტყვას იტყვის. ეს უკვე ხუთი გუნდია. კარგი იქნება, თუ „ბაიას“, „კოლხეთს“, „სამტრედიას“ ფინანსური პრობლემები აღარ შეაწუხებთ. ჩვენი ჩემპიონატისთვის დიდი სტიმულია ისიც, რომ ეროვნულ ნაკრებში ქართული კლუბებიდან იძახებენ ფეხბურთელებს. ამას გარდა, ამ სეზონში სხვა არაერთი სიურპრიზიც იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლიდერებისა და აუტსაიდერების მატჩი არაპროგნოზირებადია. ეს კი ჩემპიონატის დონეს წაადგება. რაც უფრო მეტი ძლიერი ანაც ფინანსურად სტაბილური კლუბი იქნება, მით უკეთესი. იმედი მაქვს, ეს სეზონი უმჯობესი იქნება, რაც მეორე წრეში გამოჩნდება.

● ძველი ნაცნობი

# ევრიკა: შუშაკი?

## ივო და ტორპედო: ლაპარაკები კულუარებში



უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ქუთაისის „ტორპედოს“, „ბაიას“ მსგავსად, 22 ქულა აქვს და ეს გუნდები მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. „სიონის“ სტუმრად ძლევის შემდეგ რიონისპირელთა გუნდს თასის ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსიც აქვს. ერთ სიტყვით, „ტორპედოს“ რომ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში ამბიციური მიზნები აქვს, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, კლუბი ფინანსურად ძლიერია. ამიტომაც, უცნაური არც ის უნდა იყოს, რომ ქუთაისელთა გუნდი ზამთრის შესვენებისას ფეხბურთელებითაც გაძლიერდეს და მწვრთნელითაც. „ტორპედოს“ თავკაც **გია გიგატაძეს** კლუბის ხელმძღვანელობისგან სრული ნდობა და მხარდაჭერა აქვს, მაგრამ უფრო მეტის მისაღწევად უფრო მაღალი დონისა და დიდი გამოცდილების მქონე მწვრთნელი რომ არის საჭირო, ამას მარჩიელობა არ უნდა

წუხელ გაგებული ამბავი ზემოთ ნახსენები ლოგიკისგან სულაც არ არის შორს. მით უმეტეს, წყარო, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, სანდოა. ერთი სიტყვით, გავიგეთ, რომ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა იანვარში ხორვატ მწვრთნელთან, ჩვენთვის კარგად ნაცნობ **ივო შუშაკთან** დაიწყებს მოლაპარაკებას.

ამბის გაგებისთანავე ვითარების გარკვევას იმერელთა კლუბში შევეცადეთ.

*„ჩვენ მაღალი მიზნებისთვის გვინდა ვიბრძოლოთ და ამისათვის გუნდს გავაძლიერებთ კიდეც. რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ვფიქრობთ და ამაზე უკვე ვმუშაობთ. თუმცა ამ ეტაპზე მწვრთნელის საკითხს ნამდვილად არ განვიხილავთ. ახლა ზამთრის შესვენებამდე დარჩენილი ბოლო თამაშისთვის, „სიონთან“ თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩისთვის ვემზადებით. ესაა და ეს“,* - გვითხრა ქუთაისელთა კლუბის პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძემ.**

ცხადია, ამით არ დავკმაყოფილდით და ივო შუშაკს ხორვატიაში დავუკავშირდით. სალამ-ქალამისა და მოკითხვის შემდეგ ძველ ნაცნობს ფეხბურთზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

- ამჟამად არსად ვმუშაობ. თუმცა ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და კვლავაც გავაგრძელებ მუშაობას. წინადადებებს ველოდები და იმედი მაქვს, პაუზა დიდხანს ამჯერადაც არ გამიგრძელდება.

**- ერთ-ერთ წინადადებას საქართველოდან ხომ არ ელოდებით?**

- ქართულ ფეხბურთში გატარებულ პერიოდს ახლაც ტკბილად ვიხსენებ. თქვენს ქვეყანაში ბევრი მეგობარი მყავს. მათ ხშირად ვეხმიანები. მათგანაც და ინტერნეტსაიტებიდანაც ვიგებ ქართული ფეხბურთის ამბებს. ახლახან გავიგე, რომ თბილისის „დინამოს“ ახალი მეპატრონე გამოუჩნდა, რომელიც გეგმავს, გუნდი ევროპულ საფეხბურთო ელიტაში დააბრუნოს. „დინამოში“ მუშაობა ჩემთვის დაუვიწყარია. ამ გუნდის გამარჯვებები ყოველთვის გამახარებს... ასე რომ, საქართველოდან ყოველთვის ველი წინადადებას და ყოველთვის სიამოვნებით განვიხილავ.

**- ქუთაისის „ტორპედოზე“ რა იცით?**

- ჯერ კიდევ „დინამოში“ მუშაობისას ვიცოდი, რომ „ტორპედო“ საქართველოს მეორე გუნდია ტრადიციითა და წარსულით. ისიც ვიცი, რომ ეს კლუბი უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, ფინანსურად მოძლიერდა, ამბიციური მიზნები აქვს და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი.

**- ამ გუნდზე საკმაო წარმოდგენა გქონიათ. „ტორპედოს“, ცხადია, ჰყავს მწვრთნელი, მაგრამ, გავიგეთ, რომ კლუბის მესვეურები უფრო მაღალი დონის სპეციალისტს ეძებენ დიდი მიზნებისთვის საბრძოლველად...**

- „ტორპედოდან“ არავინ დამკავშირებია და ვერაფერს გეტყვით. თქვენ გაიგეთ, რომ ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად ჩემი კანდიდატურა განიხილება?

**- დიახ და ისიც გავიგეთ, რომ მალე მოლაპარაკებებიც დაიწყება.**

- ჯერჯერობით ამ კლუბთან კონტაქტი არ მქონია და რა გითხრათ.

**- რომ დაგიკავშირდნენ, როგორი იქნება თქვენი პოზიცია?**

- ქართული ფეხბურთი ჩემთვის უცხო ხილი არ არის. გარკვეული წარმოდგენა მაქვს თქვენს მოთამაშეებზე, შესაძლებლობებზე, მენტალიტეტზე. თუ „ტორპედოდან“ ან სხვა კლუბიდან დამიკავშირდებიან, სიამოვნებით მოვუსმენ და განვიხილავ შემოთავაზებას. სხვას ვერაფერს გეტყვით.

როგორც ხედავთ, ორივე მხარე ჩვენს ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებს, მაგრამ წყარო საიმედოა და ჩვენი აზრით, ეს ხვალ რეალობა იქნება.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ბიბლიოთეკა

# შესაშური მასპინძლობა

...ავად თუ კარგად, ჩემპიონატის პირველი ეტაპი დავასრულეთ; რაც მთავარია, 14 აგვისტოდან 12 დეკემბრამდე „გაწერილმა“ ეტაპმა... უსკანდალოდ ჩაიარა! რაღა თქმა უნდა, ყველაფერი შედარებითია და მეტ-ნაკლებად ხმაურიან სკანდალებს ვგულისხმობთ, თორემ „წვრილწვრილი გამოხდომები“, იცოცხლეთ, ბლომად იყო. უპირველეს ყოვლისა, მსაჯობით აშკარა უკმაყოფილებას ვგულისხმობთ, ჩემპიონატის სტარტიდან პირველი ეტაპის ბოლომდე რომ გრძელდებოდა; თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კლუბების ხელმძღვანელთა თუ მწვრთნელთა ის საჯარო უკმაყოფილობა რეალობასთან ახლოს ყოველთვის ნამდვილად არ ყოფილა. ანუ, არცთუ ცოტა იყო ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ კლუბის ხელმძღვანელი თუ მწვრთნელი საკუთარ წარუმატებლობას მხოლოდ და მხოლოდ... მსაჯებს აბრალებდა, არადა, მიზეზი „იქვე“, თავიანთ გუნდში უნდა მოეძებნათ...

...მეორე ეტაპი, სავარაუდოდ, მომავალი წლის 12 თებერვალს დაიწყება და მანამდე საკმარისზე მეტი დროც არის, პირველი ეტაპის შესაჯამებლად. თუმცა, გარკვეული დასკვნის გაკეთება ახლავე შეიძლება. მაგალითად, არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა ის ფაქტი, ჩემპიონობისათვის სეზონის დაწყებამდე ფავორიტად შერაცხილი 3 გუნდი („ზესტაფონი“, „ოლიმპი“, „დინამო“) რომ იბრძოლებდა (უბრალოდ, ცოტა არ იყოს, უცნაურად გვეჩვენება ლიდერთა სამეულსა და დანარჩენ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა); სამწუხაროზე მეტად მიგვაჩნია ის გარემოებაც, როცა ლამის ჩემპიონატის სტარტიდანვე, სულ მცირე, სამ გუნდს სერიოზულზე სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა. თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, პირველი ეტაპის შესაჯამებლად დრო საკმარისზე მეტი გვექნება და ამჯერად, მხოლოდ პირველი ეტაპის ბოლო ტურის გამორჩეულ მოვლენებზე ვისაუბრებთ.

## XVIII ტურის სიმბოლური ნაკრები




## ბოლო გამონათებები

პირველი ეტაპის დასკვნითი ტური არაერთი „უცნაურობით“ დაგვამახსოვრდა; უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ფეხბურთელების შესაშური შედეგიანობა გვახარებს — ყოველგვარი სარკაზმის გარეშე ვამბობთ, რომ მართლაც სასიამოვნო იყო ტურში ამდენი გოლის ხილვა. თავად განსაჯეთ: „დინამო“-“ტორპედოს“ შეხვედრის გარდა, ყველა მატჩი უხვგოლიანი იყო! საერთოდაც, სწორედ დასკვნით ტურში დამყარდა ჩემპიონატის რეკორდი — აქამდე საუკეთესო შედეგი 15 გოლი იყო (XIV ტურში), ახლა კი ხუთ შეხვედრაში ერთით მეტი გოლი გავიდა. ამას გარდა, ასევე პირველად მოხდა, როცა ტურის ხუთივე მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა, თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, ხუთივე წყვილში ფავორიტებად სწორედ მასპინძლები მიიჩნეოდნენ. ახლა კი, კონკრეტულ ფეხბურთელებზეც: სეზონში პირველი გოლები გაიტანეს **შოთა კაშიამ, ნიკოლოზ მაისურაძემ** (ორივე - „სპარტაკი“) და **მიხეილ ბობოხიძემ** („სიონი“); ამას გარდა, ორმა ფეხბურთელმა „დუბლი“ შეასრულა: **ირაკლი ეხვაიამ** („ბაია“) და **ტიერი-ანს კლოვისმა** („სპარტაკი“). თუმცა, XVIII ტურს სხვა გმირებიც ჰყავდა და ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის დამსახურებულ ვეტერან **დავით მუჯირს** ვგულისხმობთ, ვისმა ოსტატურად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ „დინამოს“ მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუპოვა პრინციპულ მეტოქესთან („ტორპედო“) მატჩში. არც ის ფაქტი იყო უმნიშვნელო, რომ XVIII ტურის ამ ცენტრალურ მატჩს **რომან ფიფიაც** ესწრებოდა — „დინამოს“ სავარაუდო მეპატრონეს თავის მომავალ გუნდზე როგორი შთაბეჭდილება დარჩებოდა, ძნელი სათქმელია, თუმცა „დინამოს“ გამარჯვება რომ გაახარებდა, ფაქტია. აქვე, არც ის დაგვავიწყდეს, რომ „დინამომ“ ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მატჩი ერთნაირი ანგარიშით (1:0) მოიგო და ორივეჯერ თავის პრინციპულ მონინაალმდეგეებს („ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“) ეთამაშებოდა; თანაც, ორივე ეს წარმატება დავით მუჯირის საფირმო შორეულ დარტყმებს მოჰყვა...

დაბოლოს, ტურის კიდევ ორ მოვლენაზეც; უმაღლეს ლიგაში კიდევ ერთი დებიუტის მომსწრენი გავხდით: ახალგაზრდა მწვრთნელმა **თორნიკე მაისურაძემ** პირველსავე მატჩში წარმატებას მიაღწია და მისმა დამოძღვრილმა „ოლიმპმა“ ქვემოქართლურ „დერბიში“ ბოლნისის „სიონს“ უპრობლემოდ მოუგო. ოღონდ, ეს შეხვედრა, როგორც, საერთოდ, ფეხბურთშია მიღებული, 90 წუთის ნაცვლად... მხოლოდ 60 წუთს გაგრძელდა, — დანარჩენი დროის განმავლობაში ორივე გუნდის ფეხბურთელები მოედანზე, ფაქტობრივად, დადიოდნენ!.. თუმცა, ტურის მოვლენებს ბევრად უფრო დადებითი ფაქტორით დავამთავრებთ: „ზესტაფონის“ ფორვარდმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** თავის ყოფილი გუნდის („ვიტ ჯორჯია“) კარში სამი გოლი გაიტანა. სულ კი ჩემპიონატის სტარტიდან გელაშვილის გარდა „ჰეთ-თრიქი“ კიდევ ორ ფეხბურთელს აქვს შესრულებული: **რატი ნინამძღვრიშვილს** („ზესტაფონი“) და **ირაკლი მოდებაძეს** („ოლიმპი“).


დინამო-ტორპედო. დავით მუჯირის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## აუცილებელი საკითხავი

...2010 წლის საფეხბურთო სეზონი... ჯერ არ დასრულებულა: ხვალ და ზეგ თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩებია, 21 დეკემბერს კი სუპერთასის შეხვედრაა. აქვე, სატურნირო ცხრილთან დაკავშირებით მცირე განმარტებაც გვინდა გავაკეთოთ. უფრო ზუსტად, საქართველოს 2010-2011 წლების XXII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველობის რეგლამენტს მოვიშველიებთ, კერძოდ, IV პუნქტს („ჩემპიონატის ჩატარების პირობები“), რომლის მიხედვითაც თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

1) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

2) უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრაში მეტი გოლი აქვს გატანილი;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) „ფეარ-პლეის“ შედეგები (ყველა მატჩზე დელეგატის მიერ შევსებული გუნდებისა და მოთამაშეების „ფეარ-პლეის“ პრინციპების შეფასების გათვალისწინებით;

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

ყოველივე ეს კი იმიტომ გვინდა მკითხველს შევახსენოთ, პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილის ირგვლივ რაიმე გაურკვევლობა რომ არ იყოს. მაგალითად, „ზესტაფონი“ „ოლიმპზე“ წინ მოგებათა მეტი რაოდენობითაა; იმავეს თქმა შეიძლება IV-V-VI ადგილზე მყოფ სამ ერთნაირქულიან გუნდზეც. აი, რაც შეეხება IX და X ადგილებს, ამ შემთხვევაში „კოლხეთს“ ურთიერთშეხვედრებში აქვს უპირატესობა „სამტრედიასთან“ და კონკურენტთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა იმყოფება.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## დამსახურებული ლიდერი

პირველ ეტაპს დამსახურებული გამარჯვებული ჰყავს: „ზესტაფონმა“ ბოლო პერიოდში ისეთი ტემპი „აკრიფა“, ვისაც შეხვდა, ყველას უმოწყალოდ გაუსწორდა! თავად განსაჯეთ: ბოლო ხუთ შეხვედრაში (ოთხი - ჩემპიონატის, ერთიც-თასის) **გია გეგუჩაძის** გუნდმა მეტოქეთა კარში 19 გოლი გაიტანა და ამავდროულად, საკუთარში არც ერთი გაუშვა! ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი გუნდი სწორედ „ზესტაფონია“ — 18 მატჩში 39 გოლი მართლაც არ არის ურიგო მაჩვენებელი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ 39 გოლიდან უმეტესი (27) ფორვარდების ანგარიშზეა: გელაშვილის მსგავსად რატი ნინამძღვრიშვილსაც 10 ბურთი აქვს გატანილი, ხოლო **ჯაბა დვალს** — 7. თუმცა, „ზესტაფონის“ წარმატებული ასპარეზობა მხოლოდ ფორვარდების შედეგიან თამაშზე არ არის დამოკიდებული: მეკარეც, მცველებიც და ნახევარმცველებიც ისეთ ფეხბურთს უჩვენებენ, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს რომ ეკადრება. საერთოდაც, ადრეც არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ ამ სეზონში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს სწორედ „ზესტაფონი“ უჩვენებს. მოკლედ, ვიდრე სეზონი განახლდება, „ზესტაფონს“ „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალური, მაგრამ მაინც საამო ტიტულით შეუძლია იამაყოს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ თითქმის უმეტეს შემთხვევებში, სეზონის ბოლოს საბოლოო გამარჯვებული სწორედ „ზამთრის ჩემპიონი“ ხდებოდა. თუმცა, არავინ იცის, ამ ზამთრის პაუზის მერე „ზესტაფონის“ კონკურენტ გუნდებში მოვლენები როგორ განვითარდება: ქვეყნის ჩემპიონი „ოლიმპიც“ სერიოზულ გაძლიერებას გეგმავს, რომ აღარაფერი ვთქვათ „დინამოში“ მოსალოდნელ სიახლეებზე...


პირველ ეტაპს დამსახურებული გამარჯვებული ჰყავს
ფოტო: www.fczestafoni.ge

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 18 | 12 | 1 | 5 | 39 | 12 | 37 | 8 | 7 | 0 | 1 | 23 | 2 | 21 | 10 | 5 | 1 | 4 | 16 | 10 | 16 |
| 2 | ოლიმპი | 18 | 11 | 4 | 3 | 29 | 15 | 37 | 9 | 8 | 1 | 0 | 16 | 2 | 25 | 9 | 3 | 3 | 3 | 13 | 13 | 12 |
| 3 | დინამო | 18 | 10 | 5 | 3 | 23 | 9 | 35 | 9 | 7 | 2 | 0 | 17 | 4 | 23 | 9 | 3 | 3 | 3 | 6 | 5 | 12 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 1 | 10 | 17 | 24 | 22 | 9 | 5 | 0 | 4 | 13 | 12 | 15 | 9 | 2 | 1 | 6 | 4 | 12 | 7 |
| 5 | ბაია | 18 | 6 | 4 | 8 | 18 | 22 | 22 | 10 | 5 | 3 | 2 | 13 | 10 | 18 | 8 | 1 | 1 | 6 | 5 | 12 | 4 |
| 6 | ტორპედო | 18 | 5 | 7 | 6 | 9 | 10 | 22 | 9 | 3 | 5 | 1 | 5 | 3 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 4 | 7 | 8 |
| 7 | სიონი | 18 | 5 | 6 | 7 | 12 | 22 | 21 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 | 15 | 9 | 1 | 3 | 5 | 4 | 15 | 6 |
| 8 | კოლხეთი | 18 | 5 | 4 | 9 | 14 | 28 | 19 | 9 | 5 | 1 | 3 | 11 | 7 | 16 | 9 | 0 | 3 | 6 | 3 | 21 | 3 |
| 9 | სამტრედია | 18 | 5 | 4 | 9 | 17 | 31 | 19 | 9 | 5 | 2 | 2 | 10 | 7 | 17 | 9 | 0 | 2 | 7 | 7 | 24 | 2 |
| 10 | სპარტაკი | 18 | 4 | 4 | 10 | 18 | 23 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 16 | 10 | 12 | 9 | 1 | 1 | 7 | 2 | 13 | 4 |

ინტერვიუ



გიორგი დათუნაიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ქომაგია

## გასეირნება ევროპაში ქუთაისიდან გაუსვლელად

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. ქუთაისის "ტორპედომ" მეექვსე ადგილი დაიკავა და ჯერჯერობით გულშემატკივრის იმედი ვერ გაამართლა.**

**რა იყო ამის მიზეზი, რას ნიშნავს მაყურებლის თანადგომა და რას იმედოვნებს მეორე ეტაპზე – ამის თაობაზე "ლელოს" ქუთაისელთა ნახევარმცველი გიორგი დათუნაიშვილი ელაპარაკება.**

**- პირველი ეტაპი „ტორპედომ" ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან მარცხით დაასრულა. კრიტიკულ მომენტში "დინამოს" დაცვის გარღვევა გაგიჭირდათ.**

- დღევანდელი შემადგენლობით თბილისის „დინამო" გაცილებით დიდხანს თამაშობს, ვიდრე - „ტორპედო". მეტოქე ჩვენზე ბევრად უკეთ შეთამაშებულია და, ალბათ, წაგების მთავარი მიზეზი ეს გახდა. "ტორპედო" ჯერ არ არის ერთ მუშტად შეკრული და შეთამაშებული. მაგრამ იმედია, მეორე წრეში ასეთ გუნდს იხილავთ. დავაზუსტებ: მე სათამაშო ურთიერთგაგებას ვგულისხმობ, თორემ ბიჭები, ცხადია, დავმეგობრდით. მეტი დრო გვჭირდება, „დინამოს" მის მოედანზე თანაბარი ბრძოლა რომ გავუმართოთ. საერთოდ, ძლიერი გუნდი სამოთხ თვეში ვერ ჩამოყალიბდება. და მაინც, „დინამოსთან" თავიდან კარგად დავიწყეთ, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ დასანანმა გოლმა აგვრია და მატჩის შემოტრიალების ძალა არ აღმოგვაჩნდა.

**- ყველაზე უმაყურებლო „ვიტ ჯორჯიადან" ყველაზე მაყურებლიან „ტორპედოში" აღმოჩნდით – დარწმუნებული ვარ, ეს ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებაა.**

- რა თქმა უნდა, მეტი პასუხისმგებლობა და სტიმულია. როდესაც მაყურებელი შენგან მეტს ითხოვს, მერე შენც უფრო მობილიზებული ხარ, რათა ხალხი გაახარო. ქომაგმა არ უნდა იფიქროს, რომ სტადიონზე ტყუილად მოვიდა. ქუთაისში დავრწმუნდი, ეროვნული პირველობის დონე მაყურებელზეცაა დამოკიდებული, რაც უფრო მეტი ადამიანი მოვა სტადიონზე, მით უკეთესი პირველობა გვექნება.

**- უმაყურებლოდ როგორ თამაშობდით?**

- ქუთაისში მაყურებლის ისეთი მხარდაჭერა ვიგრძენი, ახლა ველარ ვხვდები, მათ გარეშე „ვიტ ჯორჯია" წარმატებებს როგორ აღწევდა. მაგარი გუნდი იყო, მაგრამ ჩვენ სანახავად მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები დადიოდნენ, მაყურებელი მხოლოდ ევროთასებზე გვყავდა. არადა, ეს გუნდი მხარდაჭერას იმსახურებდა.

მაშინ, როდესაც ტრიბუნა სანახევროდ მაინც არის შევსებული, მოდუნებული სუსტ გუნდთანაც ვერ ითამაშებ. პირიქით, ბოლომდე იბრძვი და თავს იკლავ ტაშისთვის, რომელიც ყველანაირ ფულზე მეტი სიამოვნებაა.

„ვიტ ჯორჯია" კი უმაყურებლო გუნდი იყო და, კი არ გვინდოდა, მაგრამ ზოგჯერ თავს მოდუნების უფლებას ვაძლევდით. ეს უნებლიედ ხდებოდა, რადგან ტრიბუნიდან სტიმულს ვერ ვიღებდით.

**- თუმცა გასულ სეზონში იმ უმაყურებლო „ვიტ ჯორჯიაში" უფრო სასარგებლოდ გამოიყურებოდით, ვიდრე წლეულს „ტორპედოში" – ახალ გუნდს დღემდე ვერ შეეგუეთ?**

- საქმე ისაა, რომ „ვიტ ჯორჯიაში" რამდენიმე წელიწადი ვთამაშობდი, გუნდის ბირთვი დიდხანს ყალიბდებოდა, ბიჭები ერთმანეთს ვუგებდით ასეთ ნაცნობ გარემოში მეც უკეთ ვთამაშობდი და კვარაცხელიაც.

„ტორპედოშიც" ასე იქნება, ნელ-ნელა ბიჭებსაც გავუშინაურდი და ქუთაისსაც, ერთმანეთს გავუგეთ და მალე სათამაშო გაგებასაც მივაღწევთ. თუმცა გუნდი ჯერაც ჩამოსაყალიბებელია. თამაში რომ წაგივიდეს, თანაგუნდელებს უსიტყვოდ უნდა გრძნობდე. „ვიტ ჯორჯიაში" ასე იყო, წინასწარ ვიცოდი, ვინ სად გაიხსნებოდა და ვინ სად მომცემდა ბურთს, უფრო სასარგებლოდ ამიტომაც ვთამაშობდი. ქუთაისში კი ძველი ნაცნობებიდან მხოლოდ დილმელაშვილი და კვარაცხელია დამხვდნენ.

**- ძლიერ გუნდში თამაშობდით და „ტორპედოს" შესაძლებლობებს რეალურად შეაფასებთ.**

- შესაძლოა, „ტორპედოს" „ვიტ ჯორჯიაზე" მეტი პოტენციალი გააჩნია, რადგან კარგი ფეხბურთელების გარდა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი გვყავს და დარწმუნებული ვარ, მალე ანგარიშგასაწევი გუნდი გავხდებით... სასიამოვნო საფეხბურთო ატმოსფერო მხოლოდ სამ ქალაქში, ქუთაისში, სამტრედიასა და ზესტაფონშია. განათებულ მოედანზე გასვლის დროს ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ევროპულ სტადიონზე ვთამაშობ. ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია, მაყურებელი, განათებაზე თამაში, პირობები...

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვამბობ, რომ „ტორპედოს" დიდი პოტენციალი აქვს. მარტო კლასი არაფერს ნიშნავს, თუ გულშემატკივარი გვერდში არ დაგიდგა და სისხლი არ აგიდუღა.

**მერაბ მამულაშვილი**

სამტრედია

# სანაიამ სამტრედია დატოვა

## დატოვებს სამტრედია ჩემპიონატს?

ძალიან მძიმე ვითარებაა "სამტრედიაში" – უმაღლესი ლიგის კოლორიტად ქცეული კლუბი დაშლის პირასაა, განმკითხველი კი არსაიდან ჩანს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ **გელა სანაიამ** მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ინფორმაცია კლუბის პრეზიდენტმა **ზაზა ადეიშვილმა** დაგვიდასტურა.

*"სამწუხაროდ, სანაია მართლა წავიდა. მადლობის მეტი რა მეთქმის, გელა ძალიან კარგი პიროვნება და მწვრთნელია, "სამტრედიაში" გულიანად იმუშავა და კლუბს ხელი დაატყო. გული მწყდება, ჩვენთან რომ აღარ იმუშავებს, მაგრამ იმდეწად მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდით, ტყუილ დაპირებებს ვერ მივცემდით. .*

*დროებითი მთავარი მწვრთნელის დანიშვნას აზრი არც ჰქონდა, რადგან პირველი ეტაპი დასრულდა და ფეხბურთელები დასასვენებლად გავუშვით. მერე კი, თუ გუნდი შეიკრიბება*



გელა სანაია

*და არ დავიშალეთ, მწვრთნელად ლევან ანჯაფარიძე იმუშავებს. არადა, ახალი წელი მოდის და არავინ გვაიმედებს, რომ მეორე ეტაპზე მცირედით მაინც დაგვაფინანსებს. იმავეს ვიტყვი სახელფასო დავალიანებაზე. მე სამტრედიელების წინაშე სხვა პასუხისმგებლობა დავიკისრე, პირადი ვალებით და წვალებით გუნდი ბოლომდე შევინარჩუნე, როდესაც ეს ფოთსა და ზუგდიდში ვერ მოახერხეს. მაგრამ ვინ გაისტუმრებს ფეხბურთელებისა და მწვრთნელების 80-ათასლარიან ვალს, წარმოდგენა არ მაქვს. მადლობა ღმერთს, იმერეთში "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" სახით ძლიერი კლუბები გამოჩნდა, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ "სამტრედია" ზედმეტი ბარგია?*

*ფოთს და ზუგდიდს აიმედებენ მაინც, ჩვენ ისიც არ ვიცით, რას ველოდოთ, რადგან იმედიანი სიტყვა არავისგან გვესმის. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ეტაპზე კლუბი ველარ იარსებებს. ან ისლა დაგვრჩენია, სანტა კლაუსს დაველოდოთ", - გვითხრა ადეიშვილმა.*

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

# ნეიმარი ოლიმპიადამდე მოიცდის



"სანტოსის" ფორვარდ **ნეიმარის** აგენტის, **ვაგნერ რიბეიროს** განცხადებით, მისი კლიენტი კლუბის შეცვლას ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე არ აპირებს.

ნეიმარი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ ბრაზილიაში უკვე დაიგდო სახელი და ევროპაშიც არაერთი გრანდი დააინტერესა. ყველაზე მეტად "ჩელსი" აქტიურობს. **რომან აბრამოვიჩმა** ამას წინათ ცნობილი ებრაელი საფეხბურთო აგენტი **პინი ზაჰავი** ბრაზილიაში გაგზავნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნეიმარისა და მისი წარმომადგენლების დაყოლიება ვერ შეძლო.

*"ზაჰავი ჩემი მეგობარია, მაგრამ მას მკაფიოდ ავუხსენი, რომ ნეიმარის ახლო მომავალში "ჩელსიში" გადასვლა გამორიცხულია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კლუბთან კონტაქტს ვწყვეტთ. ნეიმარს უნდა, "სანტოსში" თამაში გააგრძელოს და მასთან ერთად ლიბერტადორესის თასისთვის იბრძოლოს, 2012 წლის ოლიმპიადის შემდეგ კი კარიერას ევროპაში გააგრძელებს", - ამბობს რიბეირო.*

"ჩელსის" გარდა, ნეიმარის შეძენა "რეალს", "ბარსელონას", "ინტერსა" და "იუვენტუსს" სურთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფიფასგან კომპენსაციას ითხოვენ

სუპერმარკეტების ქსელი "მორისონსი", რომელიც ინგლისელთა წინასამუნდიალო კამპანიის ერთ-ერთი სპონსორი იყო, ფიფასგან კომპენსაციას ითხოვს. "მორისონსი" მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს სასამართლოში უჩივლებს და მისგან 1,6 მილიონი აშშ დოლარის მიღებას შეეცდება.

ერთი შეხედვით, ზემოთ ნახსენებ კომპანიას ამ თანხის მიღების მიზერული შანსი აქვს, მაგრამ "მორისონსი" ბრძოლას ბოლომდე აპირებს და წამყვან შვეიცარიელ ადვოკატებთან კონსულტაციებს აწარმოებს.

*"ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას ბრწყინვალე პროექტი ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ფიფამ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა რუსეთს მიანდო. კომპენსაციას კი იმიტომ ვითხოვთ, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო, ფიფა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არაორაზროვნად გამოხატავდნენ ჩვენ მიმართ მხარდაჭერას და რუსეთის სასარგებლო განცხადებები არ გაუკეთებიათ"*, - ამბობს "მორისონსის" გენერალური დირექტორი **დელტონ ფილიპსი**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კვარეჟმა თანამემამულეებს ელის

ბეშიქთაშელი **რიკარდო კვარეჟმა** იმედოვნებს, რომ მალე მის კლუბს კიდევ სამი პორტუგალიელი – **სიმაო საბროსა, უგო ალმეიდა** და **მანუელ ფერნანდეში** შეუერთდება. შეგახსენებთ, პირველი მათგანი მადრიდის "ატლეტიკოს" წევრია, მეორე - ბრემენის "ვერდერისა", მესამე კი - "ვალენსიასი".

დავიწყოთ სიმაოთი, რომელსაც "ატლეტიკოსთან" მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და მადრიდელები დაინტერესებულნი არიან, იგი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გაყიდონ. ესპანური წყაროების ცნობით, 31 წლის სიმაომ "ბეშიქთაშთან" უკვე შეათანხმა ფინანსური დეტალები და სტამბულში იმაზე მეტს გადაუხდიან, ვიდრე "ატლეტიკოში" უხდიდნენ.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ალმეიდა - "ვერდერთან" ხელშეკრულების ამოწურვამდე ექვსი თველა დარჩა, "მუსიკოსებიდან" წასვლა თავადაც სურს და მისი გაყიდვა "ვერდერსაც" ხელს აძლევს; "ბეშიქთაშს" ფერნანდეშის შეძენის სერიოზული შანსიც აქვს, რადგან ეს უკანასკნელი "ვალენსიაში" საკუთარი პოზიციებით უკმაყოფილოა. მან მიმდინარე პრიმერაში მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა, აქედან 5 სრულად.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბენდერი 2016 წლამდე

დორტმუნდის „ბორუსიამ" ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველ **სვენ ბენდერს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა. 21 წლის შუამარბი BVB-ში ახალი ხელშეკრულების მიხედვით 2016 წლამდე დარჩება. სვენი, რომელის ტყუპისცალი **ლარსი** „ლევერკუზენში" თამაშობს, „ბორუსიაში" 2009 წელს „მიუნხენ 1860"-დან გადავიდა.

*„დორტმუნდში უბედნიერესი ვარ და მინდა, რომ მთელი ჩემი კარიერა ამ გეიალურ კლუბში გავატარო,"* - უთხრა ბენდერმა „კიკერს". კლუბის სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** თქმით, სვენ ბედნერი „ბორუსიასთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ჩვენი გუნდის მომავალი სხვებთან ერთად, სვენთანაც ასოცირდებაო, ამბობს ცორკი.

**გოტფრიდ ლენცი**



რალფ რანგნიკი

# ჰოფემ ფირმინიო გაიფორმა

„ჰოფენჰაიმმა" ბრაზილიელ ფეხბურთელ **რობერტო ფირმინიოს** კონტრაქტი გაუფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ იანვარში ახალგაზრდა მოთამაშე გერმანულ კლუბში გადავა. 19 წლის ბრაზილიელმა ჰოფენჰაიმში სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და ოთხწლინახევარიან კონტრაქტს მოაწერა ხელი (2015 წლის ივნისამდე). ფირმინიო „ჰოფეში" ბრაზილიის მეორე ლიგის წარმომადგენლიდან, „ფიგერენსედან" გადადის.

*„მიხარია, რომ ერთ-ერთი გამორჩეული ბრაზილიელი ტალანტი, რომელზეც საკმაოდ ბევრი ევროპული გრანდი ნადირობდა, იანვრიდან ჩვენთან ითამაშებს,"* - აცხადებს „სოფლეების" დამრიგებელი **რალფ რანგნიკი**.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# იმედიანი კარლო და გაბრაზებული დროგბა



საბედისწერო პენალტი

„ჩელსის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტი** ამბობს, რომ მისი გუნდი შემდეგ კვირას „მანჩესტერ იუნაიტედს“ აუცილებლად დაამარცხებს – მიუხედავად იმისა, რომ მე-17 ტურში, „ტოტენჰემთან“ შეხვედრის ბოლო წუთზე **დიდიე დროგბამ** პენალტი ვერ გაიტანა, იტალიელი მწვრთნელის აზრით, „ლურჯებმა“ კრიზისი უკვე დასძლიეს. „უაით ჰართ ლეინზე“ დროგბა პირველ ტაიმში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ მეორეში საქმეში ჩაერთო და ჯერ **რომან პავლიუჩენკოს** გოლი გაქვითა, ბოლოს კი, როგორც მოგახსენეთ, **ეურელიო გომეშს** პენალტის ნიშნულიდან ვერ აჯობა.

დროგბას ეტყობა ძალიან ეწყინა, ანჩელოტიმ რომ სათადარიგოთა სკამზე დასვა. ეს აფრიკელ ფორვარდს მოედანზე შესვლისასაც ეტყობოდა და გოლის მერეც, როცა გატანა საერთოდ არ იზეიმა. „ტოტენჰემთან“ ფრის შემდეგ „ჩელსის“ უკვე ხუთი თამაშია არ მოუგია, ხოლო ბოლო 7 შეხვედრიდან მხოლოდ 6 ქულა აქვს მოპოვებული, მაგრამ მწვრთნელი ამბობს, რომ ბოლო თამაში სულ სხვა იყო:

*„ჩვენ მოგებას ვიმსახურებდით და ახლოს ვიყავით მიზანთან. გარწმუნებთ, შემდეგ შეხვედრაში გავიმარჯვებთ. თამაშით კმაყოფილი ვარ. კარგად დავიწყეთ, მეტოქე რომ დაწინაურდა, არ დავიბენით და მოვლენათა ჩვენს სასარგებლოდ შემოსატრიალებლად ყველა ღონე ვიხმარეთ. მართალია, ბოლო წამს ხელი მოგვეცარა და ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს არაფერი. მთავარია, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ და ცუდი პერიოდი დავძლიეთ, გამარჯვებები კი მოვა“.*

შემდეგი თამაშები დასავლეთლონდონელებს რთული ელით. ზემოთ გითხარით, რომ მე-18 ტურში მათ „სტემფორდ ბრიჯზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეწვევა, 27 დეკემბერს კი „ემირეიტზე“ „არსენალს“ უნდა შეხვდნენ.

„ლურჯების“ კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** თქვა: *„ახლა უკვე ჩვეულებრივად ვთამაშობთ, რომ გვჩვევია, ისე. ჩვენ გამარჯვების ჟინი და თავდადება გვეტყობოდა. სწორედ ასეთი უნდა იყოს „ჩელსი“. გუნდმა შეიძლება წააგოს, შეიძლება ფრედ ითამაშოს... მთავარია, ჟინი ეტყობოდეს და უნდა ვაღიაროთ - ბოლო შეხვედრებში სწორედ ეს არ იგრძნობოდა. საბედნიეროდ, „ტოტენჰემთან“ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. ეჭვი არასდროს მეპარებოდა, რომ ჩემი თანაგუნდელები და მწვრთნელი ყურებს არ ჩამოყრიდნენ“.*

კვირა საღამოს „უაით ჰართ ლეინზე“ დიდი ვნებათაღელვა იყო. თამაშის ბოლოს ტერი „ტოტენჰემის“ ფანებს დაუპირისპირდა კიდეც. ფანები აგინებდნენ, ტერიმ კი მათი მიმართულებით გადააფურთხა.

გუშინ, ტურის მიმოხილვაში მოგახსენეთ, რომ დროგბას გოლი მეკარე გომეშის შეცდომის გამო გავიდა. უცნაური გოლი იყო: „ჩელსის“ მეკარე **პეტრ ჩეხმა** ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან ჩააგდო, სადაც დროგბამ მცველს აჯობა – ერთი შეხებით ბურთი მისთვის ხელსაყრელი ადგილისკენ გადააგდო, შემდეგ გამოედევნა და დაარტყა. დარტყმულს გომეშმა ხელები დაახვედრა – წესითა და რიგით, უნდა მოეგერიებინა – მაგრამ, ბურთი რატომლაც თავზე გადაევლო და კარში შევარდა. „ტოტენჰემის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** ამ ეპიზოდში ყურადღება გომეშის უილბლობაზე კი არ გაამახვილა, არამედ იმაზე, თუ როგორ მიიღო ბურთი დროგბამ. რედნაპის აზრით, კოტდ'ივუარელმა ხელით ითამაშა.

„ჩელსის“ ფეხბურთში გარკვეულ გულშემატკივარს შესაძლოა ასეთი კითხვა დაებადოს: რატომ არ დაარტყა თერთმეტმეტრიანი **ფრენკ ლემპარდმა?** დასავლეთლონდონელთა მთავარი პენალტისტი ხომ დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ სწორედ ამ შეხვედრაში დაუბრუნდა მოედანს. ამაზე რედნაპმა (არ გაგიკვირდეთ, „სფურზის“ მწვრთნელმა „ჩელსის“ პენალტზე თავისი აზრი რომ გამოთქვა. ის ხომ ლემპარდის დეიდის ქმარია) ასე ბრძანა: *„მეგონა ფრენკი დაარტყამდა. როდესაც დავინახე, რომ ის ბურთისკენ არ წავიდა, გამიხარდა. ნამდვილად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ დროგბა ვერ გაიტანდა, მაგრამ ფრენკი რომ შეაგდებდა, ზუსტად ვიცოდი“.*

პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ ფრენკ ლემპარდმა პენალტის დასარტყმელად თავი მზად არ მიიჩნია.

კლუბი და ფეხბურთელი

# ასეთია ტევესის ვერსია

**კარლოს ტევესმა** თავისი სიბრაზე „მანჩესტერ სიტის“ აღმასრულებელი თავმჯდომარისკენ **გერი კუკისკენ** მიმართა – მას მერე, რაც კლუბმა თხოვნაზე უარი უთხრა და წასვლის შესახებ განცხადებაზე ხელი არ მოუწერა, არგენტინელმა საჯაროდ განაცხადა, თუ რატომ უნდა ისტლენდიდან წასვლა. ტევესი კუნძულ ტენერიფეზეა, „სიტის“ მწვრთნელის **რობერტო მანჩინის** ნებართვით ისვენებს. სწორედ იქიდან უამბო მან საფეხბურთო სამყაროს თავისი ამბავი, და სხვა მრავალთან ერთად ბევრის გასაკვირად ისიც თქვა, რომ მანჩინისთან სულაც არ აქვს ცუდი ურთიერთობა.

უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ტევესმა სამ მომენტს გაუსვა ხაზი: რატომ მიდის; რატომ ველარ გამოსწორდება მისი ურთიერთობა კლუბის ხელმძღვანელებთან, უპირველეს ყოვლისა, კუკთან და მესამე – წასვლის შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.

კარლოს ტევესს „მანჩესტერ სიტიში“ კონტრაქტის თანახმად კიდევ სამი წელიწადი და ექვსი თვე აქვს გასატარებელი, მაგრამ ამბობს, რომ თუ კლუბი ჯიბრში ჩაუდგება და არ გაუშვებს, ფეხბურთის თამაშს სულ დაანებებს თავს. ტევესი ჰყვება, რომ გადაწყვეტილებამდე იოლად არ მისულა, დიდხანს დასჭირდა ფიქრი, თუმცა გონებაში ყველაფერი ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს დაალაგა. ის ამტკიცებს, რომ არანაირი ახალი კონტრაქტი არ უთხოვია და საერთოდაც, ის, რაც ახლა ხდება, ფულთან არაფერ შუაშია.

საფეხბურთო სამყაროს კი ნაკლებად სჯერა, რომ ამქვეყნად რამე ფულთან არ არის დაკავშირებული. უკვე დაიწერა, რომ სიტუაციას დიდი ინტერესით აკვირდება „ჩელსი“, „სიტიმ“ კი პირველი რაც ილონა, ტევესის ცნობილ აგენტ **კია ჯურაბჩიანს** შეუტია – ვარსკვლავისთვის სხვა გუნდი შეარჩია და ეს ვნებათაღელვაც მისი დავალებით ატყდაო. ასეთმა ეჭვმა არგენტინელი გააბრაზა:

*„გადაწყვეტილება თავად მივიღე, ჩემზე ზეგავლენა არავის მოუხდენია. „მანჩესტერ სიტიდან“ წასვლა ადრევე მინდოდა და ამ საკითხზე ბევრს ვფიქრობდი კიდეც. ზაფხულზევე მინდოდა დამეტოვებინა ისტლენდი, მაგრამ დამარწმუნეს, რომ უნდა დავრჩენილიყავი. სამწუხაროდ, დარჩენის შემდეგ ჩემი გადაწყვეტილება არ შეცვლილა, ასე რომ, კლუბის ხელმძღვანელთა განცხადება, თითქოს „სიტიდან“ წასვლისკენ ვილაც მიბიძგებს, ტყუილია და მაღიზიანებს.*

*აშკარაა, რომ ეს ხალხი ახლა შეეცდება ყველაფერი სხვანაირად წარმოაჩინოს. ჩემი ურთიერთობა ოფისის ზოგიერთ წარმომადგენელთან იმდენად არის გაფუჭებული, რომ აღარაფერი ეშველება. მათ ეს ძალიან კარგად იციან, რადგან პირადად ვუთხარი“.*

შემდეგ, ტევესმა დიდი მადლობა შეუთვალა ფანებს, რომლებიც მისი ისტლენდზე თამაშის პერიოდში მხარში ედგნენ. კერძოდ, არგენტინელმა თქვა:

*„ფანებისთვის თამაში ისტლენდზე გადასვლის დღიდან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. მათ „სიტიში“ დიდი სიხარულით მიმიღეს და სამწუხაროა, რომ საქმე აქამდე მივიდა. ისინი წარმატებულ გუნდს იმსახურებენ – მეტად გულმხურვალენი და მომთმენნი არიან. „მანჩესტერ სიტი“ ბედნიერია ასეთი გულშემატკივარი რომ ჰყავს. ამასთან დავძენ, რომ თუკი ვინმეს ერთხელ მაინც უნახავს ჩემი თამაში „სიტის“ შემადგენლობაში, შეამჩნევდა, თუ როგორი ჟინით და მონდომებით ვიბრძოდი მოედანზე.*

*ვადასტურებ, გასულ კვირაში კლუბს ოფიციალური წერილით მივმართე და ტრანსფერი ვითხოვე. ერთი სიტყვით, კარიერის უმნიშვნელოვანესი პერიოდი მიდგას. რასაკვირველია, შემეძლო ახალი კონტრაქტისთვის მომეწერა ხელი – კლუბმა ამ სეზონის წინ მომმართა ასეთი წინადადებით – მაგრამ ჩემი ეს ნაბიჯი ფულით არ გახლავთ განპირობებული. ამის შესახებ როგორც დირექტორატს ასევე მწვრთნელებს რამდენჯერმე ველაპარაკე. აქვე მინდა დიდი მადლობა მოვახსენო კლუბის მეპატრონე შეიხ მანსურს, რომელმაც უხვი წინადადებით მომმართა. ეს არის ადამიანი, რომელსაც გაგება და მხარდაჭერა შეუძლია“.*



ტევესმა უკანდასაბრუნებელი გზა მოიჭრა

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტი“ ტევესის ისტორიას სხვანაირად ჰყვება. კერძოდ, თავის პირველ განცხადებაში კლუბმა დაწერა, რომ ფეხბურთელი და მისი აგენტები თავად ითხოვდნენ განახლებულ კონტრაქტსა და გასამრჯელოს მომატებას, მაგრამ „სიტის“ თავისი პრინციპები აქვს, სეზონის შუაში ხელშეკრულებებს არ აახლებს და არგენტინელმაც სწორედ ამ უარის გამო გადაწყვიტა ისტლენდის დატოვება. ამ ამბავზე, რასაკვირველია კიდევ ბევრი დაიწერება და ჩვენც მოგახსენებთ, მანამდე კი ტევესის მიერ ტენერიფედან გავრცელებულ განცხადებას დავუბრუნდეთ, სადაც, როგორც გითხარით, ბევრის გასაკვირად მან დაწერა, რომ რობერტო მანჩინისთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

*„მინდა ცხადად ვთქვა, რომ მწვრთნელთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ მაქვს“.*

ამ დღეებში რობერტო მანჩინი იტალიაშია, სადაც მამამისი მოინახულა და თვალის ექიმთან მივიდა. ტევესთან დაკავშირებული ბოლო ამბები მან სწორედ იქ, სამშობლოში შეიტყო. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ კლუბი ფეხბურთელის ამბავს სხვანაირად აღიქვამს და ის რომ მის იანვარში გაყიდვას არ აპირებს, უკვე განაცხადა. ამბობენ, ახლა მანჩინის წინაშე მორიგი საკითხი დგას, დატოვოს ტევესი კაპიტნად თუ სამკლავური ვინმე სხვას გადასცესო.

უახლოესი თამაში „მანჩესტერ სიტის“ სწორედ იტალიაში აქვს, ხუთშაბათს ევროლიგაზე „იუვენტუსს“ უნდა შეხვდეს. წესითა და რიგით, არგენტინელი გუნდს ტურინში უნდა შეუერთდეს, თუმცა რა მოხდება, ჯერ გაურკვეველია.

ამბები

## სახალხო მწვრთნელი

„ნიუკასლ იუნაიტედიდან“ გაგდებული მწვრთნელი **კრის ჰიუტონი** შესაძლოა სულ მალე ისევ პრემიერლიგაში ვიხილოთ – ამბობენ, „ვესტ ჰემი“ დაქირავებას უპირებსო. ეს ცნობა გაზეთმა „სანდი ექსპრესმა“ გაავრცელა.

მოგეხსენებათ, ბოლო ტურში „ვესტ ჰემმა“ „მანჩესტერ სიტისთან“ 3:1 წააგო და ცხრილში ბოლო ადგილზეა, რაც გუნდის თავკაც **ავრამ გრანტს** ავტომატურად ზეწოლის ქვეშ აყენებს. მიმომხილველები წერენ, რომ პრემიერლიგიდან გავარდნა „ჩაქუჩებისთვის“ ფინანსური თვალსაზრისით საშინელება იქნება. კლუბი დიდ ვალებშია და მისი მეპატრონეები **დევიდ გოლდი** და **დევიდ სალივანი** შეეცდებიან ახლავე იღონონ რამე მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

შეგახსენებთ, რომ ჰიუტონი ყველას გასაკვირად მოხსნეს „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავკაცის თანამდებობიდან – ამ მწვრთნელმა „კაჭკაჭები“ ჯერ პრემიერლიგაში ალაზევა, შემდეგ კი იქ ცხრილის შუაში დაამკვიდრა. ახლა, ამბობენ, რომ გოლდისა და სალივანის სიაში ის პირველ ნომრად წერია.

„ტოტენჰემ ჰოთსპურში“ მწვრთნელის ასისტენტად ნამუშევარ ჰიუტონს ფეხბურთელების საყვარელი შეფის სახელი აქვს გავარდნილი. ალბათ, სწორედ ამიტომ ხედავენ „ვესტ ჰემის“ მესაკუთრეები ხსნას მის დანიშვნაში. სხვათა შორის, ახალ სამსახურში მის მთავარ კონკურენტად თურმე მისი „სფურზის“ დროინდელი უფროსი **მარტინ იოლი** განიხილება.

## რიოს ოთხი უნდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი **რიო ფერდინანდი** კლუბს ახალ კონტრაქტს სთხოვს. მას სურს კარიერა „ოლდ ტრეფორდზე“ დაასრულოს. მოქმედი კონტრაქტის თანახმად ფერდინანდმა, რომელმაც ბოლო წლებში ბევრი ტრავმა მიიღო, „იუნაიტედში“ კიდევ ორი წელიწადი უნდა გაატაროს, თუმცა ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ სერ **ალექს ფერგიუსონი** გაუგებს და ვადას გაუხანგრძლივებს.

*„მინდა კარიერა აქ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ დავასრულო – უთხრა ფერდინანდმა „სანდი ტელეგრაფს“ - „ოლდ ტრეფორდზე“ ჯერ კიდევ ორ წელიწადს უნდა დავრჩე, მაგრამ თუ მწვრთნელი დაინახავს, რომ ჯანზე ვარ, იქნებ ეს ორი წელიწადი ოთხით შევაცვლევინო, რაც ჩემს ასაკში დიდებული იქნება“.*

რიო ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ 2002 წელს „ლიდსიდან“ გადავიდა. „იუნაიტედმა“ მასში 30 მილიონი ფუნტი გადაიხადა. მცველში ასეთი თანხის გადახდა იმხანად მსოფლიო რეკორდი გახლდათ. მანჩესტერელებთან“ ერთად ფერდინანდმა პრემიერლიგის ოთხი ტიტული მოიგო.

## ჰესკის ყველაფერი წინ აქვს

„ასტონ ვილას“ თავკაცი **ჟერარ ულიე** დარწმუნებულია, რომ მისი თავდამსხმელი **ემილ ჰესკი** კიდევ უფრო კარგად ათამაშდება. ცნობისთვის: ჰესკი 11 იანვარს 33 წლისა გახდება.

საქმე ის გახლავთ, რომ რაც ბირმინგემული კლუბის მწვრთნელად „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცი ულიე დანიშნეს, თითქოსდა მიკარგული ჰესკი გამოცოცხლდა – ყოფილმა შეფმა, ეტყობა, ახალგაზრდობა გაახსენა. ფრანგი „ვილა პარკზე“ სამი თვეა, რაც მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ჰესკიმ ჯერ 6 შეხვედრაში 3 გოლი შეაგდო, შემდეგ კი მუხლი იტკინა და ერთხანს საქმეს ჩამოშორდა, მაგრამ აი, შაბათს „ვესტ ბრომვიჩთან“ მოედანს ისევ დაუბრუნდა და კვლავ გაიტანა. მაგრამ, ულიე ჰესკის თვისებრივად გადასხვაფერებაზე ლაპარაკობს. ის ამბობს, რომ კაცს, რომელიც 15 წელიწადია, რაც ფეხბურთს თამაშობს, როგორც არასდროს, ისე შეუძლია აამაღლოს თავისი ოსტატობა.

*„ემილი გახლავთ ფეხბურთელი, რომელსაც სულ საკუთარ თავში დარწმუნება სჭირდება. დღეს მას ამაში თანაგუნდელები ხელს უწყობენ. როდესაც ჰესკი „ლესტერში“ თამაშობდა მე კი „ლივერპულს“ ვედექი სათავეში, მე ის ვიყიდე, რადგან ვიცოდი, რისი შემძლეც იყო. არ დაგავიწყდეთ, „ვესტ ბრომვიჩთან“ მოედანზე რომ შევიდა, ის დიდი ხნის უთამაშებელი იყო. როდესაც მოედანზე ოპერაციის მერე ბრუნდები და ასე თამაშობ, ესე იგი, განსაკუთრებული თვისებების მქონე ფეხბურთელი ხარ.*

*ჰესკისგან მეტს თუ უნდა ველოდოთ? პროგრესს ასაკი ვერ ზღუდავს. განვითარება ყოველთვის შეიძლება. თუ ფიზიკური და მენტალური ენერგია გაქვს, ყოველთვის წახვალ წინ. გარწმუნებთ, ჰესკის არც ერთი აკლია და არც მეორე“.*

### ინგლისი

პრემიერლიგა. XVII ტური

**მანჩესტერ იუნ.-არსენალი 1:0**

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-5-1):** ვან დერ სარი - რაფაელი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, დ. ფლეტჩერი, ანდერსონი (85. გიგზი), პარკი, ნანი - რუნი

**არსენალი (4-4-2):** სჩესნი - სანია, სკილაჩი, კოშელნი, კლიში - უილშერი (64, ვან პერსი), სონგი, არშავინი (77. უოლკოტი), ნასრი - შამახი, როსიცკი (64. ფაბრეგასი)

**გოლები:** 1:0 პარკი (41)

**ვერ გაიტანა პენალტი:** რუნი (74)

**გაფრთხილება:** შამახი, არშავინი, კლიში, სონგი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 9-17; **კარში დარტყმა:** 17-10 (6-5); **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 75 227

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ

# დელ ნერის მოულოდნელი განცხადება

## ბუფონი საჭირო აღარ არის?

„ლაციოსთან“ გამარჯვების შემდეგ, „იუვენტუსის“ ბანაკში თითქოს სრული იდილია უნდა იყოს, თუმცა ეგრეც არ არის საქმე. ყველაფერი კი **ლუიჯი დელ ნერის** ბრალია, ვინაც პრესასთან საუბარში **ჯანლუიჯი ბუფონის** შესახებ არცთუ კორექტული განცხადება გააკეთა. ამას არავინ ელოდა, რადგან აქამდე მუდმივად იმაზე იწერებოდა, რომ ტურინში მოუთმენლად ელოდნენ ბუფონის მოედანზე დაბრუნებას. მივყვეთ თანამიმდევრობით: „იუვე“-“ლაციოს“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დელ ნერიმ ბანალური კომენტარები გააკეთა იმის შესახებ, რომ მისმა გუნდმა მთლიანობაში ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და სამი ქულა დამსახურებულად მოიპოვა. იქვე დასძინა, რომ **მილოშ კრასიჩი** „იუვესთვის“ უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და მისი ტრანსფერი ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. გარდა ამისა, მეტოქე შეაქო - დღეს ნათლად გამოჩნდა, თუ რატომ უკავია „ლაციოს“ სატურნირო ცხრილში ასეთი მაღალი ადგილიო. ამ ყველაფრის შემდეგ, დელ ნერის ერთი ასეთი კითხვა დაუსვეს: „სეზონის მეორე ნახევარში ალბათ გაცილებით უფრო ძლიერ „იუვენტუსს“ ვიხილავთ, მით უმეტეს, გუნდს ჯანლუიჯი ბუფონი უბრუნდება“... მწვრთნელის კომენტარი ყველასთვის მოულოდნელი იყო:

*„გეთანხმებით, სეზონის მეორე ნახევარში უკეთესი გუნდი გვეყოლება და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. სწორი გზით მივდივართ და დღითი დღე ვვითარდებით, რაც მაძლევს კიდეც ასეთი პროგნოზის გაკეთების საფუძველს. რაც შეეხება ჯანლუიჯი ბუფონს, არა მგონია, რომ ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურა იყოს დღეს გუნდისთვის, როგორიც თუნდაც ერთი წლის წინ. ერთ დროს, ჯიჯი „იუვეს“ მთავარი ვარსკვლავი იყო, მაგრამ ვითარება შეიცვალა. ხშირმა ტრავმებმა გულშემატკივარი მიაჩვია იმას, რომ გუნდს ჯიჯის გარეშე უწევს ასპარეზობა. რა თქმა უნდა, მისი გამოჯანმრთელება ყველას გაგვახარებს, მაგრამ გუნდის პროგრესის და თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას ჯიჯის დაბრუნებასთან არ გავაიგივებდი“.*

აი ამ პასუხს კი ბანალურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ - დელ ნერი მალე წამოდგა და ჟურნალისტებს გაეცალა, რომლებმაც გზაში დააყარეს კითხვები, თქვენსა და ჯიჯის შორის უთანხმოება ხომ არ არისო, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. თუმცა, იტალიელ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ - მიდგნენ, მოდგნენ და გაარკვიეს, რომ დელ ნერი ბუფონის საქციელით ყოფილა გაბრაზებული. თურმე, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც კიპერი ტრავმას მკურნალობს, სულ ორ-სამჯერ მისულა საწვრთნელ ბაზაზე და ისიც რამდენიმე წუთით. დელ ნერი კი იმ მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გუნდის ერთ მუშტად შეკვრას და ერთსულოვნებას. ამასთან, რამდენიმე დღის წინ გამართულ ფოტოსესიაზე, რომელშიც მთელმა „იუვენტუსმა“ მიიღო მონაწილეობა, ბუფონი არ გამოცხადდა და გადაღებებმა მის გარეშე ჩაიარა. არადა, ჯიჯის თურმე არაერთგზის შეატყობინეს, რომ საწვრთნელ ბაზაზე ფოტოსესია იგეგმებოდა და მისი იქ ყოფნა აუცილებელი თუ არა, სასურველი იყო. ტურინელთა ბანაკში ერთი კულუარული ინფორმაციაც გავრცელებულა, რომლის მიხედვითაც ბუფონის გადაბირებით „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი **ალექს ფერგიუსონი** ყოფილა დაინტერესებული. ინგლისელები **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელზე ფიქრობენ და თვალი სწორედ იტალიელ კიპერს დაადგეს. რაც მთავარია, მანჩესტერელებთან საუბარში ინგლისში გადაბარგების სურვილი თავად ბუფონსაც გამოუთქვამს. ამ ყველაფერმა დელ ნერი თურმე ძალიან გააბრაზა და ეს პრესკონფერენციაზე ველარ დამალა.



დელ ნერი პრესკონფერენციაზე

იტალიელი ჟურნალისტები ბუფონის პირად აგენტს, **სილვანო მარტინას** შეეხმიანენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„ძალიან საცოდავი სანახავი იყო დელ ნერი პრესკონფერენციაზე, რადგან თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა. სიმართლე გითხრათ, მისი ასეთი საქციელი ძალიან გამიკვირდა, რადგან როგორც ღირსეულ ადამიანს, ისე ვიცნობდი. ვერ გეტყვით, რატომ გააკეთა ასეთი კომენტარი, ჯიჯი ყველა ინტერვიუში იმას ამბობს, რომ „ვეკია სენიორაში“ უნდა კარიერის გაგრძელება და მეტიც, დასრულება. სულ რომ მართლა ასე ფიქრობდეს მწვრთნელი, ამის საჯაროდ გაცხადება არასწორი იყო. რით დასრულდება ეს ყველაფერი? - ვერაფერს გეტყვით, ჯერ ჯიჯისთან არც მილაპარაკია, თუმცა დარწმუნებული ვარ, ვითარების გამწვავებას ყოველმხრივ მოერიდება“.*

რა თქმა უნდა, კომენტარის გაკეთება მოუწია „იუვენტუსის“ სპორტულ დირექტორ, **ჯუზეპე მაროტასაც**. ის ყველაზე აქტიური ფიგურაა ტურინული გრანდის მესვეურთა შორის და ასეთ დროს, პრესასთან ხშირად ურთიერთობს: *„პრესკონფერენციაზე არ ვყოფილვარ და სიმართლე გითხრათ, დელ ნერის კომენტარი არ მომისმენია. მგონია, რომ ჟურნალისტები დრამატიზირებას უკეთებენ ამ ყველაფერს და რეალურად, ლუიჯიმ სულ სხვა შინაარსის განცხადება გააკეთა. „იუვენტუსი“ დიდი გუნდია და ერთ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული, თუნდაც ის მოთამაშე მსოფლიოს დონის ვარსკვლავი იყოს. ვფიქრობ, სწორედ ამის თქმა სურდა, თქვენ კი მის სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცით“.*

მაროტამ თავისებურად შეალამაზა დელ ნერის სიტყვები, მაგრამ ფაქტია, რომ მწვრთნელს ასე კორექტულად და დიპლომატიურად არ ულაპარაკია. რით დასრულდება ეს ყველაფერი? - კითხვა, რომელიც პრესაში უკვე არაერთხელ გაისმა. შესაძლოა, ძალიან მალე მოგვარდეს ყველა გაუგებრობა და ვთქვათ, ჯერ დელ ნერიმ მოიხადოს ბოდიში, შემდეგ კი ბუფონმა შეჰფიცოს „იუვენტუსს“ ერთგულება, ან პირიქით, გამწვავდეს კონფლიქტი და ჯიჯიმ მართლაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ ამოყოს თავი. ვნახოთ, ამას დრო გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**

ᲯᲘᲚᲓᲝ



ადრიანო

# ადრიანო ოქროს ურნების რეკორდსმენია

„რომას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ადრიანომ** არცთუ სასურველი, მაგრამ მაინც პრიზი მიიღო - ის 2010 წლის „ოქროს ურნის“ მფლობელი გახდა, ანუ ყველაზე წარუმატებელი ფეხბურთელის სტატუსი არავის დაუთმო. ეს „პრიზი“ ადრიანომ მესამეჯერ მიიღო კარიერაში და ამ მხრივ, აბსოლუტური რეკორდსმენია. აქვე დავაზუსტოთ, რომ ადრიანო „ოქროს ურნას“ 2006 და 2007 წლებშიც დაეუფლა, როდესაც „ინტერში“ ირიცხებოდა. წელს „იმპერატორმა“ უპრეცედენტოდ ბევრი ხმა დააგროვა და გვარიანად ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული **კარვალიო ამაური** და მესამე პოზიციაზე მოკალათებული **რონალდინიო**. მართალია, გასული სეზონის მეორე ნახევარი გაუჩომ კარგად ჩაატარა, მაგრამ მიმდინარე სეზონში ძალიან ცუდად ირჯება და ამად მოხვდა წარუმატებელ ფეხბურთელთა სამეულში. ჩვენ კი ადრიანოს მივუბრუნდეთ, რომელიც მორიგ „საპატიო ჯილდოს“ იუმორით შეხვდა:

*„რომ გითხრათ, რომ ძალიან გახარებული ვარ, მოგატყუებთ, მაგრამ სულ არაფერს, ნამდვილად ჯობია, რადგან ჯილდოებს მონატრებული ვარ. 2011 წელს ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ ამ გამოკითხვაში პრეტენდენტთა შორისაც კი არ ვიყო და პირიქით, წლის საუკეთესო მოთამაშეთა შორის მოვხვდე. „რომაში“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება“.*

**ლაშა ნიკლაური**

ᲛᲘᲚᲐᲜᲘ

# გალიანი: იბრა სკუდეტოს მოგვიტანს

„ბოლონიასთან“ გამარჯვების შემდეგ, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** სკუდეტოზე უკვე ღიად საუბრობს. თანაც, იმ ახალწვეულებს აქებს, რომლებიც გასულ ზაფხულს მიიყვანა გუნდში და ჯერჯერობით, ძალიან კარგად ასპარეზობენ. განსაკუთრებით, სინიორ ადრიანომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** შეაქო. მოკლედ, მოვუსმინოთ გალიანის:

*„იბრაჰიმოვიჩი ბრწყინვალედ ასპარეზობს, გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებების მთავარი შემოქმედი და სიმბოლოა. აი ნახავთ, ის ჩვენ სკუდეტოს მოგვიტანს და დიდი პაუზის შემდეგ, კვლავ ჩემპიონები გავხდებით. იბრა საოცარი ფეხბურთელია, როდესაც მოედანზეა, თავს მშვიდად ვგრძნობ და ვიცი, რომ მეტოქის კართან უამრავ ხიფათს შევქმნით. ასევე, კევინ პრინც ბოატენგი და რობინიო მინდა შევაქო - შესანიშნავად ჩაეწერნენ გუნდში და დარწმუნებული ვარ, კიდევ მოუმატებენ“.*

**ლაშა ნიკლაური**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## უეფა ორივეს დასჯის

უეფა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში მომხდარი ინციდენტის გამოძიებას შეუდგა. შეგახსენებთ, სლოვაკეთში ადგილობრივი “ჟილინასა” და “სპარტაკის” მატჩი რუსმა ფანებმა კინაღამ ჩაშალეს. შეხვედრა რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, მათ მოედანზე პეტარდები რომ ისროლეს, რამაც მატჩი დაახლოებით 20 წუთით შეაჩერა.

“სპარტაკს” ფინანსური სანქციები ელის – ეს გარდაუვალია. თუმცა სასჯელს ვერც “ჟილინა” ასცდება, რადგან მასპინძელმა კლუბმა მატჩის სათანადო დონეზე ორგანიზება ვერ შეძლო. უეფას სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტილებას ზეგ მიიღებს.

## კრუიფი აღშფოთებულია

**იოჰან კრუიფმა** “ბარსელონას” გადაწყვეტილება გააპროტესტა. შეგახსენებთ, კატალონიურმა გრანდმა ტრადიცია დაარღვია და ყატარული კომპანიისგან მაისურზე ლოგოს განთავსების სანაცვლოდ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში 150 მილიონ ევროს მიიღებს.

*“კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ “ბარსელონა” ასეთ ძვირფას ტრადიციას ფულზე ცვლის. წელიწადში 30 მილიონი დიდი ფულია, მაგრამ ეს “ბარსელონას” წლიური ბიუჯეტის მხოლოდ 6-7 პროცენტია. კლუბის ხელმძღვანელობის ნაბიჯით აღშფოთებული ვარ. ამ ხალხს ასეთი უნიკალურობის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა”*, - ამბობს “ბარსასა” და ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა.

## კოპენჰაგენში რევანშისთვის

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის განცხადებით, ქვეყნის ეროვნული ნაკრები 2011 წლის პირველ მატჩს 9 თებერვალს კოპენჰაგენში, “პარკენზე”, დანიელთა წინააღმდეგ ჩაატარებს. შეხვედრა ამხანაგური იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ინგლისელებს თამაში უმეტესად შინ უწევდათ და **ფაბიო კაპელოს** მოთხოვნა იყო, მორიგი ამხანაგური მატჩი უცხო გარემოში ჩაეტარებინა.

სათამაშო პირობები კი წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თებერვლის სუსხის მიუხედავად, იდეალური იქნება – “პარკენს” მოძრავი სახურავი აქვს და სტადიონზე სასურველი ტემპერატურის დაყენებაც შეიძლება.

ინგლისელებს დანიელებთან ბოლო დაპირისპირება მწარედ ახსენდებათ. 2005 წელს მორტენ ოლსენის გუნდმა **სვენ-გორან ერიქსონის** ბიჭები ამხანაგურ შეხვედრაში 4:1 გაანადგურა. ურთიერთშეხვედრათა ბალანსში კი ინგლისელთა უპირატესობა შთამბეჭდავია – 10 გამარჯვება 17 მატჩში. ინგლისმა დანია ბოლოს 2002 წლის მუნდიალის მერვედფინალში, 3:0 დაამარცხა.

## ლუკოილმა ფერენცვაროშს დაუმიზნა

მძლავრი რუსული ნავთობკომპანია ერთ დროს სახელოვანი უნგრული კლუბის შეძენის შესაძლებლობებს განიხილავს. ამჟამად “ფერენცვაროში” ბრიტანელ ბიზნესმენ **კევინ მაკკეიბეტს** ეკუთვნის.

*“კლუბის მოქმედ მფლობელთან მოლაპარაკებებს ახალი წლიდან შევუდგებით. ბრენდი “ფერენცვაროში” ევროპულ არენაზე ჯერ კიდევ ბევრს ნიშნავს”*, - აცხადებს “ლუკოილის” დირექტორი **სერგეი კუზნეცოვი**.

## ტრაგედია ნიგერიაში

“ოუშენ ბოისის” 21 წლის ფეხბურთელი **ემანუელ ოგოლისი** ნიგერიის ჩემპიონატის მატჩისას გარდაიცვალა. შეხვედრის 39-ე წუთზე, ისე, რომ არავინ შეხებია, იგი მოედანზე მოცელილივით დაეცა და გონება დაკარგა. ოგოლისმა სული საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე განუტევა. მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონა

# 1001 პასის ამბავი

## როცა მწვრთნელი ამას ამბობს...

„რეალ სოსიედადის" განადგურების შემდეგ **პეპ გვარდიოლა** კმაყოფილი იყო გუნდის თამაშით. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ყველამ უნდა დაინახოს, რა კარგ ფეხბურთს თამაშობს „ბარსა": *„მას შემდეგ, რაც მთავარი კონკურენტი დავამარცხეთ, ჩვენი პირველი მტერი საკუთარი სისუსტეებია, შეიძლება იფიქრო, რომ ცოტა ნაკლები ენერგიის ხარჯვითაც მიაღწევ მიზანს. ვფიქრობ, ამის საშიშროება ყოველთვის არსებობს. მაგრამ, ყოველ ჯერზე ეს ფეხბურთელები ახალ გაკვეთილს გვასწავლიან, არ მიყვარს მათი ქება-დიდება, მაგრამ სხვა გზას არ მიტოვებენ, ყველამ უნდა გაიაზროს, რას აკეთებს ეს გუნდი - ჩვენ პრივილეგირებულნი ვართ, რომ ამ ყველაფერს ვესწრებით"*, - აღტაცებულია თავისი გუნდის თამაშით გვარდიოლა და მართალიცაა - „ბლაუგრანა" ფეხბურთის გურმანებს ესთეტურ სიამოვნებას ანიჭებს.

„ბარსამ" ბოლო 7 მატჩში 28 გოლი ისე გაიტანა, ერთიც არ გაუშვია, თუმცა გვარდიოლა არ მიიჩნევს, რომ მისი გუნდი უნაკლოა: *„ყველაფერი, რასაც მოედანზე ვაკეთებთ, კარგია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოვუმატოთ, არის ამისი რესურსი, თუკი უფრო შევიკვრებით ერთ გუნდად. ჩემი ამოცანა კი მართლა იოლია - აღარ მჭირდება ბიჭებს რამე ავუხსნა, მათ ეს ყველაფერი უკვე იციან"*.

პეპი ბოლო დროს ძალზე კმაყოფილია **პედროს** თამაშით, ახალგაზრდა ფორვარდი მართლაც შესაშურ ფორმაშია: *„მიხარია, რომ „ბარსელონას" შესახებ სტატიები პედროთი არ იწყება და არ მთავრდება. ის თავის საქმეს ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებს და სასტიკად არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა"*.

„ბლაუგრანას" თავკაცი უკვე მომავალ დაპირისპირებაზე ფიქრობს, მატჩი კი სერიოზული ელის ჩემპიონს - ბარსელონური დერბი: *„დღევანდელ „ესპანიოლს" ძალიან დიდ პატივს ვცემ. მაურისიო პოჩეტინომ დიდი საქმე გააკეთა გუნდში - „ესპანიოლი" კარგ და დინამიკურ ფეხბურთს თამაშობს. ბოლო წლებში მათთან ძალიან გვიჭირს. „ესპანიოლი" შინ დაუმარცხებელია, ალბათ ეს იქნება ჩვენი ყველაზე რთული საგარეო მატჩი"*.

მატჩის გმირი **ლეო მესი** მიიჩნევს, რომ „ბარსელონას" თამაში ტრიბუნებიდან ჩანს იოლად აღსაქმელი, თორემ იმ დონეზე თამაშის შენარჩუნება, როგორც „ბლაუგრანამ" „რეალ სოსიედადთან" მოახერხა, გაჭირდება. კატალონიურმა გრანდმა თავისივე მაღალ სტანდარტს გაასწრო...

„ბარსა TV"-სთან ინტერვიუში მესიმ თქვა: *„ახლა დიდებულად ვთამაშობთ, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ყოველ სეზონში სულ უფრო ვიზრდებით. პირველი გოლისას სწრაფად გავითამაშე ბურთი დანისთან, პირველი პასის შემდეგ შევატყვე, რომ დანი მომენტიდან არ გამოთიშულა. მოკლედ, კარგი კომბინაცია გამოგვივიდა"*.

მესი დაენია **კრიშტიანო რონალდოს** ბომბარდირობისთვის დავაში. ჟურნალისტი შეეკითხა არგენტინელს, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის რონალდოსთან დაუსწრებელი დაპირისპირება: *„გოლების გატანას, რა თქმა უნდა, ვაპირებ, მაგრამ ეს სერია, შეიძლება, ერთხელაც შეწყდეს. ეს კი ნაკლებად მაღელვებს. ჩემთვის მთავარია გუნდის ბედი"*.

2009 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი ამ ტიტულის მაძიებელ სამ ნომინანტთა შორისაა: *„ეს პრიზი არის კლუბის აღიარება. იმიტომ, რომ მხოლოდ ის ფეხბურთელი გაიმარჯვებს, რომლის კლუბიც წარმატებულია. ჩვენ კი უკვე გავიმარჯვეთ. ახლა კიდევ დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს სამეულში ვის შეხვდება „ოქროს ბურთი", „ბარსელონამ" ის უკვე მოიგო"*.

მესი, გვარდიოლასი არ იყოს, კარს მომდგარ დერბის უფრთხის: *„ბოლო სეზონებში „ესპანიოლთან" ძალიან გვიჭირს. ახლა კიდევ უფრო რთული იქნება მათთან თამაში, რადგან მეტოქე კიდევ უფრო ძლიერია. მაგრამ, მაინც მგონია, რომ ჩვენ შევძლებთ სამი ქულის მოპოვებას და ისეთი თამაშის ჩვენებას, როგორიც გულშემატკივარს ბოლო შეხვედრაში შევთავაზეთ"*.

მესი ჩემპიონთა ლიგის მომავალ ბატალიებზეც საუბრობს: *„სავარაუდო მეტოქეებიდან ვერავის გამოვარჩევ, თითოეული გუნდი სერიოზულ წინააღმდეგობას გაგვიწევს. ასე რომ, ვისაც კენჭისყრა შეგვახვედრებს, იმ გუნდთან თამაშისთვის მოვემზადებით სერიოზულად. მანამდე კი ერთს ვიტყოდი, ყველაზე ნაკლებად იტალიელებთან დაპირისპირება მსურს, მწვრთნელს კი - ფრანგებთან"*.

**ბოიან კრკიჩი:** *„ახლა მართლაც საოცრად ვთამაშობთ. მთელი სეზონი ამ ფორმის შენარჩუნება გაგვიჭირდება. გოლის მომენტი ასე დამამახსოვრდა - ბურთი მოვიპოვე დე მეკარესთან პირისპირ გავედი. გახარებული ვარ, რადგან გოლის გატანა ყოველთვის ბედნიერებას მანიჭებს. შემდეგი მეტოქე ძლიერია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ესპანიოლთან" დიდებული დერბი გველის"*.

**ანდრეს ინიესტა:** *„ჩვენი მთავარი ამოცანა ამ ფორმის სეზონის ბოლომდე შენარჩუნებაა, რაც ძნელი იქნება. გოლის გატანა ყოველთვის მსიამოვნებს, ისევე როგორც ნებისმიერი ქმედება მინდორზე, რომელიც გუნდს წარმატებას მოუტანს. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ჯანმრთელად ვარ - 15-ივე მატჩი სასტარტოში დავიწყე. ჩემთვის ეს დიდებული მიღწევაა. ვფიქრობ, მწვრთნელის წყალობით კიდევ გავიზრდები, როგორც ფეხბურთელი - მომავალში, შეიძლება, უკეთესი ანდრეს ინიესტა იხილოთ"*.

**ჩავი:** *„ამ კლუბში ბევრი სეზონი გავატარე და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ძლიერი „ბარსელონა" არასოდეს ყოფილა. დიდი ფუფუნებაა დღევანდელი „ბარსელონას" წევრობა და პრივილეგია. ბიჭები თავს ბრწყინვალედ გრძნობენ გუნდში, მათ უხარიათ მინდორზე გასვლა. გუნდს კიდევ მეტი სურს და არ იღლება ტიტულების მოპოვებაში. „ესპანიოლს" ვუფრთხით, მათ შინ ქულები არ დაუკარგავთ და აგრესიულ თამაშს შემოგვთავაზებენ. მათ ახალ სტადიონზე ჯერ ხომ არ მოგვიგია"*.


ხოსეპ გვარდიოლა კმაყოფილია

ახლა ცოტაოდენი სტატისტიკაც:

„ბარსელონამ" მეტოქის კარში ხუთი გოლი ამ სეზონში მეხუთედ გაიტანა: ჩემპიონთა ლიგაზე „პანათინაიკოსთან", „სამეფო თასზე" „სეუტასთან" და ლა ლიგაში „სევილიასა" და „რეალის" წინააღმდეგ.

გასულ სეზონში სულ სამი ასეთი შემთხვევა იყო: „ატლეტიკოსთან", „სარაგოსასთან" და „ლეონესასთან".

მესიმ სეზონში მე-5 დუბლი შეასრულა.

ამ მატჩში „ბარსამ" პასებში სეზონის რეკორდი დაამხო: „სოსიედადთან" 1001 პასი გააკეთა, აქედან 896 ზუსტი იყო.

**დანი ალვეში** იყო მატჩის ყველაზე აქტიური მოთამაშე - 154 შეხება ბურთთან. ყველაზე მეტჯერ „ბარსას" ბურთი **აბიდალმა** (11) და **პუიოლმა** (10) მოუპოვეს.

მესის სამი გოლიღა რჩება **ეტოოს** რეკორდამდე - 108 გოლი ლა ლიგაში „ბარსელონას" მაისურით. მესიმ კარიერაში პირველად გაიტანა „რეალ სოსიედადის" შემდეგ. ახლა მხოლოდ ერთი გუნდია პრიმერაში, რომლისთვისაც მესის გოლი არ გაუტანია - „ერკულესი".

**ვალდესი** და **ინიესტა** „ბარსას" ორადორი ფეხბურთელია, რომლებმაც 15-ივე თამაში სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა.

ზუსტად ერთი თვეა „ბარსას" გოლი არ გაუშვია, სამაგიეროდ 28 გაიტანა. ბოლო გოლი ვალდესმა 13 ნოემბერს ნილმარისგან გაუშვა. ვალდესის მშრალი სერია უკვე 604 წუთი გრძელდება.

ტრიუმფული მოგების შემდეგ „ბარსელონა" გუშინ მაინც გამოვიდა სავარჯიშოდ. ოღონდ ეს იყო მცირე აღდგენითი ვარჯიში. მონაწილეობა სულ 25-მა ფეხბურთელმა მიიღო ჟოან გამპერის სახელობის ბაზაზე პირველი გუნდის ყველა წევრმა ივარჯიშა, მათ შორის **ჟეფრენ სუარესმა** და **გაბრიელ მილიტომ**. ჟეფრენი ფაქტობრივად გამოჯანმრთელდა, არგენტინელი მცველი კი ახლოსაა ამასთან. გვარდიოლამ ვარჯიშზე B გუნდის 6 წევრს დაუძახა, თუმცა **ტიაგო ალკანტარას** უკვე ძნელად თუ ეთქმის სარეზერვო გუნდის წევრი, ბოლოს სულ მთავარ გუნდთან ვარჯიშობს.

ესპანეთი

### ლა ლიგა. XV ტური

**ვალენსია-ოსასუნა 3:3**

**ვალენსია (4-4-2):** სესარი - მიგელი, სტანკევიჩიუსი, რ. კოშტა, ხ. ალბა - ხოაკინი (67. პ. ერნანდესი), მადურო, ბანეგა (80. დეალბერტი), მატა - სოლდადო, ადურისი (66. ისკო).

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო, მ. ფლანიო, მონრეალი - ვადოცი, ნეკუნამი (46. არანდა) - ხუანფრანი, სორიანო (77. ლოლო), მასუდი - პანდიანი (76. ლეკიჩი).

**გოლები:** 1:0 სოლდადო (24), 2:0 სტანკევიჩიუსი (32), 2:1 ხუანფრანი (40); 3:1 ადურისი (42); 3:2 ფლანიო (60), 3:3 არანდა (87)

**გაფრთხილება:** სტანკევიჩიუსი - ნეკუნამი, ხუანფრანი, პანდიანი, მონრეალი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 12-16 (9-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 28 000

მესი VS რონალდო, რაუნდი 15


კრიშტიანო რონალდო


ლეო მესი

# ვინ უკეთ ითამაშა

ლა ლიგაში 15 ტური გაილია და უკვე ცხადად გამოჩნდა, რომ „ბარსელონასთან" და „რეალთან" ტოლ-სწორად ბრძოლა მითია და ამის ძალ-ღონე პრიმერას არც ერთ გუნდს არ შესწევს - პირველადგილოსანი „ბარსელონა" მე-3 ადგილზე მყოფ „ვილიარეალს" უკვე 10 ქულით უსწრებს („რეალი" - 8-ით). როგორც ეს გუნდები გამოირჩევიან სხვებისგან, ასევე მათი უპირველესი ვარსკვლავები სჯობნიან სხვებს. **კრიშტიანო რონალდო** და **ლიონელ მესი** 17-17 გოლით ლიდერობენ ბომბარდირთა დავაში (მე-3 ადგილზე მყოფი **ფერნანდო ლორენტე** მათ 7 გოლით ჩამორჩება). მაშ ასე, მესი VS რონალდო, მე-15 რაუნდი, ვინ უკეთ ითამაშა?

ლეო მესი (ბარსელონა-რეალ სოსიედადი - 5:0): მესის თამაშში გახურება ცოტა გაუჭირდა და მოგვიანებით გამოფხიზლდა, მაგრამ როცა გამოფხიზლდა... არგენტინელმა პირველი გოლი, მეორე ტაიმის მე-2 წუთზევე გაიტანა. მესიმ დაიწყო კომბინაცია, მან **დანი ალვეშთან** კედელი კედელზე გაითამაშა და საჯარიმოში შესულმა დაარტყა კიდეც. თუკი პირველი გოლი „ბარსას" კომბინაციური სტილის კლასიკური გამოვლინება იყო, მესის მეორე გოლი ბრწყინვალე ინდივიდუალური გაელვება იყო - მესიმ ბურთი საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში **ბოიან კრკიჩისგან** მიიღო, მესი შუისკენ შეიჭრა, გზად ოთხი მცველი ჩამოიცილა და საპირისპირო კუთხეში გაიტანა. ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

კრიშტიანო რონალდო (სარაგოსა-რეალი 1:3): პორტუგალიელმაც ჩვეულ სტილში გაიტანა - საჯარიმო დარტყმით. ტაიმის დასრულებამდე წუთი რჩებოდა, მადეირელმა ისე დაარტყა 20 მეტრიდან, რომ ბურთი მასპინძელთა კარის მაღალ კუთხეში გავიდა, **ლეო ფრანკო** უძლური იყო.

გოლამდე რონალდომ იმ ეპიზოდში გაიბრწყინა, რომელშიც „რეალი" დაწინაურდა - მან ჰაერში შეასრულა ქუსლური პასი, რომლის წყალობითაც მარსელო წინ გაიჭრა და შემდეგ გოლის ავტორი **მესუთ იოზილი** მოძებნა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

| XV ტური | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლი | 2 | 1 |
| დარტყმა | 8(3) | 6 (1) |
| საგოლე პასი | 0 | 0 |
| პასი | 100 (86) | 53 (35) |
| დაკარგვა | 3 | 16 |
| მოპოვება | 1 | 0 |
| ჯარიმა (მასზე) | 0 | 1 |
| გოალ.ცომ | 8,5 | 8 |

| სეზონი | | |
|---|---|---|
| წუთები | 1221 | 1419 |
| გოლი | 17 | 17 |
| პენალტით | 1 | 4 |
| საჯარიმოთი | 0 | 2 |
| მატჩის I გ. | 7 | 3 |
| დარტყმა | 65 (34) | 108 (40) |
| საგოლე პასი | 8 | 5 |
| პასი | 872 | 677 |
| ზუსტი პასი | 737 | 486 |
| ჯარიმა (მასზე) | 19 | 40 |
| დაჯარიმდნენ | 10 | 12 |

რეალი

# ლამაზი გოლი, საოცნებო დებიუტი და განსაკუთრებული არჩევანი

**კრიშტიანო რონალდო** მიიჩნევს, რომ კვირას „სარაგოსას" კარში კარიერის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი შეაგდო. 44-ე წუთზე პორტუგალიელმა აუტსაიდერის კარში ყუმბარისებური დარტყმით გაიტანა. *„ჩემი გოლი „რეალის" კარგი გუნდური თამაშის დაგვირგვინება იყო. მიხარია, რომ ის ასეთი ლამაზი გამოვიდა. ჩვენ კარგ ფორმაში ვართ და ეს რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაგრძელდეს. „სარაგოსასთან" თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ პირველი გოლის შემდეგ გაგვიიოლდა. ქებათაქება მესუთს ამისთვის"*, - განაცხადა „რეალის" ბომბარდირმა კლუბის ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში.

კვირას „რეალის" შემადგენლობაში 18 წლის **ალვარო მორატას** დებიუტი შედგა. ის მეორე ტაიმში შევიდა „სარაგოსას" წინააღმდეგ მატჩში, თამაშის შემდეგ კი მორატა სიხარულისგან ლამის ჭკუიდან გადავიდა: *„ამ დებიუტზე ვოცნებობდი. არ მეგონა, თუ ასე მალე ამიხდებოდა ოცნება. ახლა ამ მაისურას სათუთად შევინახავ სახლში და სულ რომ 20 მილიონი ევრო გადამიხადონ, არ გავყიდი. პირველივე წუთზე შემეძლო გატანა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მატჩის შემდეგ მოურინიო ჩემთან მოვიდა და წარმატებული დებიუტი მომილოცა. ამ ღამეს ცხოვრებაში არ დავივიწყებ"*.

ამ თამაშში „რეალის" კარი მე-400-ედ დაიცვა **იკერ კასილიასმა**. მატჩის შემდეგ იკერმა აღნიშნა, რომ ეს მისთვის ძალიან დიდი მიღწევა და პატივია: *„400 მატჩი „რეალში" არ არის იოლი მისაღწევი, მე ამით ვიამაყებ"*.

თამაშის შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** საუკეთესო ფეხბურთელად მის გუნდში არც კრიშტიანო რონალდო დაასახელა, არც **ანხელ დი მარია** და არც **ჩაბი ალონსო**, თუმცა კი სამივე თანაბრად იმსახურებდა ამას. პორტუგალიელმა სპეციალსტმა ფრანგი **ლასანა დიარა** გამოყო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მორატამ მოედანზეც იფრინა და მის გარეთაც

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის გამოხმაურება

# ჰაინკესი: მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!

## იუპი იურგენს დაემუქრა, აღდგომა და ხვალეო...

რაკი „ბორუსიამ" მე-16 ტურშიც მოიგო (2:0 „ვერდერთან"), დორტმუნდული კლუბი გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **იოახიმ ლიოვმაც** ჩემპიონად გამოაცხადა.

*„ბორუსია" დაუმარცხებელი გუნდია. იურგენ კლოპის გუნდი იმდენად სრულყოფილ და გამართულ, რაც მთავარია, წარმატებულ ფეხბურთს თამაშობს, რომ არ ვიცი, რა უნდა დაემართოს ამ გუნდს ისეთი, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონი ვერ გახდეს. ვუყურებ სატურნირო ცხრილს და ეჭვი არ მეპარება, რომ დორტმუნდელები ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონობას იზეიმებენ. დიდი ხანია, რომელიმე გუნდის წარმატებაში ასე დარწმუნებული არ ვყოფილვარ,"* - თქვა ლიოვმა ტელეკომპანია ZDF-ის გადაცემა „Aktuele SportStudio-ში" შაბათს.

რთულია, გერმანიაში იპოვო ისეთი ადამიანი, ვინც ლიოვის ამ განცხადებას არ დაეთანხმება, მაგრამ რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ასეთი არსებობს და ეს „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესია**. მიუხედავად იმისა, რომ „დონ იუპის" „ფარმაცევტი ბიჭები" „ბორუსიას" 11 ქულით ჩამორჩებიან, „ლევერკუზენის" თავკაცს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ადრე თუ გვიან, მისი გუნდი BVB-ს პირველი ადგილიდან ჩამოგდებას მოახერხებს.

*„დორტმუნდი დღემდე იდეალურ, ფენომენალურ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ მთელ სეზონს ასეთ მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებს. საკმარისად დიდი გამოცდილება მაქვს საიმისოდ, რომ ჩემს სიტყვებში დარწმუნებული ვიყო: „ბორუსიას" მეორე წრეში ნაღდად შეექმნება პრობლემები, დაეწყება კრიზისი და ჩვენ ამით აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ,"* - უთხრა ჰაინკესმა „ბილდს".

ისე, ჰაინკესს დიდი გამოცდილება სულაც არ სჭირდება იმისათვის, რომ ასეთ დასკვნამდე მისულიყო. რაღა შორს წავიდეთ, გასულ სეზონში მისი „ლევერკუზენიც" შემოდგომის ჩემპიონი გახდა, თანაც, პირველი წრე წაუგებლად ჩაატარა (9 მოგება), მაგრამ მეორე წრეში სერიოზული პრობლემები შეექმნა და საბოლოოდ მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა - ჩემპიონთა ლიგაშიც კი ვერ შეძლო შეღწევა. ლევერკუზენის თავკაცს ის ამბავიც აიმედებს, რომ „ბორუსიას" ამ სეზონში ერთადერთი მარცხი სწორედ მისმა „ლევერკუზენმა" აწვნევინა - თანაც, დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" (2:0). თუმცა ეს პირველ ტურში მოხდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბუნდესლიგის მეორე წრე, 14 იანვარს სწორედ „ბორუსიასა" და „ლევერკუზენის" ჯახით გაიხსნება, თუმცა მანამდე დიდი არდადეგები და ბოლო-ბოლო, მე-17 ტურია.

### ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 4-1-2-1-2)

**მანუელ ნოიერი (შალკე) – გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), მანუელ ფრიდრიხი (ლევერკუზენი), ოლივერ ბართი (ფრაიბურგი), ემანუელ პოგატეცი (ჰანოვერი) – არტურო ვიდალი (ლევერკუზენი – ჯეფერსონ ფარფანი (შალკე), მატო ჟაჟალო (კიოლნი) – რენატო აუგუსტო (ლევერკუზენი) – პაპის დემბა სისე (ფრაიბურგი), დიდიე ია კონანი (ჰანოვერი)**

ბუნდესლიგის მე-16 ტური არც ისე უხვგოლიანი გამოვიდა, ფორვარდებზე მეტად თავი მცველებმა გამოიჩინეს, რის გამოც, „კიკერის" ტურის სიმბოლური ნაკრების განლაგება შეიცვალა და ამჯერად რომბისებული 4-4-2-ია. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს: ამ ტურის სიმბოლურში დორტმუნდის „ბორუსიას" არც ერთი ფეხბურთელი არ არის შეყვანილი. არადა, დორტმუნდელებმა კიდევ ერთხელ მოიგეს და ლიდერობა განიმტკიცეს. თუმცა, „ბორუსიადან" განსაკუთრებით კარგად არავის უთამაშია, თვით **ნური შაჰინსაც** კი, რომელიც სიმბოლურ ნაკრებში ექვსჯერაა მოხვედრილი. თუმცა შაჰინი აღარ არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც „კიკერის" რედაქციამ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ექვსჯერ მოახვედრა. მას „ჰანოვერის" გოლეადორი **დიდიე ია კონანი** წამოეწია. ამ უკანასკნელმა პარასკევს „შტუტგარტს" დუბლი შეუსრულა და კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. ია კონანმა სიმბოლური ნაკრების თავდასხმა კვლავ ფრაიბურგელ კოლეგასთან, **პაპის დემბა სისესთან** ერთად დააკომპლექტა, რომელიც ამ უქმეებზე ასევე დუბლით (მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან") გამოირჩა. სხვა მხრივ, აღსანიშნავი ისაა, რომ სიმბოლურში მეოთხედ მოხვდა „ლევერკუზენის" საყრდენი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი**, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს.

### ტურის გმირი

პაპის დემბა სისე (ფრაიბურგი)

სისე გასულ სეზონშიც გამორჩეული თავდამსხმელი იყო, ახლა კი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს და თამამად ვიტყვით, ფენომენალური შედეგები აქვს. „ფრაიბურგის" გოლეადორმა ამ ტურშიც გამოიჩინა თავი, თანაც, „გლადბახთან" მატჩის ბედი ფაქტობრივად მარტომ გადაწყვიტა - დუბლი და საგოლე პასი. სისე 25 წლისაა და მასზე უკვე მთელ ფრაიბურგს აბოდებს. „გლადბახთან" მე-80 წუთზე შეცვალეს და მოედნიდან ისე ნელა გადიოდა, რომ მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რაც მისი რიგით მეხუთე გაფრთხილებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ტურში, „ლევერკუზენთან" ვერ ითამაშებს.



ლევერკუზენის თავკაცი იუპ ჰაინკესი (მარჯვნივ) დარწმუნებულია, რომ მეორე წრეში იურგენ კლოპის დორტმუნდს დაეწევა და გაასწრებს

**საუკეთესო ფეხბურთელები**

16 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშუალო შეფასება |
|---|---|---|
| 1. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.47 |
| 2. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.53 |
| 3. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.53 |
| 4. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.63 |
| 5. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.63 |
| 6. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.65 |
| 7. ანატოლი ტიმოშჩუკი | ბაიერნი | 2.67 |
| 8. დანიელ ჰაასი | ჰოფენჰაიმი | 2.69 |
| 9. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.72 |
| 10. ტომ შტარკე | ჰოფენჰაიმი | 2.75 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 13 | 2 | 15 |
| 2. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 13 | 1 | 14 |
| 3. არტურო ვიდალი | ლევერკუზენი | 7 | 6 | 13 |
| 4. დიდიე ია კონანი | ჰანოვერი | 9 | 4 | 13 |
| 5. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 8 | 3 | 11 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 5 | 6 | 11 |
| 7. ედინ ჯეკო | ვოლფსბურგი | 9 | 1 | 10 |
| 8. მარიო გომესი | ბაიერნი | 9 | 1 | 10 |
| 9. უგო ალმეიდა | ვერდერი | 9 | 1 | 10 |
| 10. ივო ილიჩევიჩი | კაიზერსლაუტერნი | 5 | 5 | 10 |

● შტუტგარტი

# ჰალო, მე ახალი ბრუნო ვარ!

## ისწავლა თუ არა შეცდომებზე ლაბადიამ?

ამ დღეებში, უფრო სწორად იმ საღამოს, როცა შეიტყვეს, რომ „შტუტგარტი" **ბრუნო ლაბადიას** სამსახურით იყო დაინტერესებული, „ლევერკუზენის" ფეხბურთელები „სიცილით მოკვდნენ" და სხვათა შორის, ლაბადიას და „შტუტგარტის" დამოყვრება არა მხოლოდ „ფარმაცევტებს", სადაც ბრუნო შარშანწინ მუშაობდა, არამედ მთელ საფეხბურთო გერმანიას ძალიან გაუკვირდა. საქმე ისაა, რომ 2009 და 2010 წლებში 90-იანი წლების მართლაც გამორჩეულმა ფეხბურთელმა მწვრთნელის რანგში იმედები არათუ არ გაამართლა, გააცრუა კიდეც. მან „ლევერკუზენში" მხოლოდ ერთი წელი იმუშავა და იმ დროს, როცა დიდ გეგმებზე საუბრობდა, სეზონის ბოლოს „ჰამბურგში" გაიქცა, იქიდან კი რამდენიმე თვეში დაიფრინეს.

გუშინწინ კი ბრუნო ლაბადია მთავარი მწვრთნელის რანგში „შტუტგარტის" ბოსებმა დაამტკიცეს და ლევერკუზენელ ფეხბურთელებს რომ ჰკითხოთ, მაგრადაც გაბრიყვდნენ. თუმცა შვაბური კლუბის ბოსებმა ჭკუა იხმარეს და ბრუნოს კონტრაქტი მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე დაუდეს - მაინც, ყოველი შემთხვევისთვის. ცხადია, გაიმართა პრესკონფერენციაც, რომელზეც ლაბადია ჟურნალისტებს და ზოგადად საფეხბურთო საზოგადოებას „ახალ ბრუნოდ" წარუდგა.

*„სრულიად გამოვიცვალე, მე ახალი ბრუნო ლაბადია ვარ! უმუშევრობის პერიოდში დეტალურად გავაანალიზე ყველაფერი, თითოეული შეცდომა განვიხილე და ბევრ რამეს მივხვდი. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომელი გზით უნდა ვიარო. თამამად ვიტყვი, რომ შეცდომებზე ვისწავლე და ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებ,"* - უთხრა ლაბადიამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

შესაძლებელია, რომ ლაბადიას მართლა ესწავლა საკუთარ შეცდომებზე? ყოველ შემთხვევაში, „შტუტგარტის" ხელმძღვანელებს და გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ მართლაც ასეა. „ლევერკუზენსა" და „ჰამბურგში" მას უამრავ ბრალდებას უყენებდნენ: მართვის ძალიან ცუდი სტილი, სუსტი ვარჯიშები, ხანგრძლივი პაუზები, საკუთარი თავის გადამეტებული სიყვარული და ა.შ. ისე, საინტერესო ის არის, რომ ლაბადიამ „ლევერკუზენშიც" და „ჰამბურგშიც", მოღვაწეობა ძალიან კარგად დაიწყო და მერე აურია. ბრუნო ამბობს, „შტუტგარტის" შემთხვევაში კონკრეტული გეგმა მაქვსო. ვნახოთ, ვნახოთ...

● ბაიერნი

# რა აიაქსი, ლუის?

## ვან გაალმა ფირფიტა შეატრიალა

*„ეს არის გუნდი, სადაც არასოდეს ვიმუშავებ!"* - თქვა **ლუის ვან გაალმა** ზუსტად ერთი თვის წინ და იცით, რომელი გუნდი იგულისხმა? ამსტერდამის „აიაქსი"! არ ვიცით, რა შეიცვალა ერთ თვეში, მაგრამ ფაქტია, რომ „ბაიერნის" ჰოლანდიელმა დამრიგებელმა ჩვენება შეცვალა და ამით მთელი მიუნხენი ააფორიაქა.

*„მიმაჩნია, რომ „აიაქსი" ჩემთვის უდიდესი გამოწვევა იქნებოდა. ამ კლუბში რომ დამპატიჟონ, მზად ვარ, ჩემი უმთავრესი ამბიციაც კი გვერდით გადავდო და რომელიმე კარგ ნაკრებში მუშაობაზე უარი ვთქვა. „აიაქსის" გენიალურმა ფანებმა ნდობა რომ გამომიცხადონ, ძალიან გამიხარდება და მზად ვიქნები, ამსტერდამული კლუბისთვის თავი კიდევ ერთხელ გადავდო,"* - განუცხადა ლუისმა ჰოლანდიურ გამოცემა „ნუსპორტს".

თუმცა ვან გაალმა იქვე დასძინა, რომ ამისათვის საჭიროა, ამსტერდამულმა გრანდმა მისი ყველა მოთხოვნა შეასრულოს - თუ მხოლოდ მე ვიქნები ბოსი და ყველაფერს მე გადავწყვეტ, მზად ვარ, ცოტა ხნის წინ ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ „აიაქსში" აღარასოდეს ვიმუშავებ, უკან წავიღოო.

ისე, „აიაქსს" ვან გაალის გულში მართლაც განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან ეს არის გუნდი, სადაც ლუისმა სამწვრთნელო კარიერაში საუკეთესო წლები გაატარა. 1971-დან 1973 წლებში კი თვითონ ირიცხებოდა ფეხბურთელის რანგში, თუმცა არც ერთი თამაში არ ჩაუტარებია. 1988 წლიდან ლუისი „აიაქსში" მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, 1991 წელს კი მთავარი მწვრთნელი გახდა, რის შემდეგაც, ამსტერდამულ კლუბს სამჯერ მოაგებინა ჰოლანდიის ჩემპიონატი, ასევე ერთხელ ჩემპიონთა ლიგა (1995) და საკონტინენტთაშორისო თასი (1996). ვან გაალი „აიაქსში" ბოლოს 2004 წელს იყო დასაქმებული და ტექნიკური დირექტორის პოსტზე მუშაობდა, მაგრამ ამ თანამდებობაზე მხოლოდ რვა თვე გაძლო. 2004 წლის ოქტომბერში ლუისისა და „აიაქსის" თანამშრომლობა ჩხუბით დამთავრდა.

ამსტერდამული კლუბი ახლა უმწვრთნელოდაა - **მარტინ იოლის** წასვლის შემდეგ, გუნდს დროებით **ფრანკ დე ბური** ავარჯიშებს. ვან გაალს კი მიუნხენის „ბაიერნთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს...

### რობენი ბრუნდება!

აქვე იმასაც გამცნობთ, რომ „ბაიერნის" ჰოლანდიელი გარემარბი **არიენ რობენი** ამ კვირაში ვარჯიშს განაახლებს. როგორც იცით, რობენმა ტრავმა ჯერ კიდევ ზაფხულში მიიღო და ამ სეზონში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. მისი მოედანზე დაბრუნება იანვრის დასაწყისისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ როგორც ჩანს, ტრავმა მოსალოდნელზე ადრე მოიშუშა.

● ამბები

### პოდოლსკი დაშავდა, კონტენტო თხებში?

ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ „კიოლნს", ცუდი ამბავი დაატყდა თავს: გუნდის ლიდერმა **ლუკას პოდოლსკიმ** „აინტრახტთან" მატჩის დროს, რომელიც „თხებმა" 1:0 მოიგეს, ტრავმა მიიღო და როგორც „კიოლნის" სამედიცინო შტაბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მომდევნო ტურში ნამდვილად ვერ ითამაშებს, აი, 22 დეკემბერს კი (გერმანიის თასის მორიგ ეტაპზე), შესაძლოა, იასპარეზოს.

ამასობაში „კიკერი" იუწყება, რომ დიდი შანსია, „კიოლნში" „ბაიერნის" ახალგაზრდა მცველი **დიეგო კონტენტო** გადავიდეს. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, მიუნხენური გრანდი მზადაა, კონტენტო „კიოლნს" არენდით დაუთმოს - ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეკორდმაისტერი იანვარში ახალ მარცხენა მცველს შეიძენს. „თხების" შეფები კონტენტოს ალტერნატივად „ჰოფენჰაიმის" მარცხენა მცველ **კრისტიან აიხნერს** განიხილავენ, რომელიც **რანგ რანგნიკის** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდება.

### შალკეს სატრანსფერო გეგმები

წყალი აღარ გაუვა იმას, რომ **ჯერმეინ ჯონსი** და **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** იანვარში „შალკეს" დატოვებენ, რადგან გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ორივე მოთამაშე სასტიკად აითვალწუნა. ყოველ შემთხვევაში, მაგალითად, თუ საყრდენი ნახევარმცველი ჯონსი და **ლევან ყენიას** კონკურენტი ბაუმიოჰანი ახალ გუნდებს ვერ იპოვიან, მაგათი მათ ძირითად გუნდში აღარ დააბრუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯონსის თავიდან მოშორება „შალკესთვის" სახელფასო ფონდის 4 მილიონი ევროთი შემცირებას ნიშნავს, მაგათი იანვარში სხვა ფეხბურთელის ყიდვას არ აპირებს. თუმცა „კიკერის" ინფორმაციით, ფელიქსი „კოპენჰაგენის" მარცხენა მცველს, **ოსკარ ვენდტს** აკვირდება. ამ უკანასკნელის შეძენა ბრემენის „ვერდერსაც" სურს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



არგენტინა. აპერტურა


ესტუდიანტესი ჩემპიონობას ზეიმობს

# ესტუდიანტესი მეხუთედ!

„ესტუდიანტესმა" ბოლო ტურში ოფიციალურად მოიპოვა აპერტურას ტიტული, თუმცა რეალურად ჩემპიონობა შუა კვირას ბოლოსწინა ტურში გაიფორმა, როცა სტუმრად 4:0 გაანადგურა „რივერ პლეიტი". ამის შემდეგ რთული წარმოსადგენი იყო, რომ „სტუდენტები" შინ ქულებს დაკარგავდნენ „არსენალთან" და კონკურენტ „ველეს სარსფილდს" შანსს მისცემდნენ. მით უმეტეს, რომ ნახევარი წლის წინ მათ კარგი გაკვეთილი ჰქონდათ მიღებული - ბოლოსწინა ტურში „როსარიოს" ვერ მოუგეს და წინ „არგენტინოს ხუნიორსი" გაუშვეს.

მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლებოდა, რომ „ესტუდიანტესის" მეტოქე დიდი ხანი ჩემპიონობის მესამე პრეტენდენტი იყო და მხოლოდ ბოლო სამოთხ ტურში ჩამოშორდა პირველი ადგილისთვის ბრძოლას. გარდა ამისა, „არსენალს" სჩვევია ტიტულის მაძიებელთა განბილება. გავიხსენოთ მაგალითად, 2004 წლის აპერტურა, როცა ბოლო ტურში „ველეს სარსფილდს" სტუმრად ფრე ეთამაშა და მას „ნიუელსის" დაწევის საშუალება არ მისცა.

მოკლედ ასეთი იყო წინასამატჩო ამბები. მხოლოდ ერთს დავამატებთ - დისკვალიფიკაციის შემდეგ „ესტუდიანტესს" დაუბრუნდა **ენცო პერესი**. ასე რომ, მასპინძლებს შემადგენლობის მხრივ ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ.

თავად საჩემპიონო მატჩი მდიდარი არ ყოფილა სახიფათო მომენტებით. პირველ ტაიმში „ესტუდიანტესი" ფლობდა ინიციატივას, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა, „არსენალი" კი შიგადაშიგ სახიფათოდ იჩხვლიტებოდა, აი მეორე ტაიმში კი მასპინძლების უპირატესობა უდიდესი გახდა და სტუმრებს მხოლოდ თავდაცვაზე ფიქრი უწევდათ.

„სტუდენტების" შეტევათა უმრავლესობა ერთნაირად სრულდებოდა - ან ჩაწოდება **გასტონ ფერნანდესზე** ან საჯარიმოს გარედან გასროლა. ორივე შემთხვევაში დარტყმა ან კარს სცდებოდა ან თამაშში კარგად ერთვებოდა **კამპესტრინი**. სხვათა შორის, მატჩში, რომელშიც ჩემპიონობის პრეტენდენტს მოგება სჭირდებოდა, ფერნანდესი მასპინძელთა მხრიდან ერთადერთი ფორვარდი იყო.

ბოლოს „ესტუდიანტესის" სამწვრთნელო შტაბი მიხვდა, რომ ერთი თავდამსხმელი საკმარისი არ არის და გონიერი შეცვლა გააკეთა: ყოვლად უშინაარსო **ვერონი** (სახელოვან ვეტერანს ტრავმა აწუხებდა) გაიყვანა და **როდრიგო ლოპესს** მისცა შანსი. მაგრამ „სტუდენტებმა" იმავე რიტმში გააგრძელეს თამაში და ბოლოს მაინც მიაღწიეს მიზანს. **ლეანდრო ბენიტესმა** კუთხური ჩააწოდა, **მერკადოს** თავზე მოხვდა ბურთი და კართან დადარაჯებულმა ფერნანდესმა ერთი მეტრიდან გაიტანა. აქ შეიძლება კამპესტრინის დადანაშაულება, რომელმაც ბოლო დარტყმამდე ბურთის ჩაჭრა არ სცადა, არადა, იყო ამის შანსი.

წერტილი შეხვედრას სწორედ ლოპესმა დაუსვა. როდრიგომ ლამაზი ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი კარში ბენიტესის მარჯვნიდან ჩაწოდების შემდეგ. არბიტრს მატჩისთვის თითქმის არაფერი დაუმატებია - უკვე ყველას უჭირდა ემოციების შეკავება. ოთხი წლის შემდეგ „ესტუდიანტესმა" დაიბრუნა არგენტინის ჩემპიონობა. ეს ამ გუნდის არსებობის ისტორიაში მეხუთე ტიტული გახლავთ.

პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში „ველესმა" 57-ე წუთისთვის გატანილი ორი უპასუხო გოლით მოამთავრა საქმე „რასინგთან" გასვლით შეხვედრაში და 74-ე წუთამდე მინიმუმ „ოქროს მატჩის" იმედად იყო, მაგრამ გასტონ ფერნანდესის გოლის შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდა და „ველეს სარსფილდმა" საჩემპიონო ამბიციები კლაუსურას გათამაშებისთვის გადადო.

„ესტუდიანტესის" მწვრთნელმა **ალეხანდრო საბელიამ** ბოლო ორ წელიწადში მეორე ტიტული მოიპოვა - 2009 წელს ლიბერტადორესის თასზე გამარჯვებას არგენტინის ჩემპიონობა დაუმატა. სხვათა შორის, საბელია იმ „ესტუდიანტესის" ნახევარმცველი იყო, რომელმაც 1982 და 1983 წლებში მოიპოვა ჩემპიონობა.

საბელიას მომავალი ბედი გაურკვეველია. ბოლო ინფორმაციით, ამ ტრიუმფის შემდეგ სპეციალისტს „რივერ პლეიტის" მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ, თუმცა „ესტუდიანტესის" ხელმძღვანელობა მის გაშვებას არ აპირებს და კონტრაქტის გახანგრძლივება აქვს გადაწყვეტილი.

### XIX ტური

**ესტუდიანტესი-არსენალი 2:0**

**ესტუდიანტესი:** ორიონი, ფ. ფერნანდესი, დესაბატო, რე, მერკადო, ბრანია (88. რონკალია), ვერონი (59. რ. ლოპესი), როხო, ე. პერესი, ლ. ბენიტესი, გ. ფერნანდესი (82. მ. სანჩესი).

**გოლები:** 1:0 გ. ფერნანდესი (74), 2:0 რ. ლოპესი (87)

**რასინგი-ველესი 0:2**

**ველესი:** ბაროვერო, კუბერო, ს. დომინგესი, ორტისი, პაპა (65. ბელა), გ. დიასი, სომოსა, საპატა, მ. მორალესი (78. კრისტალდო), ხ. მარტინესი, ს. სილვა.

**გოლები:** 0:1 ხ. მარტინესი (23), 0:2 მ. მორალესი (57)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 19 | 14 | 3 | 2 | 32-8 | 45 |
| 2. ველესი | 19 | 13 | 4 | 2 | 33-9 | 43 |
| 3. არსენალი | 19 | 9 | 5 | 5 | 22-19 | 32 |
| 4. გოდოი | 19 | 7 | 8 | 4 | 32-25 | 29 |
| 5. რასინგი | 19 | 8 | 5 | 6 | 25-18 | 29 |
| 6. რივერი | 18 | 7 | 7 | 4 | 17-17 | 28 |
| 7. ლანუსი | 18 | 8 | 4 | 6 | 19-21 | 28 |
| 8. ოლ ბოისი | 19 | 7 | 5 | 7 | 24-23 | 26 |
| 9. ნიუელსი | 19 | 6 | 8 | 5 | 13-12 | 26 |
| 10. კოლონი | 19 | 7 | 5 | 7 | 21-29 | 26 |
| 11. ბოკა | 18 | 7 | 3 | 8 | 19-19 | 24 |
| 12. სან ლორენსო | 19 | 6 | 6 | 7 | 18-20 | 24 |
| 13. არგ. ხუნიორსი | 18 | 6 | 5 | 7 | 21-20 | 23 |
| 14. ტიგრე | 17 | 6 | 3 | 8 | 22-23 | 21 |
| 15. ბანფილდი | 19 | 4 | 8 | 7 | 20-19 | 20 |
| 16. ოლიმპო | 18 | 5 | 3 | 10 | 18-25 | 18 |
| 17. კილმესი | 18 | 3 | 7 | 8 | 13-23 | 16 |
| 18. ხიმნასია | 18 | 3 | 5 | 10 | 12-22 | 14 |
| 19. ინდეპენდიენტე | 17 | 2 | 8 | 7 | 13-24 | 14 |
| 20. ურაკანი | 18 | 3 | 4 | 11 | 15-33 | 13 |

**ბომბარდირები:** 11 - სილვა (ველესი); 10 - მარტინესი (ველესი); 9 - სტრაკალურსი (ტიგრე); 8 - რამირესი (გოდოი), მატოსი (ოლ ბოისი); 7 - პალერმო (ბოკა), ობოლო (არსენალი).

**გია თვალაბეიშვილი**



ძიუდო. კანოს ტურნირი.

# მეტრეველით დასრულდა: ტურნირიც, სეზონიც

როგორც მოსალოდნელი იყო, ძიგორო კანოს სახელობის „დიდი მუზარადის" გუშინდელი დღე ჩვენთვის დაწყებისთანავე დამთავრდა. გუშინ ერთადერთი მონაწილე გვყავდა - **ნოდარ მეტრეველი** მძიმე წონაში, რომელიც მასპინძელ **მასარუ მომოსეს** ხვდებოდა. მეტრეველი ამ წონის ახალი ბინადარია და ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩევა, თუმცა წარმატებისთვის მარტო ეს არ კმარა. ახლახან ჩატარებულ სამედიცინო შემოწმებაზე მისი ფიზიკური კონდიციები ძალიან მოეწონა ნაკრების ავსტრიელ კონსულტანტ **პეტერ ზაიზენბახერს**, მაგრამ მან იქვე დაამატა, ფორმაში არაა და მის მომზადებას დაახლოებით ექვსი თვე დასჭირდებაო. რაც შეეხება მომოსეს, ის თბილისის წლევანდელი მსოფლიოს თასის გამარჯვებულია, სადაც **ზვიად ხანჯალიაშვილსა** და **ადამ ოქრუაშვილს** მოუგო, მეტრეველს კი კარიერაში პირველად შეხვდა. თბილისის ტურნირი იაპონელისთვის ჯერჯერობით ერთადერთი მოგებული შეჯიბრებაა, თუმცა წლეულს ბრინჯაოები იაპონიის პირველობაზე და სუვონის მსოფლიოს თასზეც მოიპოვა. მან მეტრეველს იპონით მოუგო, თუმცა მომდევნო წრეში თანაგუნდელთან, აბსოლუტურ წონაში იაპონიის წლევანდელ ჩემპიონთან და ამ შეჯიბრების მომავალ ფინალისტ **კაზუჰიკო ტაკაჰაშისთან** იუკოთი წააგო. ტაკაჰაშიმ ამის შემდეგ კუბელი მსოფლიოს პრიზიორი **ოსკარ ბრისონი** და გერმანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანდრეას ტოლცერიც** დაჯაბნა და ფინალში გავიდა, მაგრამ ტრავმის გამო იქ ჭიდაობა ვერ შეძლო და გამარჯვება უბრძოლველად დაუთმო სამხრეთ კორეელ **სუნგ-მინ კიმს**. ფინალამდე კორეელმაც რთული გზა გაიარა - პირველად შედარებით უცნობ ჰოლანდიელ **ლუუკ ვერბიხს** მოუგო, მაგრამ იმან მანამდე ბრაზილიელი პანამერიკული თამაშების ექვსგზის გამარჯვებული **დანიელ ჰერნანდესი** დაამარცხა. ამის შემდეგ კიმმა ეგვიპტელი მსოფლიოს წლევანდელი პრიზიორი **ისლამ ელ შეჰაბიც** ჩამოიცილა გზიდან და აბსოლუტურში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, მასპინძელი **დაიკი კამიკავაც** (შეგახსენებთ - მან იმ ფინალში ფრანგი ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ტედი რინერი** დაჯაბნა, თუმცა მსაჯთა გადაწყვეტილებით). საინტერესოა, რომ კიმმა ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. აქედან პირველი სამი - იპონით, კამიკავას კი ორი ვაზარი აართვა. ბოლო წლებში კორეელებს მძიმე წონებში მაინცდამაინც ძლიერი ფალავნები არ ჰყავდათ, ახლა კი, ეტყობა, საქმე მათდა სასიკეთოდ იცვლება - აქ ხომ ამან იყოჩალა, ზუსტად ერთი თვის წინ ამავე წონაში სხვა კიმმა გაიმარჯვა, **სოო-ვან კიმმა**.

მართალია, 100-ში მონაწილე არ გვყავდა, მაგრამ ცოტა რამ ამ წონაზეც, სადაც ჩემპიონი მასპინძელთა კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკამასა ანაი** გახდა. ალბათ, აქ ყველა ანაისა და კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ (0ლონდ 90-ში) **ჰეე-ტაე ჰვანგის** პაექრობას ელოდა, რომელიც შარშანდელს აქეთ უშელავათოდ მიმდინარეობს. შარშან კანოს ტურნირზე კორეელმა ფინალში მოუგო ანაის და იაპონელებს სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. სამაგიეროდ, ანაიმ მალევე კორეაში, სუვონის მასტერსზე ფინალში აუღო რევანში! იმის შემდეგაც რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, ბოლოს კი ზემოაღნიშნულ აზიურ თამაშებზე იჭიდავეს და ისევ ფინალში, სადაც კორეელმა იმარჯვა. ამჯერად მათი შეხვედრა არ შედგა ებრაელ ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ **არიელ ზეევის** გამო - მეორე წრეში ჰვანგი ჯერ ვაზარზე დააგდო, მერე კი სულაც იპონით მოუგო. ამის შემდეგ 33 წლის ზეევმა მონგოლ **ტამუულენგ ბატულგასაც** სძლია, ხოლო ნახევარფინალში რუსთა დაღესტნელ (ეროვნებით ავარელია) ევროპის ჩემპიონ **ტაგირ ხაიბულაევს** იპონით აჯობა. ხაიბულაევმა მანამდე ეგვიპტელი მსოფლიოს პრიზიორი **რამადან დარვიში** ჩამოიშორა, რომელმაც იქამდე მონგოლი ოლიმპიური ჩემპიონი **ნაიდან ტუვშინბაიარი** დააიპონა.

ანაიმ ნახევარფინალში ყაზახი მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **მაქსიმ რაკოვი** დაამარცხა, ფინალში კი ზეევს ვაზარით აჯობა. საინტერესოა, რომ იაპონელს ორივესთან ასპროცენტიანი შედეგი აქვს - ორ-ორჯერ შეხვდა და ორივე მოუგო.

კანოს ტურნირით ძიუდოისტთა წლევანდელი წელიწადი არ დასრულებულა, მხოლოდ ჩვენთვის დამთავრდა. სეზონი 17-18 დეკემბერს ჩინეთში დამთავრდება „დიდი პრიზით", მაგრამ იქ ჩვენები გამოსვლას არ გეგმავენ. **სოსო ლიპარტელიანის** ნაკრები ჯერ ისევ ტოკიოში დარჩება და ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას, ტურნირებში კი გაისად ჩაებმება, როცა 15-16 იანვარს ბაქოში მასტერსზე გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი. ვაჟები.

**100 კგ.** 1. **ტაკამასა ანაი** (იაპონია), 2. **არიელ ზეევი** (ისრაელი), 3. **მაქსიმ რაკოვი** (ყაზახეთი), **ტაგირ ხაიბულაევი** (რუსეთი).

**+100 კგ.** 1. **სუნგ მინ კიმი** (კორეა), 2. **კაზუჰიკო ტაკაჰაში**, 3. **დაიკი კამიკავა** (ორივე - იაპონია), **ანდრეას ტოლცერი** (გერმანია).

წყალხტომა

# განახლებულ პროგრამას კიევში გამოცდიან



უკრაინის დედაქალაქი 17 დეკემბრიდან წყალმხტომელთა A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს მეხუთედ უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 13 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი **ალექსანდრე ბართაია**, მსაჯი — A კატეგორიის არბიტრი, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია**) კიევში დღეს 3 სპორტსმენით გაემგზავრება. სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას **ქოლა ქანტურია**, **შოთა კორახაშვილი** და **სალომე ჯულელი** დაიცავენ. ბიჭები სინქრონულ ხტომებშიც მოსინჯავენ ძალებს. ჯულელი კი უფროსებში პირველად გამოვა.

ტურნირების ისტორიაში ჩვენები მესამედ დაუპირისპირდებიან მეტოქეებს. შარშანწინ სინქრონულ ხტომებში ქანტურია-კორახაშვილის დუეტმა ბრინჯაოს, შარშან კი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. წლევანდელ პაექრობებში, სადაც უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს, ისინი ახალი პროგრამით წარსდგებიან. რაც მთავარია, ინდივიდუალურ დისციპლინებში ხტომების სირთულის კოეფიციენტი გაზარდეს... ფაქტობრივად, ეს არის მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც გაისად მარტში ტურინი (იტალია) უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრები უკრაინაში გასამგზავრებლად ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააფინანსა.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# დუბაიში, მოკლე წყალზე

ქართველ მოცურავეებს — **ირაკლი რევიშვილსა** და **გიორგი მთვრალაშვილს** ბოლო წლებში მრავალ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე მოუსინჯავთ ძალები, მათ შორის — პეკინის ოლიმპიადასა (რევიშვილი) და სინგაპურის მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში (მთვრალაშვილი), 15-19 დეკემბერს კი დუბაის მოკლე წყალზე (25-მეტრიან აუზში) მსოფლიოს ჩემპიონატში დაუპირისპირდებიან მეტოქეებს. რევიშვილი 200, 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი ყაიდით, ხოლო მთვრალაშვილი 100 და 200 მეტრზე კომპლექსურ და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში იასპარეზებს. ამ ჩემპიონატისთვის ორივე სპორტსმენი „ოლიმპიკისა" და „ტრიტონის" აუზებში ემზადებოდა.

**ვაჟა დანელია**

● კრივი. ჟამი ფიქრისა და განსჯისა
ინტერვიუ რამაზ ფალიანთან

# სამი ლიცენზია კარგი შედეგი იქნება

**ქართული კრივის სეზონი ფაქტობრივად დასრულდა და წელიწადის შეჯამების დროც დადგა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენმა მოკრივეებმა ბევრი პირველხარისხოვანი ტურნირი მოიარეს (უპირველეს ყოვლისა, ამას ევროპის ჩემპიონატის გამოტოვების გამო ვამბობთ), მაგრამ საინტერესო მოვლენები მაინც იყო. ბუნებრივია, განვლილი სეზონის შესახებ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ რამაზ ფალიანზე უკეთ ვერავინ გვესაუბრებოდა.**

- რუსეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, როგორც იცით, მიზეზთა გამო ვერ გავემგზავრეთ, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი მოკრივეებისთვის ძალიან ცუდი იყო. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატი არ გამართულა და დავრჩით საერთაშორისო ტურნირების ამარა. წლის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერი გამოგვივიდა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი ღირებული უცხოური შეჯიბრება თითქმის არ გამართულა და ბიჭებს პრაქტიკა მოაკლდათ. თუმცა, ჩვენი საერთო შრომით საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ. თურქეთისა და სომხეთის ნაკრებებთან გავიარეთ ერთობლივი


რამაზ ფალიანი

შეკრებები, ვიასპარეზეთ ჩეხეთის, თურქეთის, ყაზახეთისა და სომხეთის საერთაშორისო ტურნირებში. ჩეხეთში ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო მოვიპოვეთ, სომხეთში ერთი ოქრო და ოთხი ბრინჯაო, ხოლო თურქეთში ჩატარებულ პრესტიჟულ ტურნირზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრის თასი ერქვა, ბრინჯაოს მედალი გვხვდა წილად. ასევე ერთი ბრინჯაო წამოვიღეთ ყაზახეთიდან. ის ოქრო, რომელიც ახლა ვახსენე, მძიმეწონოსანმა ბექა ლობჟანიძემ მოიპოვა და მედალთან ერთად, ტურნირის ორგანიზატორებისგან სერიოზული პრემია, 5 ათასი აშშ დოლარი მიიღო.

**- წლეულს კადეტებში ევროპის ჩემპიონიც გვყავს...**

- დიახ, მძიმე წონაში ჩემპიონი რუსთაველი დოკვაძე გახდა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ძლიერი მოკრივე გვეზრდება.

**- როგორ აფასებთ ქუთაისში რამდენიმე დღის წინ დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატს?**

- მოხარული ვარ, რომ ამ ჩემპიონატმა რამდენიმე ახალი სახე წარმოაჩინა, ხოლო იმ მოკრივეების უმრავლესობამ, რომელთა იმედიც მაქვს, ჩემი მოლოდინი გაამართლა. ახალგაზრდებიდან გამოვარჩევდი გოგატიშვილს (48 კგ), მელიქიშვილს (60), გოგოჭურს (64), კვაჭატაძეს (69), გულედანს (91) და მძიმეწონოსან ბახტიძეს. ზაალ კვაჭატაძემ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ თავის წონაში გამოცდილი კახა ჟვანიას რეალური კონკურენტია და წონის ლიდერი სპარინგებში გამოჩნდება. ჟვანიამ საქართველოს ჩემპიონატი ხელის ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ მალე დაგვიბრუნდება.

**- სხვებსაც ხომ არ აწუხებთ ჯანმრთელობის პრობლემები?**

- საბედნიეროდ, ნაკრების ყველა კანდიდატი თავს კარგად გრძნობს. მოხარული ვარ, რომ როგორც იქნა, მყარად დადგა ფეხზე ნიკა იზორია. როგორც გახსოვთ, იგი პეკინის ოლიმპიადიდან მცირე ხნის შემდეგ ავტოავარიაში მოყვა და თითქმის ორი წელიწადი გაუცდა. მტკიცე ხასიათის წყალობით იგი ნელ-ნელა უბრუნდება ძველ ფორმას და ქვეყნის ჩემპიონიც დამაჯერებლად გახდა.

**- როგორია მომავალი წლის სამუშაო გეგმა?**

- გეგმა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან ვლადიმერ ახალკაცთან ერთად შევადგინე და ძალიან შინაარსიანი და ნაყოფიერია. იანვარში პირველ მოსამზადებელ ეტაპს ბაკურიანში გავივლით, სადაც აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდება. ბაკურიანში თითოეულ წონაში რამდენიმე მოკრივით, ანუ გაფართოებული შემადგენლობით გავემგზავრებით. თებერვალში კი ათივე წონის თითო საუკეთესო სპორტსმენს ბულგარეთში წავიყვანთ და იქაურ ნაკრებთან ერთად გავივლით ერთობლივ შეკრებას. ამის შემდეგ იქვე, საერთაშორისო ტურნირში მოვსინჯავთ ძალებს. ბულგარეთის შემდეგ შეკრება აზერბაიჯანში გვაქვს დაგეგმილი, სადაც ადგილობრივ ნაკრებთან ერთად ვივარჯიშებთ. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი სექტემბერში ბაქოში იმართება და ეს შეკრება იქაურ გარემოსთან ადაპტაციაში დაგვეხმარება. გეგმაში გვაქვს თურქეთისა და უკრაინის ნაკრებთან ერთად ვარჯიშიც.

**- ევროპის ჩემპიონატი სად და როდისაა დაგეგმილი?**

- მასპინძლის ვინაობა დღე-დღეზე გაირკვევა და ეს, სავარაუდოდ, ბულგარეთი იქნება. ევროპის ჩემპიონატი მაისში გაიმართება.

**- ოლიმპიურ ლიცენზიებზე საუბარი ნაადრევი აღარ უნდა იყოს. როდის იწყება მათი გათამაშება და რა ვიცით შერჩევის სისტემაზე?**

- მსოფლიოს ჩემპიონატი ალბათ პირველი ტურნირი იქნება, სადაც ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების გაცემა დაიწყება. როგორც ვიცი, ბაქოში თითოეულ წონაში საუკეთესო ათეულში შესული მოკრივეები ავტომატურად მიიღებენ ლიცენზიებს. გამონაკლისია მხოლოდ მძიმე წონა, სადაც ლიცენზია ექვს საუკეთესო მოკრივეს გადაეცემა. ბუნებრივია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძალიან გახშირდება ისეთი ტურნირები, სადაც ლიცენზიებისთვის ბრძოლა იქნება შესაძლებელი.

**- რამდენი ლიცენზიის მოპოვებას გეგმავთ ან ვარაუდობთ?**

- საკუთარ თავს არარეალური რიცხვის დასახელების უფლებას ვერ მივცემ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართული კრივის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამი ლიცენზია კარგი შედეგი იქნება. კანდიდატების გვარების დასახელება კი ახლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგანაც ამის შანსი არაერთ ქართველ მოკრივეს აქვს.

**- საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრმა ძალები პროფესიულ კრივში მოსინჯა. ხომ არ უნდა ამოვშალოთ ისინი ნაკრებისა და შესაბამისად, ოლიმპიადაზე პოტენციურ წამსვლელთა სიიდან?**

- პროფესიულ კრივში სადებიუტო ბრძოლები ჩაატარეს ბექა ლობჟანიძემ და კობა ფხაკაძემ. პირველმა მოიგო, მეორე კი დამარცხდა. რამდენიმე დღეში მათ მორიგი ბრძოლები ელით. ჯერჯერობით სამოყვარულო კრივიდან მათ წასვლაზე ლაპარაკი ნაადრევად მეჩვენება. პირიქით, ოლიმპიადაზე მათი გამგზავრების შანსებს სწორედ პროფესიული კრივი ზრდის. თუ ლობჟანიძემ გამარჯვებათა სერია გააგრძელა და ფხაკაძემაც რამდენიმე ბრძოლა მოიგო, ისინი ახალი კანონების თანახმად ოლიმპიურ ლიცენციებს სწორედ პროფესიულ რინგზე გამარჯვებებით მოიპოვებენ.

**- ახლა სეზონის ბოლოა, საწვრთნელი პროცესი გრძელდება თუ შესვენება გაქვთ გამოცხადებული?**

- თბილისელებს თითქმის ყოველდღიურად ვავარჯიშებ სოფელ დიღმის საწვრთნელ ცენტრში, უქმად არც რეგიონებში მცხოვრები მოკრივეები არიან და ჩემ მიერ შედგენილი პროგრამით ინტენსიურად ვარჯიშობენ. შემთხვევით ვისარგებლებ და აღვნიშნავ ჩემი ასისტენტების - ლევან გაგნიძისა და არტურ ბურდიანცის თავდადებულ შრომას. არტური წლებია, თბილისში მუშაობს, ლევანი კი ორი წლის წინ დაბრუნდა რუსეთიდან, სადაც სერიოზული გამოცდილება დააგროვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ჭადრაკი — უჯვენოდ!

# ჩინელები დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ

თურქულ ანტაკიაში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გვირგვინის რვა მაძიებელიღა შემორჩა. მათგან ოთხი ჩინელია, რომლებიც დანარჩენი სამყაროს წარმომადგენლებთან არიან დაწყვილებული და წარმატების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, დედოფლის ტახტისთვის ბრძოლა სულაც შინაურ საქმედ აქციონ. რამდენად შესაძლებელია ეს, დღევანდელი პაექრობები გვიჩვენებს. რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრებს, ჩინელმა **რუან ლუფეიმ** (2480), რომელმაც რუსი **ალექსანდრა კოსტენიუკის** ძლევით ხმაურით შემოაღო მეოთხედფინალის კარი, **ჰარიკა დრონავალთან** (ინდოეთი, 2525) შავებით ვერაფერს გახდა და 41-ე სვლაზე მეტოქეს დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2474) და ევროპის 2001 წლის ჩემპიონი **ელმირა სკრიპჩენკო** (საფრანგეთი, 2460), რომელმაც მეორე წრეში **ნანა ძაგნიძე** დაგვიმარცხა.

ჩინელმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა (2008 წელს მან კოსტენიუკთან წააგო ფინალში) **ჰოუ იფანმა** შავებით 53-ე სვლაზე აიძულა ორგზის ევროპის ჩემპიონი **კატერინა ლახნო,** საათი გაეჩერებინა. ქალთა მსოფლიოს რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფმა **ჰამფი კონერუმ** (ინდოეთი) **იუ ვენიუნი** (ჩინეთი) მე-60 სვლაზე დააყრევინა ფარ-ხმალი.

დღეს განმეორებითი შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# წრიულის ფინიშთან პირველი მივიდა

ორი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა ესპანეთის ქალაქ ბენიდორმის საერთაშორისო ტურნირში. 10 მოჭადრაკე ქალს შორის უნდა გარკვეულიყო მთავარი პრიზის მფლობელი წრიული სისტემით. მოასპარეზეთა შორის ხუთი უცხოელი გახლდათ და ყველა — დიდოსტატი. სხვებზე უკეთ თბილისელი **სოფიკო გურამიშვილი** გაისარჯა, რომელმაც 9 შეხვედრიდან 6,5 ქულა (4 მოგება, 5 ყაიმი) მოაგროვა და პირველობა არავის დაუთმო. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ლიტველი **დაულიტე დიამანტე** და რუმინელი **ალინა ლამი,** რომლებმაც, შესაბამისად, II-III ადგილები გაინაწილეს. 5,5 ქულით მეოთხე იყო **ანა მათნაძე,** რომელიც კარგა ხანია, კატალონიის დედაქალაქში ცხოვრობს.

**ვაჟა დანელია**


სიფიო გურამიშვილი

● საბრძოლო ხელოვნება



# პირველი საქართველოდან

კიდევ ერთ გამორჩეულად თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის (პრეზიდენტი პროფ. **კახაბერ მარკოზაშვილი**) ინსტრუქტორმა, მსოფლიო ჩემპიონმა (K-1-ის წესებით) ევროპის, კავკასიისა და საქართველოს ჩემპიონმა (კიოკუშინკაი კარატეს წესებით), საქართველოს ჩემპიონმა (კუნგ-ფუ სანდას წესებით), კარატე ნეკო-რიუს გამორჩეულმა წარმომადგენელმა **რატი წითელაძემ.** ამ დღეებში მან ჰოლანდიაში K-1 -ის წესებით გამართულ A კლასის პროფესიონალთა გალა-კატეგორიის შეჯიბრებაზე დაამარცხა რა მრისხანე მოწინააღმდეგე, გახდა პირველი მებრძოლი საქართველოდან, რომელმაც ასეთი პრესტიჟულ კატეგორიაში ტიტული მოიპოვა.

„ლელოს“ კორ.


## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.


## განცხადება

2010 წლის 24 დეკემბერს, 14 საათზე, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჩატარდება საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები.

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე კავშირის წევრის

**ნარგიზა მესხის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ათეული წლების განმავლობაში ამავე გაზეთის დიდი მეგობრის, ქართული სპორტის ამაგდარი მუშაკის

**ნარგიზა მესხის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

## ქართული სპორტი

### კალათბურთი. ქართველი NBA-ში



# ზაზა ფაჩულია: სასტარტოში? ვის არ უნდა! ინდიანაში?..

**ზაზა ფაჩულიამ** განვლილ უქმეებზე „ატლანტას“ მიერ ჩატარებული ორიდან ერთ მატჩში ითამაშა. იგი გაცივებული იყო და მწვრთნელმა სან ანტონიოში არ წაიყვანა. შინ დაბრუნებულმა „ჰოქსმა“ „ინდიანას“ უმასპინძლა და 97:83 დაამარცხა. ამ შეხვედრაში გამოჯანმრთელებულმა ფაჩულიამ მოედანზე 6 წუთი გაატარა. სხვათა შორის, ქართველ ცენტრს **სოლომონ ჯონსის** წინააღმდეგ მოუწია თამაში. სოლომონმა შარშანწინ „ატლანტაში“ ზაზას შემცვლელად იშვიათად თამაშობდა, წლეულს კი „ინდიანაში“ გადასვლის შემდეგ დრო საგრძნობლად გაეზარდა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: „ინდიანაში“ ჯონსს ათამაშებენ საკმარისად და ფაჩულიას უფრო მეტ სათამაშო წუთებს არ არგუნებდნენ?

პოდა, ქართველი ცენტრის გადაყვანით „ინდიანა პეისერსის“ პრეზიდენტი **ლარი ბერდიც** დაინტერესებულა, მაგრამ ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის თქმით, ბერდს ფაჩულიას „ინდიანაში“ გადაყვანა იმ მიზეზით გადაუფიქრებია, რომ ზაზა ევროპელია...

გაზეთ „ჰუსპორტსვორლდში“ ფაჩულიასთან დაკავშირებით გაცილებით კონკრეტული მასალაა - ზაზა „ატლანტას“ ამჟამინდელ ლაპარაკობს და გუნდში საკუთარ ფუნქციაზეც.

„NBA-ში მოხვედრილ კალათბურთელთა უმეტესობა მანამდე თავის გუნდში მთავარ როლს თამაშობდა (კოლეჯების ლიგასა თუ ევროპაში). NBA-ში კი ბევრს უწევს სათადარიგო მოთამაშის სტატუსით დაკმაყოფილება. შესაბამისად, რამდენადაც ეფექტურად უნდა ითამაშოს სათადარიგომ, მათი სახელი დარბაზებში იშვიათად ისმის. ისინი უმეტესად შავი სამუშაოთი არიან დაკავებული და ამ მხრივ გუნდს სერიოზულადაც ეხმარებიან.

„ატლანტა ჰოქსის“ ცენტრი, ზაზა ფაჩულია მეექვსე სეზონია, რაც გუნდის ფარეშელშის ამაგრებს. მან 2005-დან 2007 წლებში 150 მატჩიდან 125-ში სასტარტოში ითამაშა, საშუალოდ 11.9 ქულას და 7.4 მოხსნას აგროვებდა.

2007 წელს „ჰოქსმა“ დრაფტზე **ელ ჰორფორდი** აიყვანა და ფაჩულიას სათამაშო დრომ საგრძნობლად იკლო: 30 წუთიდან 15-მდე შემცირდა. ზაზა ამბობს, რომ მეტი დრო ნამდვილად სურს, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც გუნდის ინტერესებია.

*- სასტარტოში? ხუთეულში თამაში ვის არ უნდა. არ მეგულება კალათბურთელი, რომელიც საკუთარი სათამაშო დროით კმაყოფილია, მოედანზე 40 წუთიც რომ ატარებდეს, 45 წუთი ენდომება. ეს ნორმალურია.*

„ატლანტაში“ სათადარიგოს როლთან დაკავშირებით ქართველი ამბობს:

*- ჩვენი მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელობა თვლის, რომ მატჩში სათადარიგოთა სკამიდან უნდა ჩავერთო. დიდი ხანია „ატლანტაში“ ვარ და კარგად ვიცნობიერებ, გუნდს რა სჭირდება. მთავარია „ჰოქსს“ გამოადგე და დიდ მნიშვნელობა არ აქვს, სათადარიგო ვიქნები თუ სასტარტო. თუ კალათბურთელი საკუთარ როლით უკმაყოფილოა, თავად მისთვისაც ცუდი და წარმატების მიღწევა გუნდისთვისაც რთულდება.*

ფაჩულიას მიაჩნია, რომ „ჰოქსის“ ხელმძღვანელობას კარგი შემადგენლობა ჰყავს შეკრებილი, რომელსაც პლეი ოფშიც წარმატებით შეეძლება თამაში. თუმცა ამისთვის აუცილებელია რეგულარული ეტაპის დამაჯერებლად ჩატარება და ბოლო ორი სეზონის განმავლობაში დაშვებული შეცდომების გათვალისწინება.

*- შარშან და შარშანწინ აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში ვითამაშეთ. წლეულს შედეგის გაუმჯობესებას ვაპირებთ. ეს ფინალში გასვლას გულისხმობს, რისთვისაც აუცილებელია, ყველა კალათბურთელმა თავისი ფუნქცია კარგად გაიაზროს და ზუსტად შეასრულოს. ფაქტია, რომ უკეთესად ვითამაშეთ, რაც მეტი ქულის ჩაგდებაში არ გამოიხატება - მოვეტვი მატჩების უმეტესობაში 30-ზე მეტ შედეგიან გადაცემას ვასრულებთ. სწორედ ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ შეცვალა „ატლანტამ“ მთავარი იარაღია.*

მიმდინარე სეზონის მეოთხედი მიილია, „ჰოქსს“ კი საკადრო პრობლემები მიეძალა. იდაყვის ტრავმა აქვს კაპიტან **ჯო ჯონსონს**, რომელიც იანვრამდე ვერ ითამაშებს. ჯოს ადგილი ვეტერანმა **მო ევანსმა** დაიკავა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ ის 100 პროცენტით მზად არ არის. მსუბუქმა ტრავმამ **მერვინ უილიამსმა** მეხთ ტრავმის გამო ოთხი მატჩი გამოტოვა...

*- მე და ჯო ჯონსონი „ჰოქსში“ ერთდროულად გადმოვედით. მას მერე უამრავი მატჩი ჩავატარეთ და არ მახსოვს, ჯოს ტრავმის გამო დიდი ხნით დაესვენოს. ამჟამად უჩვეულო სიტუაციასთან გვაქვს საქმე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მის არყოფნაში რამდენიმე კალათბურთელი ლიდერის ფუნქციებს კარგად ართმევს თავს - სმიტი, ჰორფორდი, უილიამსი... სასიამოვნოა თანაგუნდელთა პროგრესის ხილვა. გუნდური თამაშის წყალობით არაერთი მატჩი ეფექტურად მოვიგეთ: სტუმრად „ორლანდოსთან“, „ნიუ ჯერსისთან“... ასევე უნდა განვაგრძოთ და ჯონსონი რომ შემოგვიერთდება, მეტოქეთათვის უფრო სახიფათონი ვიქნებით - განაცხადა ზაზამ. საინტერესოა, რომ ჯომ 2007-10 წლებში მხოლოდ 9 მატჩი გამოტოვა.*

ფაჩულიას მოუსმინოთ:

*- ყველა კალათბურთელმა იცის, რომ ტრავმა სპორტის ნაწილია. NBA-ში რთული გრაფიკია, სეზონიც გრძელია და ტრავმის ალბათობაც არსებობს. თუმცა ძლიერ გუნდს ერთი კალათბურთელის დაკლება არ უნდა დაეტყოს. „ატლანტა“ სწორ გზას ადგას და იმედი მაქვს, ასეც განაგრძობს, წლეულს მაინც ვითამაშებთ ფინალში.“*

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ლეგიონი

# სკიტა გრინს დაეჭიდა

ესპანეთში ქართული დუელი... უფრო სწორად საქართველოს ნაკრების წევრთა დუელი შედგა: **ნიკა ცქიტიშვილის** „ლაგუნ არომ“ **ტორინ გრინის** „გრან კანარიას“ უმასპინძლა და 74:66 დაამარცხა.

ამ მოგებით ბასკები კუნძულელებს მოგება-წაგებათა რაოდენობით გაუთანაბრდნენ - 6-6 გამარჯვება, 5-5 მარცხი. ასეთივე მაჩვენებელი აქვს მეხუთე-მეათე პოზიციებზე მყოფ კიდევ ოთხ გუნდს. შეგახსენებთ, რომ კლუბები რვა საუკეთესოში მოხვედრისთვის გააფთრებით იბრძვიან, რადგან სამეფო თასზე თამაშის უფლებას სწორედ ისინი მოიპოვებენ. 7 მოგებით მეოთხე ადგილზეა **ქუინტონ ჰოსლის** „ხუვენტუდი“, რომელმაც შინ ბოლო ტურში „გრანადასთან“ წააგო - 67:74.

არ გეგონოთ, ცქიტიშვილისა და გრინის მონაგარის დაწერა დაგვავიწყდა. სკიტამ 16 წუთში 6 ქულა (4-დან 2 სამქულიანი), 2 პასი და 1 მოხსნა მოაგროვა. გრინმა 26 წუთში 8 ქულასა და 4 პასს მოუყარა თავი.

ხუვენტუდელი ჰოსლის სტატისტიკა ასეთი იყო: 22 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი.

**ტაირონ ელისმა** ყოფილი კლუბის, „კახასოლის“ წინააღმდეგ არცთუ ეფექტურად ითამაშა - 17 წუთში 2-2 ქულა-მოხსნა მოინაგრა. „ესტუდიანტესმა“ კი „კახასოლთან შინ 73:77 დათმო.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ნიკა ცქიტიშვილი

# ადრიატიკის ტრიო ოლიმპია, კრკა, ბუდუჩნოსტი

ევროლიგაზე „პანათინაიკოსთან“ სტუმრად წაგების შემდეგ „ოლიმპიამ“ ძალა მოიკრიბა და ჩეხეთში „ნიმბურკი“ 85:72 დაამარცხა. ეს იყო ადრიატიკის თასის გათამაშების XI ტურის მატჩი. სადღეისოდ ოლიმპიელებს 7 მოგების წილ 4 წაგება აქვთ და ასეთივე შედეგის მქონე ორ გუნდთან ერთად (სლოვენიური კრკა და ჩერნოგორიული „ბუდუჩნოსტი“) სატურნირო ცხრილში ლიდერთა ტრიოს ქმნიან.

„ნიმბურკთან“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ამერიკელებმა **კევინ პინკნიმ** და **კენი გრეგორიმ**. პირველმა 21 ქულა ჩააგდო, მეორემ - 18. **გიორგი შერმადინი** მწვრთნელმა 12 წუთი ათამაშა. ქართველმა დროის ამ მონაკვეთში 4-დან 2 ორქულიანი გამოიყენა და 4 ქულას 1 მოხსნა მიამატა.

„ოლიმპია“ მორიგ მატჩს 15 დეკემბერს გამართავს - მოსკოვის ცსკა-ს მიიღებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## თავგადასავლები ეროვნული გმირების

### სპორტული კინოსა და ტელევიზიის რეჟისორი
# ალექსანდრე ჟღენტი

#### „გაუმარჯოს „სპორტმალიარს“

1959 წელია. თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდი თბილისში ხვდება ფრუნზეს „სპარტაკს“.

მაშინ ელექტროტაბლო სად იყო.

ალბათ ყველას გინახავთ მხატვრული ფილმი ცხონებული იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით — „ფეოლა“. იქ თხელ ფიცრის ნაჭერზე დაწერილი ციფრებით აჩვენებს მატჩის ანგარიშს ამ საქმეზე „გაპიროვნებული“ მამაკაცი (იმ შემთხვევაში — ჯემალ ღლონიძე).

ასე იყო ამ რეალობაშიც, რაზეც ახლა ვსაუბრობთ.

მატჩი თავიდანვე თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მესამე წუთზე ჩვენებმა ბურთი გაიტანეს.

1:0 — ასწია ორი ფიცრის ნაჭერი „მოანგარიშემ“.

ცოტა ხანში მეორე ბურთიც მიიღეს სპარტაკელებმა.

2:0 — ასწია ისევ ფიცრები ამან.

ასე ავიდა ანგარიში 9:0-მდე.

მატჩის დასრულებამდე კარგა 40 წუთია დარჩენილი და „მოანგარიშე“ პანიკაში ჩავარდა. ახლა მეათე რომ გაიტანონ, ჩვენებმა რაღა ჯანდაბა ვქნა, მეორე „0“-იანი ფიცარი არ მაქვსო და ოპერატიულად აცნობა ეს მოსალოდნელი „კატასტროფა“ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობას.

მდგომარეობა აშკარად კრიტიკულია.

წამიერად შეიკრიბა სათათბირო საბჭო.

— ჩვენებს ვაცნობოთ მოედანზე, რომ მეტი აღარ გაიტანონ — თქვა ერთმა.

— ხომ არ გაგიჟდი, ბიჭები თავს არ იზოგავენ და რას ქვია, გოლის გატანა ავუკრძალოთ. ხომ მოგვეჭრა თავი! თანაც გუნდი მეძებარივითაა, თუ ნადირობას გადააჩვიე — გაფუჭდება — „დაიბრაკა“ მეორე მოსაზრებაც.

— აბა რა ვქნათ?

— რა ვიცი მე?

— რა ვიცის დროა ახლა? — ჩვენები ისევ უტევენ, ღმერთმა დაგვიფარა და ააცილეს. ახლა კი ააცილეს, მაგრამ ამათ მეათე ბურთის გატანა გაუჭირდებათ? იყვირა ვიღაცამ;

ყველაზე ჭკვიანმა მართლაც ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო:

— პოლოსა! პოლოსა!

— პოლოსა მალიარი. აქვე ცხოვრობს, ჩქარა მოიყვანეთ! „კრასკა“ და ფუნჯი არ დარჩეს.

აფრინეს კაცი პოლოსასთან და ხუთ წუთში მოაჩინდრიკეს გაოცებული მალიარი „კრასკა-ჩოთქით“.

— დახატე ამ ფიცარზე „0“ — ჩქარა! — უბრძანეს.

— თქვენ „2“ არ მითხრათ, ძნელია, „0“-ს რა უნდაო და სასწრაფოდ დაახატა უზარმაზარი წრე პოლოსამ ფიცრის ნაჭერს. „0“.

თითქოს ამას უცდიდნენო და ლეწეს ჩვენებმა მეათე გოლი — 10:0. ატყდა ამბავი.

— ვაიმე, ესენი მეთერთმეტესაც გაიტანენ! — სასოწარკვეთით წამოიყვირა ვიღაცამ. არ გვაქვს მეორე „1“-იანი.

— პოლოს, აგე ძმაო, ფიცარი.

— ვაა, კიდევ რაღა ვქნა კაცო! — დაპანიკდა მალიარი.

— ჩქარა „1“ დაახატე კაცო! — ვილუპებით, მეორე „1“ არ გვაქვს!

პოლოსამ ერთიანიც ხუთზე შეასრულა, ერთხელ დაუსვა ფუნჯი ფიცარს. ციფრს რომ „ცხვირს“ უკეთებდა ჩვენებმა მეთერთმეტეც გლიჯეს და დასრულდა კიდეც მატჩი.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ყველაზე დიდი აპლოდისმენტები სწორედ მალიარმა პოლოსამ დაიმსახურა.

#### გაუმარჯოს მარლანიას

ორმოცდაათიანი წლების ბათუმში, მაგნოლიებით დამშვენებული ზღვისპირა ბულვარის ეპიცენტრში უზარმაზარი, ყვავილებით მორთული სკვერი იყო შუაგულში, ვერცხლისფერ რკინის ბოძზე დამაგრებული დიდი რადიორეპროდუქტორით. რადგანაც იმ დროისთვის ტელევიზორი არ იყო, ადგილობრივი ფეხბურთის გულშემატკივრები ტრადიციულად ამ რადიორეპროდუქტორთან იკრიბებოდნენ და ისმენდნენ ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟებს.

ასობით გულშემატკივარი უმოწყალოდ თელავდა მწვანე ზოლს და მატჩის დამთავრების შემდეგ იქაურობა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჯოგს გადაევლოს. მილიცია უძლური იყო ფეხბურთის ფანებთან დაპირისპირებაში. მეტიც, შეეჩვივნენ კიდევაც და მიდიოდა ყველაფერი ჩვეული ინერციით.

ერთხელაც რეპორტაჟია მოსკოვიდან. თბილისის „დინამო“ რუსეთის გუნდს ხვდება. მატჩს ჩვენი დიდებული რადიოკომენტატორი ეროსი მანჯგალაძე გადმოსცემს. მოხდა ისე, რომ მსაჯმა სასტვენს ჩაბერა და... ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა.

გაირინდა ორასამდე შეკრებილი ფანი...

ამ დროს, იქვე ახლოს, მილიციის ახალბედა სერჟანტმა ჩაბერა სასტვენს და დააყოლა — დაიშალეთ!

ეს მილიციელი ახალი ჩამოსული იყო პერიფერიიდან და არ იცნობდა ბათუმის ტრადიციებს. დაინახა შეკრებილი ხალხი და „პო ინსტრუქციი“ გააკეთა ის, რაც ევალებოდა.

ჩაბერაო???!!

— მოსკოვში მსაჯმა ჩაბერა და პენალტი დანიშნა ჩვენს კარში. ამან აქ ჩაბერა! — იყვირა ვიღაცამ.

— გამყიდველი! — დააყოლა მეორემ და ერთად იხუვლა ამდენმა გულშემატკივარმა. უბედური მილიციელი ინსტიქტით მიხვდა, რაც ელოდა და შურდულიდან გასროლილ ქვასავით გავარდა. წინ მილიციელი და უკან გამძვინვარებული მასა. ბუნებრივია, თუ დაეწეოდნენ, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებოდა.

იღბლად ორსართულიანი სახლის ფანჯრიდან ვიღაც პენსიონერმა მთელი ხმით იყვირა:

— აილო!!! აილო პენალტი მარლანიამ!

მდევარმა ნაბიჯს უკლო, მილიციელმა უმატა.

ასე გადაარჩინა ჩვენმა დიდებულმა მეკარემ ქართველთა კარი გოლს და საწყალი მილიციელი იმ უბედურებას, რაც ელოდა.

#### ქალს თავისი გზა აქვს

ოთხმოციან წლებში ფოთში ფუნქციონირებდა ქალთა ფეხბურთის გუნდი „მედეა“.

იღებდა რა ფილმს: „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“, — რეჟისორმა გადაწყვიტა ეს გუნდი გამოეყენებინა ფილმში.

აღმოჩნდა, რომ ქალთა გუნდს იცავდა გაძლიერებული მილიცია მაიორის მეთაურობით.

—ეს როგორ, — დაუსვეს კითხვა. — კოლხეთის მიწაზე, მედეას სამშობლოში, ქალებს განა დაცვა სჭირდებათ? ეს ხომ ამორძალების ქვეყანაა?

— ამორძალები ამორძალებად — იყო პასუხი, მაგრამ ქალის მოტაცების ტრადიციაც აქაურია.

ორიოდე წლის შემდეგ რეჟისორი ისევ მოხვდა ფოთში და ადგილობრივი ახალგაზრდების სპორტული მიღწევებით დაინტერესდა.

— სპორტი წინ მიდის — უპასუხეს ფოთელებმა და დანანებით დააყოლეს: „ეჰ, ქალთა გუნდი რომ აღარ გვყავს!“

— რაშია საქმე? — იკითხა სასოწარკვეთილმა რეჟისორმა. ათასი უბედურება ხდება და გუნდს ნეტავ რა შეემთხვაო?!

— საქმე იმაშია, რომ გუნდი დაიშალა — უპასუხეს მოქუფრული სახით — აღარაა ქალთა გუნდი.

რეჟისორს ფერი ეცვალა, უფრო ჩაეძია:

— რა მოხდა მაინც?

— გათხოვდნენ ბატონო, გათხოვდნენ! — გახსნეს წარბი ფოთელებმა.

რეჟისორმა შვებით ამოისუნთქა.

#### ასე თქვი, შე კაცო!

1990 წელია, ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზე თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩვენს სასიქადულო მომღერალს ჯემალ მდივანს უნდა ემღერა ფალიაშვილის ოპერიდან არია „თავისუფლება“ (კიაზოს არია).

ის დროა, როდესაც მთელი ქართველი ერი თავისუფლების ჰაერით სულდგმულობს.

ჯემალს სახლშივე ჩაუცვამს ტრადიციული ჩოხა-ახალუხი და მანქანით მიბრძანებულა სტადიონზე.

კარებში გაურკვეველი ეროვნების კონტროლიორი აჩერებს: — მაიცა, თქვენი ბილეთი?

ჯემალს გაოცება აღებეჭდა სახეზე.

— ვერ გავიგე?

— თქვენი ბილეთი მამეცით, მემრე გაგატარებთ.

— როგორ თუ ბილეთი, ვერ მიცანი?

— ვა მე რატომ უნდა გიცნო, ვიცი რო?

მომღერალს ხელი ხანჯლის ვადაზე შეუვლია:

— მე კიაზო ვარ, კიაზო!

კონტროლიორს ბევრი ვერაფერი გაუგია, მაგრამ რადგან ფრაზა შეუვალი და მკაცრი იყო — უფიქრია: — „ახლა ვაიმე“-ო და:

— მერედა ეგრე გეთქვა გენაცვალე... — მიბრძანდით!!!

**მურმან მერკვილიშვილი**

ლეგიონერები

# ქართული ლეგიონის იღბლიანი უქმეები



მარცხნიდან: ლევან დათუნაშვილი (შლემით) და ბექა ურჯუკაშვილი

სანამ საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდები ევროასპარეზზე ძირითადად ბრიტანულ კლუბებთან არკვევდნენ ურთიერთობას, მეორე და ფედერალ დივიზიონებში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.

ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-14 ტურის შეხვედრებში ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა მოიგო. მათგან ყველაზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა **გურამ კავთიძის** „ლიონს" აქვს. ჩვენებურის გუნდმა სტუმრად ითამაშა პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „პოსთან" და 15:3 მოუგო. „ლიონს" ამ გამარჯვების შემდეგ 44 ქულა დაუგროვდა და მეორე ადგილზეა. ის ლიდერს ხუთი ქულით ჩამორჩება. კავთიძე თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

„ლიონს" სამი ქულით ჩამორჩება **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „დაქსი" - 23:13. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო.

„ალპელებს" კვალში უდგას „ბორდო", რომელიც სტუმრად ვერას გახდა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბთან" - 16:27. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 46-ე წუთზე შეცვალეს. მირცხულავას არ უთამაშია.

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**XIV ტური: პო-ლიონი 3:15, ტარბი-ბორდო 27:16, ექსი-ოიონაქსი 20:6, კარკასონი-ალბი 15:22, მონ დე მარსანი-ორიაკი 17:6, დაქსი-გრენობლი 13:23, სენტ ეტიენი-ოში 9:10, კოლომიე-ნარბონი 19:24.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ალბი - 49 ქულა, 2. ლიონი - 44, 3. გრენობლი - 41, 4. კარკასონი - 38, 5. ბორდო - 38, 6. მონ დე მარსანი - 36, 7. ორიაკი - 36, 8. პო - 33, 9. ტარბი - 33, 10. ნარბონი - 32, 11. ოში - 30, 12. ოიონაქსი - 30, 13. კოლომიე - 27, 14. ექსი - 26, 15. დაქსი - 17, 16. სენტ ეტიენი - 11.**

**XV ტური: ოიონაქსი-მონ დე მარსანი, ბორდო-ოში, კარკასონი-კოლომიე, ნარბონი-დაქსი, ალბი-ექსი, ტარბი-ორიაკი, ლიონი-სენტ ეტიენი, გრენობლი-პო.**

ფედერალ 1 დივიზიონში პირველი წრის დასრულების შემდეგ ოთხი ჯგუფიდან სამში ქართველ მორაგბეთა გუნდები ლიდერობენ. A ჯგუფს წინ ორი „ქართული გუნდი" მიუძღვება, „მასი" და „მონლუსონი". **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, არჩილ კობაურისა** და **დავით აშვეთიას** „მასიმ" მე-11 ტურში შინ „ანესი" დაამარცხა - 33:13. აშვეთია სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო. ესაკიას, კობაურს და სუთიაშვილს არ უთამაშიათ. პარიზულ გუნდს ახლა 40 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა.

„მასის" სამი ქულით ჩამორჩება **დევი დათუნაშვილისა** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი", რომელმაც შინ მოუგო „დიჟონს" - 22:6. ყუფარაძე თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო, დათუნაშვილი განაცხადში არ იყო.

**შოთა მელიქიძის, ირაკლი მაჩხანელისა** და **ბესო უდესიანის** „მაკონიმ" შინ მოუგო „ბობინის" - 16:8. მელიქიძე სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე მე-60 წუთიდან გამოჩნდა, მაჩხანელს და უდესიანს არ უთამაშიათ.

**ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანმა" შინ მოუგო **დიმიტრი ხოჭოლავას** „სერჟ პონტუზას" - 27:20. კოპალიანი, რომელმაც სრულად ითამაშა, არბიტრმა მე-12 წუთზე გაასინბინა, ხოჭოლავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 35-ე წუთზე შეცვალეს.

**თემურ გელანტიას** „სტრასბურმა" სტუმრად წააგო „ბურგ ან ბრესთან" - 7:29. გელანტიას არ უთამაშია.

**A ჯგუფი: ბურგ ან ბრესი - სტრასბური 29:7, მონლუსონი-დიჟონი 22:6, ორლეანი-სერჟ პონტუაზი, მაკონი-ბობინი 16:8, მასი-ანესი 33:13, სურესნე-ნევერი (გადაიდო)**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. მასი - 40 ქულა, 2. მონლუსონი - 37, 3. ბობინი - 36, 4. დიჟონი - 34, 5. ნევერი - 25, 6. ორლეანი - 25, 7. ბურგ ან ბრესი - 24, 8. მაკონი - 22, 9. ანესი - 13, 10. სტრასბური - 10, 11. სერჟ პონტუაზი - 8, 12. სურესნე - 2.**

B ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი ოთხი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს, „ბეზიეს", „მონტობანს", „ლავორსა" და „ნიცას" უკავიათ.

**ლაშა მალალურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ", რომელიც 35 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას, სტუმრად ფრედ ითამაშა **გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინთან" - 20:20. მალალურაძემ სრულად ითამაშა და გუნდს ხუთი ქულა მოუტანა (თითო საჯარიმო და გარდასახვა), ლაბაძე, რომელიც 63-ე წუთზე შეცვალეს, არბიტრმა 44-ე წუთზე მოედნიდან ათი წუთით გააძევა, ბელქანია სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო, მჭედლიშვილს არ უთამაშია.

„ბეზიეს" ორი ქულით ჩამორჩება **გიორგი ნემსაძის** „მონტობანი", რომელმაც შინ **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარს" მოუგო - 30:3. ორივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, კუთარაშვილი 51-ე წუთზე შეცვალეს, ნემსაძე კი 71-ე წუთზე.

**ირაკლი გიორგაძის** „ლავორმა", რომელიც 29 ქულით მესამე ადგილზეა, სტუმრად წააგო **დიმიტრი ბასილაიასა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ობენასთან" - 8:26. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

სტუმრად **ოთარ ელოშვილის** „გრასთან" დამარცხდა **დავით კაჭარავას** „ნიცა" - 12:20. ორივე ქართველმა სრულად ითამაშა. „ნიცას" ახლა 27 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა.

**ნიკოლოზ გიორგაძის** „გროლემ" შინ წააგო „რომანთან" 14:17. გიორგაძე თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

**B ჯგუფი: ლა სეინი-ბეზიე 20:20, მონტობანი-შატორენარი 30:3, გროლე-რომანი 14:17, გრასი-ნიცა 20:12, ობენა-ლავორი 26:8, ბლანიაკი-ვალანსი 25:15.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ბეზიე - 35 ქულა, 2. მონტობანი - 33, 3. ლავორი - 29, 4. ნიცა - 27, 5. ბლანიაკი - 25, 6. შატორენარი - 25, 7. ვალანსი - 24, 8. რომანი - 23, 9. ობენა - 23, 10. ლა სეინი - 22, 11. გროლე - 16, 12. გრასი - 9.**

C ჯგუფის ლიდერი **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოა". ჩვენებურთა გუნდმა მე-11 ტურში სტუმრად მოუგო **ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერს" - 28:12. მატჩის პირველი ნახევარი პერიგოელებმა მინიმალური სხვაობით 10:9 მოიგეს. მასპინძელთა წინააღმდეგობის გატეხვა მათ დასკვნით ოც წუთშილა მოახერხეს. ზიბზიბაძემ, დადუნაშვილმა და მაისურაძემ სრულად ითამაშეს, მარგველაშვილი 52-ე წუთზე შეცვალეს, ნინიძე განაცხადში არ იყო.

„პერიგოს" ახლა 48 ქულა აქვს და ექვსი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „ლიმოჟს", რომელმაც სტუმრად წააგო **გიორგი ნაცარაშვილის** „სენ ჟუნიენთან" - 15:18. ნაცარაშვილი თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო.

**ირაკლი გუნდიშვილისა** და **შოთა საყვარელიძის** „ნიორი", რომელიც გათამაშების აუტსაიდერია, სტუმრად დამარცხდა „მარმანდთან" - 18:46. საყვარელიძე 48-ე წუთზე შეცვალეს, გუნდიშვილს არ უთამაშია.

**C ჯგუფი: სენ ჟუნიენი-ლიმოჟი 18:15, ტური-პაი დუ მედოკი 14:8, რიბერაკი-ვანი 6:12, სენ ნაზერი-პერიგო 12:28, მარმანდი-ნიორი 46:18, სენ მედარი-ლანჟონი 10:12.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. პერიგო - 48 ქულა, 2. ლიმოჟი - 42, 3. ლანჟონი - 34, 4. ვანი - 33, 5. მარმანდი - 32, 6. სენ ჟუნიენი - 24, 7. სენ ნაზერი - 23, 8. სენ მედარი - 21, 9. რიბერაკი - 19, 10. პაი დუ მედოკი - 14, 11. ნიორი - 8, 12. ტური - 8.**

D ჯგუფში **მერაბ კვირიკაშვილის, ბექა ურჯუკაშვილის, რეზო გიგაურის, ლევან დათუნაშვილისა** და **დავით ბალანჩივაძის** „ფიჟაკმა" შინ წააგო მეორეადგილოსან „კასტანესთან" - 19:24. ურჯუკაშვილმა, დათუნაშვილმა, კვირიკაშვილმა და გიგაურმა სრულად ითამაშეს, ბალანჩივაძე 72-ე წუთზე შეცვალეს. „მეკომ" გუნდს 14 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

**საბა ქართველიშვილის** „ლანამეზანი", რომელიც 34 ქულით მესამე ადგილზეა, შინ დამარცხდა გათამაშების ლიდერ „ტიროსთან" - 16:23. ქართველიშვილი განაცხადში არ იყო.

**კარლენ ასეიშვილის** „ორტეზმა" სტუმრად მოუგო „მოლეონს" - 14:6, თუმცა სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი მაინც ვერ დააღწია. ასეიშვილმა სრულად ითამაშა.

**D ჯგუფი: მოლეონი-ორტეზი 6:14, ლანამეზანი-ტიროსი 16:23, ფიჟაკი-კასტანე 19:24, ტურნეფოი-კაორი 29:17, მორლაა-ოლორონი 26:19, სენ ჟან დე ლუზი-ლურდი 42:23.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ტიროსი - 48 ქულა, 2. კასტანე - 39, 3. ლანამეზანი - 34, 4. ლილი - 34, 5. ოლორონი - 30, 6. სენ ჟან დე ლუზი - 30, 7. ლურდი - 24, 8. მოლეონი - 24, 9. მორლაა - 23, 10. ტურნეფოი 22, 11. ფიჟაკი - 21, 12. კაორი - 18, 13. ორტეზი - 17.**



დავით დადუნაშვილი (მარჯვნივ)

ჰეინეკენის თასი



ჯო ფან ნიკერკი

# სიმბოლურში ფრანგული ჰეგემონიაა

ყველაზე პრესტიჟულ, „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში ჯგუფური ტურნირის პირველი წრე დასრულდა. წარმატებით ასპარეზობენ ქართველ მორაგბეთა კლუბები. აღსანიშნავია ერთი ტენდენციაც, ფრანგული გუნდები დანარჩენებზე ბევრად უფრო სოლიდურად გამოიყურებიან. ამის დასტურად მესამე ტურის სიმბოლური ნაკრებიც გამოდგება, სადაც საუკეთესო თხუთმეტეულში ფრანგული კლუბების რვა წარმომადგენელია.

ყველაზე მეტი, სამი მორაგბე მოხვდა სიმბოლურში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონიდან". ესენია, მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**, მესამეხაზელი **ჯო ფან ნიკერკი** და შერკინების კვაჭი **სებასტიან ბრუნო**. ორი მოთამაშე მიავლინა საუკეთესოთა შორის პარიზულმა „მეტრო რასინგმა", გარემარბი **სირელი ბობო** და შუამარბი **ანრი კავანაკი**.

**სიმბოლური ნაკრები: 15. ჟერომ პორიკალი (პერპინიანი), 14. სირელი ბობო (მეტრო რასინგი), 13. ფლორინ ფრიცი (ტულუზი), 12. ანრი კავანაკი (მეტრო რასინგი), 11. შონ ლამონტი (ჰლანეჰლი), 10. ჯონი ვილკინსონი (ტულონი), 9. მაიკ ფილიპსი (ოსფრიზი).**

*1. ტომ კურტი (ალსტერი), 2. სებასტიან ბრუნო (ტულონი), 3. ადამ ჯოუნზი (ოსფრიზი), 4. ბრედლი დევისი (კარდიფი), 5. დენ ტუოჰი (ალსტერი), 6. ჯეიმზ კოჰლანი (მანსტერი), 7. კრის მასო (კასტრი), 8. ჯო ფან ნიკერკი (ტულონი).*

შვიდკაცა რაგბი. მსოფლიო სერია

# ჯორჯის ეტაპი ოლ ბლექსმა მოიგო

შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის მეორე ეტაპი სამხრეთაფრიკულ ჯორჯში ახალი ზელანდიის ნაკრებმა მოიგო. ჯგუფური ტურნირის წაუგებლად გადალახვის შემდეგ „ოლ ბლექსმა" მეოთხედფინალში არგენტინის ნაკრებს იოლად აჯობა - 26:0, ნახევარფინალში კი ფავორიტ ფიჯისთან უმძიმესი ბრძოლა გადახდა, თუმცა ახალზელანდიელებმა მაინც მოიგეს - 26:19

მათთვის კიდევ უფრო ძნელი გამოდგა თამაში ფინალში პირველი ეტაპის გამარჯვებულ ინგლისის შვიდკაცა რაგბის ნაკრებთან - 22:19.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიო სერიაში შოტლანდიისა და ინგლისის ეტაპებზე ჩაერთვება.

**მეოთხედფინალი**

უელსი-სამოა 14:19, სამხრეთ აფრიკა-ინგლისი 10:19, ახალი ზელანდია არგენტინა 26:0, ფიჯი-ავსტრალია 33:5.

**ნახევარფინალი**

ახალი ზელანდია-ფიჯი 26:19, ინგლისი-სამოა 22:12.

**ფინალი**

ახალი ზელანდია-ინგლისი 22:19

**საერთო ჩათვლა**

1. ინგლისი - 44 ქულა, 2. ახალი ზელანდია - 40, 3. სამოა - 36, 4. ფიჯი - 32, 5. სამხრეთ აფრიკა - 24, 6. ავსტრალია - 14, 7. არგენტინა - 12, 8. უელსი - 12, 9. აშშ - 6, 10. შოტლანდია - 4.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge


კობიმ ნეტსთან გაიბრწყინა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მელოს საბოლოო უარი

## დენვერ ნაგეტსის ვარსკვლავმა ნიუ იორკთან ტრეიდი მოითხოვა

■ ■ ■

ევროპულ საკალათბურთო ასოციაციაში გუშინდელი მთავარი ამბავი **კარმელო ენტონის** უკავშირდება. მისი გუნდი - „დენვერ ნაგეტსი" ნიუ იორკში იყო ჩასული სათამაშოდ და მატჩის შემდეგ კარმელომ გამოაცხადა, რომ უარს ამბობს თავისი ამჟამინდელი გუნდის 65-მილიონიან შემოთავაზებაზე. გარდა ამისა, ენტონიმ „ნაგეტსის" ხელმძღვანელობას „ნიქსთან" ტრეიდის ორგანიზება მოსთხოვა.

*„მელო, შენ სჭირდები ნიუ იორკს!"*, - სკანდირებდა მატჩის დროს პუბლიკა.

*„რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვების შემდეგ გრძნობ, რომ აქ ყველას სჭირდები"*, - განაცხადა ენტონიმ მატჩის შემდეგ.

კარმელოს სურვილი გასაგებია - „ნიქსში" საინტერესო და პერსპექტიული შემადგენლობა შეიკრიბა, რომელიც ამ შეხვედრას შვიდმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა. „დენვერში" კი არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციაა. სხვანაირად როგორ იქნება, როცა გუნდის ლიდერი ყველა ინტერვიუში ამბობს, რომ მზად არის, ნებისმიერ წამს დატოვოს კოლორადო.

ნიუიორკელ გულშემატკივრებს მხოლოდ ენტონის განცხადებით არ მიუღიათ სიამოვნება - „მედისონ სკვერ გარდენის" მოედანზე მათ შემტევი კალათბურთი იხილეს, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირველი ტაიმი, რომელშიც მასპინძლების მაქსიმალურმა უპირატესობამ 12 ქულა შეადგინა (44:32), თითქმის საყაიმო ანგარიშით დასრულდა - 66:65 „ნიუ იორკის" სასარგებლოდ. გასულ უქმეებზე „შარლოტმა" „ბოსტონს" მთლიანად მატჩში 62 ქულა ჩაუგდო, აქ კი გუნდებმა თითქმის ანალოგიური შედეგიანობა 24 წუთში აჩვენეს.

თამაშის სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. „დენვერის" რიგებში, რა თქმა უნდა, ენტონი აქტიურობდა, რომელმაც საბოლოოდ 31 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა. მას მხარს უბამდნენ **ნენე ილარიო, ელ ჰარინგტონი** და **ტაი ლოუსონი**. სამაგიეროდ, ჩააგდეს თამაში **ჩონსი ბილაპსმა** და **ჯეი არ სმიტმა** - ჯამში 15 ტყორცნიდან მხოლოდ სამი გამოიყენეს. ბოლო მეოთხედის წინ „ნიუ იორკი" 106:97-ს იგებდა, მაგრამ **ჯორჯ კარლის** გუნდმა საფინალო სირენამდე წუთითა და 17 წამით ადრე შეძლო ანგარიშის გათანაბრება: ბილაპსმა გამოიყენა თამაშიდან ერთადერთი ტყორცნა - 120:120. შემდეგ **ამარე სტაუდმაიერმა** და ენტონიმ გაცვალეს ორ-ორი ქულა, გადამწყვეტი ტყორცნა კი **ჩენდლერმა** ჩააგდო, როცა ფარქვეშ მარტო დარჩენილმა **ფელტონისგან** მიიღო პასი. „დენვერს" დარჩა მატჩის გადარჩენისთვის დრო და შეტევაში ენტონი გაუშვა, მაგრამ კარმელომ **გალინარიზე** ჯარიმა მიიღო და „ნიუ იორკმა" ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო.

ენტონის გარდა ყურადღების ცენტრში მოექცა სტაუდმაიერი. მან ზედიზედ მერვე შეხვედრაში დააგროვა მინიმუმ 30 ქულა და გაიმეორა **ვილი ნოლსის** საკლუბო რეკორდი, რომელიც 48 წლის წინ იყო დამყარებული. რაც შეეხება „ნიქსის" ზედიზედ რვა მოგებას, ასეთი სერია გუნდს 1994-95 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია.

გუშინ იუბილე ჰქონდა „სან ანტონიო სპურსის" ლეგენდას **ტიმ დანკანს**. მან NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში მე-1000 შეხვედრა ჩაატარა. პარტნიორებმა არ დაალალატეს ტიმი და ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მოგებით აღნიშნეს. NBA-ის ოთხგზის ჩემპიონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „პორტლენდის" დამარცხებაში - 8 ქულა და 13 მოხსნა, ყველაზე შედეგიანი კი „სპურსის" სათადარიგო მცველი **ჯორჯ ჰილი** იყო, რომელმაც 22 ქულა დააგროვა.

რეგულარულის სტარტზე ზედიზედ რვა მოგების შემდეგ თანდათან ქვემოთ ეშვება „ნიუ ორლეანი". **კრის პოლის** გუნდმა სრული კრახი განიცადა „ფილადელფიასთან" შეხვედრაში. მასპინძლებმა პირველი მეოთხედის ბოლოს და მეორეს დასაწყისში 17:2 გაქცევა მოახერხეს და ბრძოლის სურვილი დაუკარგეს მეტოქეს. „სიქსერზს" „ჰორნეტსის" კალათბურთელებიც დაეხმარნენ, რომლებმაც პირველ ტაიმში თამაშიდან 14 (!) პროცენტის სიზუსტით ისროლეს. დიდი შესვენებისთვის „ფილადელფია" 45:23-ს იგებდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. „ნიუ ორლეანმა" ბოლო 11 მატჩში მერვედ წააგო, ამასთან, 19 ნოემბრის შემდეგ არ დაუგროვებია ერთ შეხვედრაში 100 ქულა.

როგორც იქნა, საჩემპიონო თამაში აჩვენა **კობი ბრაიანტმა**. „ლეიკერსის" ლიდერმა „ნიუ ჯერსი ნეტსის" წინააღმდეგ თითქმის უნაკლოდ ითამაშა. მოედანზე 35 წუთი გაატარა, 32 ქულა (თამაშიდან - 9/19, სამქულიანი - 3/6, საჯარიმო - 11/13), 6 პასი, 4 ჩაჭრა და 4 მოხსნა დააგროვა. ამასთან, ბოლო წუთებზე კობიმ მხოლოდ საკუთარ თავზე არ აიღო თამაში და ჯერ 88:87-ზე შესანიშნავი პასი მისცა **გასოლს**, 40 წამის შემდეგ კი **ოდომს** ჩაატენინა ბურთი - 92:87. ამის შემდეგ აღმოსავლეთის უსუსტეს გუნდს სიტუაციის გამოსწორების შანსი აღარ ჰქონდა.

**ნიუ იორკი-დენვერი 129:125**

**35:24, 31:41, 31:24, 32:36**

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (30+8 მოხსნა+3 დაფარება), ჩენდლერი (27+7 მოხსნა), ფელტონი (19+17 პასი), ფილდსი (18+9 მოხსნა), გალინარი (16), დუგლასი (13).

**დ:** ენტონი (31+13 მოხსნა), ნენე (26+8 მოხსნა), ჰარინგტონი (19+5 პასი), ლოუსონი (18).

**ფილადელფია-ნ. ორლეანი 88:70**

**20:13, 25:10, 22:23, 21:24**

**ფ:** უილიამსი (17+5 პასი), იგუოდალა (16+10 მოხსნა+5 პასი), ბრენდი (15+13 მოხსნა), ჰოლიდეი (12+5 მოხსნა).

**ნ-ო:** პოლი (25), არიზა (5+10 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ლეიკერსი 92:99**

**24:30, 18:22, 25:17, 25:30**

**ნ-ჯ:** ლოპესი (25+9 მოხსნა), ჰარისი (16+8 მოხსნა+10 პასი), მოროუ (15), ჰემფრიზი (11+11 მოხსნა+3 დაფარება).

**ლ:** ბრაიანტი (32+6 პასი+4 ჩაჭრა), ოდომი (22+7 მოხსნა), გასოლი (15+11 მოხსნა+5 დაფარება), ფიშერი (10).

**სან ანტონიო-პორტლენდი 95:78**

**23:17, 24:23, 23:21, 22:17**

**ს-ა:** ჰილი (22), ჯინობილი (18), პარკერი (14+6 მოხსნა+6 პასი), ნილი (11), დანკანი (8+13 მოხსნა).

**პ:** მეტიუზი (17), ოლდრიჯი (16+7 მოხსნა), კემბი (11+13 მოხსნა).

**ოკლაჰომა-კლივლენდი 106:87**

**31:17, 25:28, 30:13, 20:19**

**ო:** დურანტი (25+7 მოხსნა), ჰარდენი (19), გრინი (19), უესტბრუკი (14+11 პასი).

**კ:** პარკერი (12), გიბსონი (11), ვარეჟაო (7+16 მოხსნა).

**კლიპერსი-ორლანდო 85:94**

**14:35, 26:24, 19:10, 26:25**

**კ:** გორდონი (28+8 პასი), გრიფინი (27+16 მოხსნა+5 პასი).

**ო:** ჰოვარდი (22+8 მოხსნა), ნელსონი (17+9 პასი), კარტერი (13+7 მოხსნა), ბასი (13+11 მოხსნა).

● ინტერვიუ ალენ აივერსონთან

# შეიძლება კარიერა თურქეთში დავასრულო

**NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა ალენ აივერსონმა ვებგვერდ Hein-news-ს მოუყვა თურქეთის „ბეშიქთაშში" ადაპტაციის პროცესზე, მისი პიროვნების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე, თურქ გულშემატკივრებზე, NBA-ში შესაძლო დაბრუნებაზე...**

**- ალენ, როგორ მიმდინარეობს ადაპტაციის პროცესი?**

- ყველაფერი შესანიშნავად მაქვს. საკალათბურთო ასპექტებთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს. ვფიქრობ, მწვრთნელს გარკვეული ხანი ფიქრი დასჭირდება იმისთვის, როგორ გამომიყენოს მოედანზე. მან უნდა გაიგოს და შეისწავლოს, რამდენად კარგად მესმის საგანი. შემდეგ კი მაქსიმალური ეფექტურობით შეეცდება ჩემი შესაძლებლობების გუნდისთვის მორგებას.

**- რა იყო უცხო თქვენთვის ევროპაში ჩატარებული პირველი მატჩების შემდეგ?**

- შესაძლოა, ეს იყოს თამაშის ძალისმიერი ხასიათი. ამერიკისგან განსხვავებით, აქ გაცილებით ხშირად ჯარიმდებიან. ხანდახან ასპროცენტიანი სიტუაციიდან არ მოგცემენ ბურთის ჩაგდების საშუალებას და საჯარიმოს ხაზზე გაგიშვებენ. არც კი ვიცი, უნდა შევეგუო თუ არა ამას.

**- ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვით, რომ გინდათ მყარად იდგეთ ფეხზე. როგორ გრძნობთ თავს თურქეთში?**

- შესანიშნავად. ჩემი მიზანია - შევეგუო და დავიჭირო საჭირო სათამაშო ტემპი. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გარკვეული პერიოდი სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა, მაგრამ დამიჯერეთ, საუკეთესო თვისებები არ დამიკარგავს. ფიზიკურადაც 100 პროცენტით ვარ მზად. ასე რომ, ყველაფერი წესრიგშია.

**- თურქეთის ლიგაში სადებიუტო შეხვედრა მაინცდამაინც არ გამოგივიდათ...**

- აბა, თქვენ რა გინდოდათ?! მე ხომ დიდი ხანი არ მითამაშია ოფიციალურ შეხვედრებში, აქ კი ცოტა ხნით გამიშვეს მოედანზე, თანაც კარგი გუნდის წინააღმდეგ. მეორე მეოთხედი მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გავატარე, შესვენებაზე ვცადე გამეგო, რას ითხოვდა ჩვენგან მწვრთნელი, მესამე მეოთხედში ცოტა ხანი ვითამაშე და მოედანზე აღარ გამოვჩენილვარ. მე ამას არ ვარ შეჩვეული - ვერ შევძელი ჩემი რიტმის დაჭერა. როგორც კი ევროპის თასზე „გოტინგემთან" მეტი სათამაშო დრო მომცეს, მაშინვე კომფორტულად ვიგრძენი თავი.

**- სტამბოლი მოგეწონათ?**

- დიახ. ხალხი კეთილგანწყობილია ჩემ მიმართ. ვერ ვიტყვი, რომ ახლა ყველაფერი იდეალურადაა ჩემთვის, მაგრამ სიტუაცია დღითი დღე უმჯობესდება. ეს კარგია.

**- რას ფიქრობთ თქვენი პიროვნების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სახელი - დამატებითი რეკლამაა იმ გუნდებისთვის, რომელთა წინააღმდეგაც თამაში გვიწევს. და, რა თქმა უნდა, ეს უდიდესი მოვლენაა სტამბოლელი გულშემატკივრებისთვის. თუმცა მხოლოდ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. ჩემი ამოცანაა - გავამართლო მოლოდინი და გაცემული ავანსები. მინდა სიხარული მივანიჭო ხალხს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველ მატჩში, თუნდაც წაგების შემთხვევაში, ფანები სიამოვნებას მიიღებენ ჩემი თამაშისგან. მათ უნდა იცოდნენ, რომ მოედანზე გასვლას და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენებას ვაპირებ. სწორედ ასე ვთამაშობდი NBA-ში.

**- რას ფიქრობთ იმაზე, რომ ხალხი სტადიონზე ცოცხალი ლეგენდის სანახავად მიდის?**

- დიახ, ეს შესანიშნავი გრძნობაა. ერთადერთი, რაც გევალება - ღმერთისგან ბოძებული ნიჭის დემონსტრირებაა. ის, რისი გაკეთებაც სხვებზე უკეთ შეგიძლია. და ხალხი ამას წლების განმავლობაში დაიმახსოვრებს და შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებს მოუყვება.

**- ევროპაში მატჩი რვა წუთით ნაკლები გრძელდება...**

- დიახ, ეს დიდი სხვაობაა. შეჩვეული ვარ მოედანზე უფრო დიდი დროის გატარებას. აქ კი ორჯერ-სამჯერ გამოდიხარ მოედანზე, რამდენჯერმე მიიღებ ბურთს და ამასობაში, სათამაშო დრო სადღაც ქრება. NBA-ში თითო მეოთხედში მთელი ორი წუთით მეტი სათამაშო დროა.

**- „ბეშიქთაშში" წარმატებული თამაშის შემთხვევაში თუ არსებობს NBA-ში დაბრუნების შანსი?**

- მე ასეთი მიზანი არ მამოძრავებს. NBA-ში იმდენს მივაღწიე, სხვებს რომ არ დასიზმრებიათ. და ამით ძალიან ვამაყობ. ახლა კი ჩემი გული აქ არის. ცხადია, რომ თურქულმა კლუბმა ისევ მომცა თავის გამოჩენის საშუალება და ვფიქრობ, ჩემი მხრიდან ღალატი იქნება, თუ მხოლოდ NBA-ში დაბრუნებაზე ვიფიქრებ. მინდა კონცენტრირებული ვიყო მხოლოდ იმაზე, რომ ჩემი კლუბი უკეთესი გახდეს. კარიერის აქ დასრულებაზეც არ ვიტყოდი უარს.

**- ამ მომენტისთვის რა მიზნები გაქვთ?**

- მხოლოდ გამარჯვება. NBA-ში სერიოზულ შედეგებს მივაღწიე, ახლა ევროპაში წარმატების დრო მოვიდა. კონტრაქტის გაფორმებისას არა საკუთარ რეკორდებსა და ტიტულებზე, არამედ გუნდურ მიზნებზე ვფიქრობდი.

**- რა შეგიძლიათ თქვათ ევროპაზე?**

- მხოლოდ ყველაფერი საუკეთესო. აქ შესანიშნავი გულშემატკივრები არიან. ყოველ მატჩში მხარს გვიჭერენ. ჩემი მიზანია - იმედი არ გავუცრუო მათ, რადგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ.

**- სხვათა შორის, რას ფიქრობთ ევროპელ ფანებზე?**

- ევროპაში შესანიშნავი გულშემატკივრები არიან. ადრე არსად მინახავს ასეთი ენთუზიაზმი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გამოჩენამ ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია.


აივერსონი ბეშიქთაშის მაისურით

**- როგორ მოგეწონათ თურქული სამზარეულო?**

- თანდათან ვეჩვევი მას. სასტუმროში, სადაც მე დავბინავდი, ერთსა და იმავე კერძს გეახლებით, თანაც მინიმუმ ორჯერ-სამჯერ დღეში. დავილალე კიდეც შემწვარი ქათმის ხორცითა და კარტოფილით. მაგრამ სტამბოლში ვიპოვე რესტორანი Friday's და იქ უმ რულეტებს შევექცევი. ეს გაცილებით უკეთესია. ორი დღის შემდეგ კი ჩემი მეუღლე ჩამოფრინდება და ვფიქრობ, ყველაფერი უკეთ იქნება.

**- რამდენი ხანი აპირებთ თამაშს?**

- როცა ამ შეკითხვას მისვამენ, ყოველთვის ჩემს მეუღლესა და ბავშვებზე ვფიქრობ. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩემ გვერდით იყვნენ, თავს კომფორტულად გრძნობდნენ და აკეთონ ყველაფერი ის, რასაც მიჩვეულნი არიან. თუ კომპრომისის მონახვა შესაძლებელი იქნება, კიდევ ვითამაშებ. სხვა საქმეა - ჯანმრთელობა. თუ ძველებურად შემეძლება თამაში და დონე არ დავარდება, კარიერას გავაგრძელებ, მაგრამ თუ გულშემატკივრები ჩემგან მხოლოდ იმედგაცრუებას მიიღებენ, მაშინვე წავალ კალათბურთიდან.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● სამთო-სათხილამურო სპორტი

# გერმანელთა კრახი

მამაკაცმა მოთხილამურეებმა ვალ დ'იზერში გამოსვლა სლალომით დაასრულეს. ეს სახეობა ამ კურორტზე დიდი იშვიათობაა, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ეტაპის მონაწილეები უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

პირველი ცდის შემდეგ მოულოდნელად ლიდერობა ვეტერანმა იტალიელმა **მანფრედ მოელგმა** მოიპოვა. საერთოდ, იტალიური პუბლიკა დიდი ხანია ელოდება მანფრედისგან მაღალ შედეგებს. მას ყოველთვის გამოსდიოდა სლალომი, მაგრამ ამჯერად მეორე ცდაზე ვერ ივარგა და საერთო ჯამში მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა.

მთავარი სენსაცია გახდა ფრანგი **სტივ მისილიე**. ის სლალომის სპეციალისტი კი გახლავთ, მაგრამ უძლიერესთა ჯგუფის მეორე ნახევარშიც არ შედის, თანაც ცუდ ფორმაშია, რაც პირველი ცდის შედეგმაც დაადასტურა - მხოლოდ 25-ე შედეგი. მაგრამ პირველ ცდაზე ნაჩვენები შედეგების სიმჭიდროვემ და მეორე ცდისას ბრწყინვალე სრიალმა თავისი საქმე გააკეთა - სტივ მისილიემ ყველას წამზე მეტი მოუგო და ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულა!

სლალომის ტრიუმფატორები ავსტრიელები გახდნენ. საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა **მარსელ ჰირშერმა**, რომელიც უკვე სამი წელია აოცებს ყველას სტაბილური შედეგებით, მეორეზე 31 მეასედი ჩამორჩენით ლეგენდარული **ბენჯამინ რაიხი** აღმოჩნდა, რომელიც წელსაც მზად არის მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად.

■ ■ ■

უამინდობის გამო ქალებმა შვეიცარიის სანკტ მორიტცში ნახევარი ეტაპი ჩაატარეს. გაუქმდა სუპერგიგანტის სტარტი, მაგრამ მეორე დღეს გიგანტური სლალომის გამართვის საშუალება გაჩნდა. პირველი ცდა მონაწილეებმა უპრობლემოდ ჩაატარეს, მეორეში კი მათ ქარი უშლიდათ ხელს და ამან მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ძალთა საბოლოო გადანაწილებაში.

პირველი ცდის შემდეგ ეტაპს ორი გერმანელი - **ვიქტორია რებენსბურგი** და **კატრინ ჰიოლცლი** ლიდერობდნენ. საკმაოდ ნაცნობი სურათი იყო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რებენსბურგი ამ დისციპლინაში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონია, ჰიოლცლმა კი გასულ სეზონში გიგანტურ სლალომში მცირე ბროლის გლობუსი მოიგო.



ტესა ვორლი

მაგრამ მეორე ცდა ორივე გერმანელმა ჩააგდო. ჰიოლცლმა საერთოდ ვერ მიაღწია ფინიშამდე, რებენსბურგმა კი დისტანციის პირველ ნაწილში შეცდომა დაუშვა და შემდეგ ტემპი ველარ აკრიფა. საბოლოოდ ვიქტორია, რომელიც სეზონის პირველ ეტაპებზე დომინირებდა გიგანტურ სლალომში, მხოლოდ მეცხრე ადგილზე გავიდა.

გამარჯვება კი ფრანგმა **ტესა ვორლიმ** მოიპოვა, ვინც ბოლო დროს ძალიან მოუმატა. ვორლიმ პირველ ცდაზე ნაჩვენები მეხუთე შედეგის შემდეგ შეძლო ეტაპის მოგება და ყველას თვალნათლივ დაანახა თავისი ამბიციები. მეორე პოზიციაზე გასულმა ფინელმა **ტანია პოუტაინენმა** მხოლოდ ერთი მეასედი წააგო გამარჯვებულთან. მესამეზე აღმოჩნდა სლოვენიელი უნივერსალი **ტინა მაზე**.

აღვნიშნავთ ამერიკელ **ლინდსი ვონს**, რომელმაც მისთვის ნაკლებად კომფორტულ დისციპლინაში საკმაოდ მაღალი მეშვიდე ადგილი დაიკავა. საერთო ჩათვლის ლიდერი **მარია რიში** კი მე-19 პოზიციაზე აღმოჩნდა, ასე რომ, ვონმა ოდნავ შეამცირა ჩამორჩენა გერმანელთან.

**სანკტ მორიტცი (შვეიცარია)**

**გიგანტური სლალომი. ქალები**

1. **ტესა ვორლი** (საფ) - 2:10.70; 2. **ტანია პოუტაინენი** (ფინ) - +0.01; 3. **ტინა მაზე** (ნორ) - +0.31; 4. **ანემონე მარმოტანი** (საფ) - +0.52; 5. **მარი-მიშელ განიონი** (კან) - +0.79; 6. **ტაინა ბარიოსი** (საფ) - +1.06...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარია რიში** (გერ) - 526 ქულა; 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 381; 3. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 276; 4. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 250; 5. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 236; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 236...

**ვალ დ'იზერი (აშშ)**

**გიგანტური სლალომი. კაცები**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:44.70; 2. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - +0.31; 3. **სტივ მისილიე** (საფ) - +0.56; 4. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - +0.75; 5. **ჟულიან კუზინე** (კან) - +1.13; 6. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერ) - +1.31...

**საერთო ჩათვლა**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 236 ქულა; 2. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 221; 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 200; 4. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 188; 5. **მარიო შაიბერი** (ავსტრია) - 175; 6. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 175...

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ იუნ-არსენალი | 1:0 |
| **FA Trophy** | |
| ვილდსტოუნი-ნიუპორტი 0:0 დ.დ. | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტრიესტინა-ტორინო | 0:1 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-ოსასუნა | 3:3 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კოტბუსი-უნიონი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 0:0 |
| ჰელმონდი-ვეენდამი | 3:1 |
| ვაალვიკი-ფორტუნა | 2:3 |
| **თურქეთი** | |
| ბურსა-ქასიმფაშა | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-ორდუ | 0:2 |
| **კვიპროსი** | |
| აელ-ოლიმპია | 3:2 |
| **ისრაელი** | |
| ირონი-მაკაბი (ჰ) | 0:1 |
| **არგენტინა** | |
| ურაკანი-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| ლანუსი-რივერი | 1:4 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| შარლერუა-ოლიმპიაკოსი | 67:80 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (რ)-ჰაპოელი (გ) | 85:87 |

**ხელბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ჩერნოგორია-ესპანეთი | 22:20 |
| რუმინეთი-ხორვატია | 31:22 |
| დანია-რუსეთი | 26:20 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-იოკერიტი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-მოდო | 7:2 |

● TV პროგრამა

**14 დეკემბერი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

23:10 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. დანია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ლეიკერსი (LIVE).

**SPORT+**

12:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. დინამო (რუსეთი)-ჰიპო ტიროლი (ავსტრია) (LIVE).
19:40 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

21:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰემოფარმი (სერბეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი) (LIVE).
23:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სევილია (ესპანეთი)-ნიმბურკი (ჩეხეთი) (LIVE).

● კრივი

# ხანი ისევ ჩემპიონია



ხანს (მარჯვნივ) მცირე უპირატესობა ჰქონდა

ნახევრად საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონმა **ამირ ხანმა** კვირას გამართულ ბრძოლაში შეინარჩუნა ტიტული. ბრიტანელმა ვერ შეძლო არგენტინელი **მარკოს მაიდანას** ნოკაუტში გაგზავნა, სამაგიეროდ, ქულებით მოახერხა მეტოქის დამარცხება.

ორთაბრძოლის დაწყებისთანავე ცხადი გახდა ჩემპიონის უპირატესობა სისწრაფესა და მოძრაობაში. სადებიუტო რაუნდის ბოლოს ბრიტანელმა მაიდანა ნოკდაუნში გაგზავნა, მაგრამ არგენტინელი წამოდგა და რაუნდი ბოლომდე მიიყვანა. ამის შემდეგ სამხრეთამერიკელმა დაალაგა მოქმედება და თანდათან ინიციატივა მის მხარეს გადავიდა. მეცხრე რაუნდში მაიდანას მარჯვნიდან უძლიერესი დარტყმა გამოუვიდა, რის შემდეგაც ხანმა ძლივს შეინარჩუნა წონასწორობა და რაუნდი დიდი გაჭირვებით ჩაამთავრა. მაიდანამ შეტევა გააგრძელა და ბოლო ორი რაუნდი ხანს თავდაცვამ მოუწია.

ბოლო რაუნდებში მაიდანას უპირატესობის მიუხედავად, სამივე მსაჯმა უპირატესობა მსოფლიოს ჩემპიონს მიანიჭა - 114:111, 114:111 და 113:112.

● ჰოკეი

# რეკორდი მიჩიგანში

მიჩიგანის შტატში ჰოკეის მატჩზე დასწრების მხრივ მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარდა. NCAA-ის სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე ორი კლუბის შეხვედრა 113 411-მა მაყურებელმა იხილა. თამაში „მიჩიგანის უნივერსიტეტის“ დიდი ანგარიშით გამარჯვებით (5:0) დასრულდა. მეტოქე „მიჩიგანის შტატი“ იყო.

ჰოკეის მოედანი პირდაპირ ამერიკული ფეხბურთის მინდორზე მოაწყვეს. ახალი რეკორდის შესახებ მესამე პერიოდის დროს გამოაცხადეს. მატჩს გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც დაადასტურეს ახალი რეკორდი.

წინა რეკორდი წელს გერმანიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაფიქსირდა. გელზენკირხენის საფეხბურთო არენაზე გერმანიისა და ამერიკის ნაკრებებს შორის გახსნის მატჩს 77 803 მაყურებელი დაესწრო.

*„ეს თამაში ძალიან სასარგებლო იყო შტატისთვის. აქ ძალიან ცუდი ეკონომიკაა, ბევრი პრობლემა იყრის თავს, ასეთი მატჩები კი იმის შეგრძნების საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენთან რალაც კარგიც არსებობს“*, - განაცხადა მიჩიგანის უნივერსიტეტის მწვრთნელმა. მისი გუნდის საშინაო არენა 6.5 ათას მაყურებელს იტევს.

სარეკორდო აუდიტორია



● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



დუბინსკისა და ოვეჩკინის ჩხუბი

# ვაშინგტონმა ჩხუბიც წააგო

ბოლო პერიოდში სერიოზული პრობლემები აქვს აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ „ვაშინგტონ კეპიტალზს“. ეს გუნდი ზედიზედ აგებს თამაშებს და მართალია, ჯერ ინარჩუნებს ადგილს კონფერენციის პირველ სამეულში, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, მალე დათმობს წამყვან პოზიციებს.

„რეინჯერსთან“ მატჩში დედაქალაქელებმა ყველაფერი გააკეთეს ჰოკეის თამაშის გარდა. კერძოდ, პუბლიკას ჩხუბითართობდნენ, თუმცა ვერც ამ მხრივ აჯობეს მეტოქეს - „კეპიტალზის“ ლიდერის, რუსი **ალექსანდრ ოვეჩკინისა** და **ბრენდონ დუბინსკის** კრივი აშკარად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

რაც შეეხება მატჩის სპორტულ მხარეს, „რეინჯერსმა“ სასტიკი დღე აყარა კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტს. საფინალო სირენის შემდეგ ტაბლოზე ასეთი ციფრებ ეწერა - 7:0. დიდი ხანია, „ვაშინგტონს“ ასეთი ანგარიშით არ წაუგია.

კანადურ დერბიში „ედმონტონმა მინიმალური ანგარიშით წააგო „ვანკუვერთან“. თამაში შვედმა ძმებმა **სედინებმა** მოიგეს, რომლებმაც თავიანთი გუნდის ორივე საგოლე კომბინაციაში მიიღეს მონაწილეობა. ერთადერთი, რაც „მენავთობეებმა“ შეძლეს, 5 წამით ადრე ერთი საპასუხო შაიბის გატანა იყო. უფრო მეტისთვის მათ უბრალოდ დრო არ ეყოთ.

დღის მეორე გამანადგურებელი ანგარიში „ანაჰაიმისა“ და „მინესოტას“ მატჩში დაფიქსირდა. „იხვებმა“ პირველი შემტევი სამეულის ბრწყინვალე თამაშის წყალობით 6:2 მოიგეს. განსაკუთრებით გამორჩეული იყო **კორი პერი** - მან ჰეთ-თრიკი და ორი შედეგიანი პასი მიითვალა. სოლიდური გახლდათ **რაიან გეტცლაფის** მონაგარი - 2 გოლი და ერთი პასი. „ანაჰაიმი“ მყარად დამკვიდრდა პლეი ოფის ზონაში, „მინესოტა“ კი ჯერ ამ ზონის მიღმა იმყოფება.

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 7:0**

1:0, 4:0, 2:0

**გოლები:** 1:0 პრუსტი-4 (ფროლოვი-7, ბ. ბოილი-3), 2:0 ანისიმოვი-8, 3:0 გაბორიკი-9 (მ. სტაალი-7, როჟსივალი-10), 4:0 დუბინსკი-14 (ჟირარდი-13, ანისიმოვი-9), 5:0 მ. სტაალი-6 (ბ. ბოილი-4, პრუსტი-8), 6:0 კელეჰანი-9 (დუბინსკი-13, ჟირარდი-14), 7:0 კელეჰანი-10.

**ანაჰაიმი-მინესოტა 6:2**

2:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პერი-14 (რაიანი-11), 1:1 ბერნსი-9 (ჰავლატი-20, მ. კოივუ-18), 2:1 გეტცლაფი-9 (რაიანი-12, პერი-18), 3:1 გეტცლაფი-10 (პერი-19, ვიშნოვსკი-20), 3:2 ჟიდლიცკი-4 (ბრუნეტი-8, მ. კოივუ-19), 4:2 პერი-15 (ბულიტი), 5:2 რაიანი-14 (ლიდმანი-9, ვიშნოვსკი-21), 6:2 პერი-16 (გეტცლაფი-22, ფაულერი-12).

**ედმონტონი-ვანკუვერი 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბაროუზი-5 (დ. სედინი-19, ჰ. სედინი-30), 0:2 ჰ. სედინი-5 (დ. სედინი-20, კესლერი-9), 1:2 ებერლე-6 (პენერი-10, ფოსტერი-8).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# გააკეთეთ ფსონები


დიდი ოთხეული

ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ ბუკმეიკერებმა უკვე გამოაქვეყნეს წინასატურნირო კოეფიციენტები. მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ფავორიტად მიიჩნევა და გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ვიდრე მის მთავარ კონკურენტსა და ავსტრალიის ღიას მოქმედ ჩემპიონ **როჯერ ფედერერს**.

„დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის მოგებაზე ასეთი კოეფიციენტია დაფიქსირებული:

## რაფაელ ნადალი: 2/1

+: შედარებით ნელი საფარი და ბურთის კორტზე ასხლეტის სიმაღლე იდეალურად ერგება ნადალის სათამაშო სტილს. ამასთან, ბუკმეიკერები იხსენებენ 2009 წლის სეზონს, როცა ნადალს მუხლის ტრავმა აწუხებდა და ფინალში როჯერ ფედერერის დამარცხებით მაინც აილო ავსტრალიის ღია პირველობის ტიტული.

-: თუ 2009 წელს მელბურნის ჰარდზე ნადალის ტრიუმფი ვილაცას შემთხვევითობად მოეჩვენა, ესპანელის გამარჯვებამ 2010 წელს ამერიკის ღია პირველობაზე ყოველგვარი ეჭვი გაფანტა. მიუხედავად ამისა, ნადალის პროგრესი ჰარდის საფარზე დღემდე საკამათო თემად რჩება. კრიტიკოსები იხსენებენ ამ ცოტა ხნის წინ რაფას მარცხს ფედერერთან წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში, ასევე წაგებას **ენდი მიურეისთან** 2010 წლის ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში, თუმცა მაშინ ნადალი ტრავმის გამო სრული ძალით ვერ თამაშობდა.

## როჯერ ფედერერი: 5/2

+: ფედერერი ისე ვერ დომინირებდა ავსტრალიის ღია პირველობაზე, როგორც უიმბლდონსა თუ ამერიკის ღია პირველობაზე, თუმცა აქ მისი შედეგები მაინც შთამბეჭდავია: 54 მოგება, 7 წაგება და 4 ტიტული. მსოფლიოს მეორე ჩოგანი ცოტა ხნის წინ წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებული გახდა, თანაც ფინალში ნადალი დაამარცხა, რაც შვეიცარიელს დამატებით დამაჯერებლობას შესძენს.

-: მართალია, 2010 წელს ფედერერს ჰქონდა ალმაფრენები და ბოლოს ოპტიმალური ფორმაც აკრიფა, ეს მაინც არ იყო მისი საუკეთესო სეზონი. ნადალი ახლა უდიდესი უპირატესობით ლიდერობს ATP-ის რეიტინგს, ფედერერი კი სულ უფრო მეტად ემგვანება „ერთი მომენტის მოთამაშეს". როცა შვეიცარიელი ბრძოლაზეა მომართული, ბოლომდე იბრძვის, მაგრამ თუ მოდუნდა, ყველაზე მარტივ სიტუაციებშიც ცდება. საინტერესოა, როგორ იმოქმედებს მასზე სეზონებს შორის პაუზა?

## ენდი მიურეი: 5/1

+: შარშან ენდი მიურეიმ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალამდე მიაღწია, გზად კი რაფაელ ნადალის შეჩერება შეძლო. შოტლანდიელისთვის ჯერაც სანატრელია „დიდი სლემის" ტურნირის მოგება - დიდ ფინალებში ის მუდმივად ფედერერთან მარცხდებოდა, თუმცა ამ წაგებებით მიღებულმა გამოცდილებამ, შესაძლოა, მომავალში იმავე როჯერის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება გაუწიოს. მიურეისა და ნადალის ბოლო შეხვედრა (წლის შემაჯამებელი ტურნირის ნახევარფინალი) 2010 წლის სეზონის საუკეთესო მატჩად მონათლეს. ეს აღიარება ორივე ჩოგბურთელის კარგმა თამაშმა გამოიწვია.

-: შარშან მელბურნის ფინალის წაგების შემდეგ მიურეის „დიდი სლემის" ტურნირების ფინალამდე აღარ მიუღწევია. ის კარგად გამოიყურებოდა უიმბლდონზე, მაგრამ იქ ნადალმა შეაჩერა. ამერიკის ღია პირველობაზე ნაადრევმა წაგებამ ძალიან გაანაწყენა ბრიტანელი და მართალია, სეზონის დასრულებამდე ოპტიმალური ფორმის აღდგენა მოასწრო, მელბურნში შოტლანდიელის წინაშე ძალიან რთული ამოცანა იდგება.

## ნოვაკ ჯოკოვიჩი: 7/1

+: **ჯოკოვიჩს** სულ ახლახან ჰქონდა კარიერაში მორიგი ტრიუმფი - სერბეთის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასი მოიპოვა. წელს მან მოიგო ყველა ერთეულთა შეხვედრა დევისის თასზე და სეზონის ბოლოსთვის შესამჩნევად გააუმჯობესა თამაში, თუმცა წლის შემაჯამებელ ტურნირზე ნადალთან და ფედერერთან დამარცხდა.

-: წარმატებული სეზონის მიუხედავად, ჯოკოვიჩს ამერიკის ღია პირველობის გარდა (ფინალში ითამაშა) „დიდი სლემის" ტურნირებზე მაღალი შედეგები არ ჰქონია. მან ავსტრალიის ღია პირველობაზე, როლან გაროსსა და უიმბლდონზე შესაბამისად **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან, იურგენ მელცერთან** და **ტომაშ ბედრიხთან** წააგო. სეზონის ბოლოს წარმატებულმა თამაშმა ნოვაკს რეიტინგში მდგომარეობა გამოუსწორა, მაგრამ ჯოკოვიჩს მელბურნში მოუწევს ელიტაში თავისი პრეტენზიების დამტკიცება.

## კარომ მის უკრაინა აირჩია

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** ამ დღეებში უკრაინის დედაქალაქ კიევს სტუმრობდა, სადაც „მის უკრაინის" კონკურსი გაიმართა. დანიელი ჩოგბურთელი ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლდათ და სწორედ მან დაადგა გვირგვინი გამარჯვებულს - 22 წლის ოდესელ **ოლესია სტეფანკოს**.

„*შესანიშნავი საღამო გამოვიდა,* - დაწერა თავის ვებგვერდზე „კარომ" (ვოზნიაცკის მეტსახელი). - *ამდენ ლამაზ გოგონას თვალი ვერ მოვწყვიტე. ძალიან კარგად გავატარე დრო და ბევრი საინტერესო ადამიანიც გავიცანი*".


ვოზნიაცკი და მის უკრაინა

კრივი

## დონ კინგის ვაზნები ჩამოართვეს

ლეგენდარული საკრივო პრომოუტერი **დონ კინგი** ქალაქ კლივლენდის (ოჰაიოს შტატი) აეროპორტში დააკავეს. სკანდალურად ცნობილი მენეჯერი თვითმფრინავში საბრძოლო მასალის შეტანას ცდილობდა.

79 წლის კინგი კვირა საღამოს, გაფრენის წინ შემოწმებისას დააკავეს. აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ჩანთა, რომლის შეტანასაც პრომოუტერი თვითმფრინავში ცდილობდა, მსხვილი კალიბრის ვაზნებით იყო სავსე.

კინგს საბრძოლო მასალა ჩამოართვეს, რის შემდეგაც მოგზაურობის გაგრძელების საშუალება მისცეს. როგორც ამბობენ, ინციდენტის შემდეგ კინგი ფლორიდაში გაემგზავრა.

ჯერჯერობით ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს პრომოუტერისგან კომენტარის აღება. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, დონ კინგი მეუღლის დასაფლავებაზე გაემგზავრა, რომელიც 9 დეკემბერს კიბოთი გარდაიცვალა.

დონ კინგი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პრომოუტერია კრივის სამყაროში. სხვადასხვა წლებში მისი კლიენტები იყვნენ **მაიკ ტაისონი, ევანდერ ჰოლიფილდი, როი ჯონსი, ლენოქს ლუისი** დ სხვა ცნობილი მოკრივეები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

